

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის  
სხდომის ოქმი  
N53

2024 წელი; 26 აპრილი; 11:30 სთ;

ქ. თბილისი  
თავისუფლების მოედანი N2

სხდომას ესწრებოდნენ:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრები:

არჩილ გორდულაძე (თავმჯდომარე)

ზურაბ აბაშიძე

ნინო რუხაძე

აკაკი ალადაშვილი

კახაბერ ლაბუჩიძე

ანა კილაძე

გიორგი ონიანი

დავით ფარცვანია


მოწვეული პირები:

1. ქვარა ჩართოლანი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „თბილისის განვითარების ფონდი“-ს დირექტორის მოადგილე;
2. ირაკლი თავართქილაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსი;
3. მარიამ კვერნაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსის მოადგილე;
4. ვასილ აბულაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე;
5. ოთარ ჩიტიძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე;
6. ნინო ზაგაშვილი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე;
7. ნინო ჯაფარიძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსი;
8. თამარ ბერუაშვილი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვის საქალაქო სამსახურის წარმომადგენელი.

სხდომის თავმჯდომარე:


არჩილ გორდულაძე

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის  
კომისიის თავმჯდომარე



## დღის წესრიგი

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის პროგრამებისა და ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 12 თებერვლის N37-12 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;**
2. „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8 და მე-12-მე-16 ნაწილებით, 125<sup>2</sup> მუხლით, 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, 134<sup>1</sup> მუხლით, 135-ე-135<sup>5</sup> მუხლებით გათვალისწინებული სამართალდარღვევებისას და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8, მე-12-მე-13 და მე-15 ნაწილებით, 125<sup>2</sup> მუხლით, 135-ე-135<sup>5</sup> მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ფაქტების ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირების შემთხვევაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით საჯარიმო ქვითრის - ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შედგენის/გამოწერის, ჩაბარების, აღრიცხვა-ანგარიშგებისა და გასაჩივრების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 15 მაისის №57-52 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;**
3. „სპეციალური რეგულარული გადაყვანის განმახორციელებელი ავტობუსის (M2 ან M3 კატეგორიის) მარშრუტების დამტკიცებისთვის წესის განსაზღვრისა და მარშრუტების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის №35-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;**
4. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით რუსთავი-თბილისის მარშრუტზე ავტობუსების (M3 კატეგორია) მარშრუტის, აგრეთვე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში გზების ჩამონათვალისა და მათზე რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით რუსთავი-თბილისის მარშრუტზე მომუშავე ავტობუსების (M3 კატეგორიები) გაჩერების ადგილების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 25 იანვრის №36-6 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;**
5. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის N35-100 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;**
6. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავარიული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ჩანაცვლების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 6 მაისის №10-48 დადგენილებაში ცვლილების



**შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;**

7. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2018 წლის 16 თებერვლის №13-35 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;

8. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გაძოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;

9. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქონების მართვის სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურებისა და დაჩქარებული მომსახურების საფასურისა და ვადების განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-74 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;

10. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქონების მართვის სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 თებერვლის №13-42 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;

11. „ქ. თბილისში, ბარალეთის ქუჩის მიმდებარედ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 400 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.11.03.010.215) გაცვლის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;


12. „ქ. თბილისში, ისნის რაიონში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 695 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.17.06.012.420) გაცვლის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

13. “ქალაქ თბილისში, წუცუბიძის ქუჩა N76-ში არსებული 17.65 კვ.მ კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.14.03.003.002.01.519) და 11.02 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი N01.14.03.003.002.01.523) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

14. „ქალაქ თბილისში, ოცხელის ქუჩა N4-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.33.002.017.01.002) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;



15. „ქალაქ თბილისში, ომარ ხიზანიშვილის ქუჩა N67-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.10.006.001.01.625) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;
16. „ქალაქ თბილისში, დაბა კოჯორში, გალაკტიონ ტაბიძის ქუჩა N6-ში არსებული 157.26 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.81.01.236.002.01.500) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;
17. „ქალაქ თბილისში, მიხეილ გაბოკიძის ქუჩა N12ა-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.19.005.057) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;
18. „ქალაქ თბილისში, ნიკოლოზ ხუდადოვის ქუჩა N173-ში, კორპუს 4-სა და კორპუს N5-ში (საკადასტრო კოდები: N01.16.09.001.001 და N01.16.09.001.004) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;
19. „ქალაქ თბილისში, მე-3 მასივის (ვახეთის გზატკეცილი) მე-10 კვარტლის N9 და N10 კორპუსებს შორის (საკადასტრო კოდი: N01.19.20.028.032.01.500) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;
20. „ქალაქ თბილისში, დავით იოსელიანის მე-2 შესახვევი N17-ში (საკადასტრო კოდი: N01.12.15.001.006) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;
21. „ქალაქ თბილისში, ევროპის I ჩიხი N4ა-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.15.001.161.01.500) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;
22. „ქალაქ თბილისში, ქიზიყის ქუჩა N32-ში არსებული 21.38კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.19.24.007.907.01.500) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;
23. „ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთი, გიორგი სააკაძის ქუჩა N30-ში არსებული 70.71 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.20.01.056.005.01.502) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;



24. „ქალაქ თბილისში, კორნელი სანაძის ქუჩა N43მ-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.24.007.874.02.507) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**

25. „ქალაქ თბილისში, ემირ ბურჯანაძის ქუჩა N49-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.33.021.028.01.006) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**

26. „ქალაქ თბილისში, ევროპის I ჩიხი N1-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.15.001.069.01.503) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**

27. „ქალაქ თბილისში, ჟიული შარტავას ქუჩა N3-ში მდებარე, N01.10.13.015.112.02.283 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი ფართის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**


28. „ქალაქ თბილისში, ალექსანდრე მანაგაძის ქუჩა N13-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.04.008.001.01.502) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**

29. „ქალაქ თბილისში, თენგიზ ჩანტლაძის ქუჩა N21ბ-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.10.041.028.01.503) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**

30. „ქალაქ თბილისში, ლევან მაჭავარიანის ქუჩა, N11-ში (ს/კ N01.19.20.020.080.01.01.116) და ქალაქ თბილისში, ლევან მაჭავარიანის ქუჩა N7ბ-ში (ს/კ N01.19.20.020.083.01.01.033) არსებული ფართების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**

31. „ქ. თბილისში, ნუცუბიძის ფერდობზე, IV მიკრო/რაიონის მიმდებარედ N01.14.01.001.423 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ უძრავ ქონებაში არსებულ ზოგიერთ (მშენებარე) ფართზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრების უფლების პირდაპირი განკარგვის წესით პრივატიზების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**

32. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს, მაია სულხანიშვილის (პ/ნ 01030011877) უფლებამონაცვლე ნუკრი ცისკამესა (პ/ნ: 01030053040) და ციციწო დევრისაშვილს (პ/ნ 01023003411) შორის გასაფორმებელი



**მორიგების აქტის მოწონების შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**

**33.** „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, განსაზღვრული მოძრავი ქონების საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის (ს/ნ: 204395537) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**

**34.** “ქ. თბილისში, ალ. ყაზბეგის გამზირი N7-ის მიმდებარედ 23 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.10.14.012.029) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „კანაპესთვის“ (ს/ნ: 205178635) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე” **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**

**35.** “ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირი N9-25-ის მიმდებარედ რეგისტრირებული 173 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: N01.16.05.031.029) 15 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით თეკლე ბერაიასთვის (პ/ნ: 42001023171) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე” **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**


**36.** „ქ. თბილისში, კანდელაკის ქუჩა N53-ში არსებული 2 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.10.12.042.046) პირდაპირი განკარგვის წესით დავით მაჭარაშვილისთვის (პ/ნ: 01024022960) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე” **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**

**37.** „ქალაქ თბილისში, აბაშიძის ქ. N2-20-ის მიმდებარედ არსებული 1486 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: N01.14.11.031.091) 30 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „კანაპესთვის“ (ს/ნ: 205178635) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**

**38.** “ქ. თბილისში, ფალიაშვილის ქ. N80-ის მიმდებარედ არსებული 6 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.14.11.019.031) პირდაპირი განკარგვის წესით ნინო იაშვილისთვის (პ/ნ: 01009012377) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე” **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**

**39.** „ქ. თბილისში, აბანოს ქ. N17-ის მიმდებარედ არსებული 31 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.18.03.063.054) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „კანაპესთვის“ (ს/ნ: 205178635) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე” **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**

**40.** „ქალაქ თბილისში, კანდელაკის ქუჩა N5-ის მიმდებარედ 2 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.10.13.011.013) პირდაპირი განკარგვის წესით ია რეხვიაშვილი-



პინკისთვის (პ/ნ: C34PMXW2Y; 22.04.1954წ) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**

**41.** „ქალაქ თბილისში, პარკი „მზიურის“ ტერიტორიაზე (საკადასტრო კოდი: N 01.14.14.005.156) არსებული N5 შენობა-ნაგებობის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „კუბი კონტექსტში“-სთვის (ს/ნ: 402176328) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**


**42.** „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, ნადიკვარის ქუჩა N34-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებთან (საკადასტრო კოდი: N01.18.01.004.325, ფართობი - 5 010 კვ.მ; N01.18.01.004.326, ფართობი -5 335 კვ.მ; N01.18.01.004.322, ფართობი -3 435 კვ.მ; N01.18.01.004.323, ფართობი - 3 435 კვ.მ; N01.18.01.004.321, ფართობი - 2 739 კვ.მ; N01.18.01.004.318, ფართობი - 1 259 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**

**43.** „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, ვახტანგ გორგასლის ქუჩა N12-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.18.05.001.059, ფართობი - 2 572 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**

**44.** „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, მოსკოვის გამზირი N24ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.19.34.002.054, ფართობი - 1 617 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**

**45.** „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, იალბუჯის ქუჩა N4; N6; N6ა; N8; N8ა; N10-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.17.13.043.032 ფართობი - 1 899 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**

**46.** „ქ. თბილისში, ბოჭორიშვილის ქ. 37 „ა-ში“ (ს/კ: N01.10.13.023.001) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით დაინტერესებული პირების ინდივიდუალურ მენაშენეთა ამხანაგობა „სანაპირო 2005-ის“ და შპს „რივერ საიდი 2023-ის“ (ს/ნ. 445721782) მიმართ ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმებისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგი




განკარგულებების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

47. „მისამართებზე - ქ. თბილისი, საირმეს ქ. N 37 (ს/კ: 01.10.14.024.036), ქ. თბილისი, მუხამის ქ N 4 (ს/კ: 01.14.11.024.004), ქ. თბილისი, ი. აბაშიძის ქ N 55 (ს/კ: 01.14.11.024.012) - არსებული დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისა და დაზარალებულ პირთა მიმართ გასაცემი ვალდებულებების შესრულებისათვის გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და დამსწრე წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომის დღის წესრიგის პროექტი.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის მიერ ერთხმად იქნა დამტკიცებული სხდომის დღის წესრიგი.





**მოისმინეს:**

**1. არჩილ გორდულაძემ**, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით - **პირველ საკითხად განსაზღვრული დადგენილების პროექტი, რაც ითვალისწინებს**, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს (ყველა შემდგომი საკითხის აღწერისას - **თბილისის საკრებულო**) 2019 წლის 12 თებერვლის N37-12 დადგენილების პირველი მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით დამტკიცებულ, **დანართი N2-ით განსაზღვრულ** „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის პროგრამის „პროფესიული განათლების და დასაქმების ხელშეწყობა“ (კოდი 07 04) ქვეპროგრამების: „ზოგადი განათლების და სასკოლო პროექტების ხელშეწყობა“ (კოდი 07 02 01), „უწყვეტი განათლების და სტუდენტური პროექტების ხელშეწყობა“ (კოდი 07 05 01), „სპორტული ღონისძიებები“ (კოდი 08 06 01), „ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობა“ (კოდი 08 08 01) განხორციელების წესში“ შემდეგი ცვლილების შეტანას:

- აღნიშნული წესის მე-5 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების ახალი რედაქციით ჩამოყალიბებით, **იზრდება ამავე მუხლით დადგენილი დასაფინანსებელი თანხის (20 000 (ოცი ათასი)) ოდენობა და განისაზღვრება 25 000 (ოცდახუთი ათასი) ლარით, რითაც დგინდება, რომ** თუ მოთხოვნილი თანხა არ აღემატება 25 000 (ოცდახუთი ათასი) ლარს, საპროექტო განაცხადის დადებითად შეფასების შემთხვევაში, საბოლოო გადაწყვეტილებას დაფინანსების თაობაზე მიიღებს სამსახურის უფროსი, ხოლო, თუ წარდგენილი საპროექტო განაცხადით მოთხოვნილი თანხა აღემატება 25 000 (ოცდახუთი ათასი) ლარს, დადებითი შეფასების შემთხვევაში, კომისია საპროექტო განაცხადის დაფინანსების (თანხის ოდენობის მითითებით) შესახებ რეკომენდაციით მიმართავს სამსახურის უფროსს, შემდგომში - პროექტის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობასთან (**ყველა შემდგომი საკითხის აღწერისას - თბილისის მთავრობა**) წარსადგენად;
- დადგენილების პროექტი ასევე ითვალისწინებს მოქმედ რედაქციაში სათანადო ცვლილების განხორციელებას, „საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტრო“-ს სახელწოდების ამგვარი სახით რედაქტირების გათვალისწინებით.

მომხსენებლის განმარტებით, პროექტის მიღება არ გამოიწვევს დამატებითი ხარჯების გამოყოფას მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან, მისი ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე, ასევე, არ მოახდენს ზეგავლენას გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე, ხოლო, პროექტის ამოქმედების თარიღად განისაზღვრა - **გამოქვეყნების დღე.**

**აზრი გამოთქვას:**

არჩილ გორდულაძემ ისაუბრა პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში **საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“** 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის დამატების და პროექტის პირველი მუხლის ტექნიკურად გამართვის რეკომენდაციებზე, რომლებიც გაზიარებულ იქნა კომისიის მიერ.

**გადაწყვეტის:**

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და **მითითებული რეკომენდაციების** გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.



**მოისმინეს:**

**2. ვასილ აბულაძემ** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით - მე-2 საკითხად განსაზღვრული დადგენილების პროექტი, რაც მისივე მითითებით, მოწონებულია თბილისის მთავრობის მიერ და ითვალისწინებს, თბილისის საკრებულოს 2020 წლის 15 მაისის №57-52 დადგენილების მე-2 მუხლით დამტკიცებული წესის მე-5 მუხლის 2<sup>2</sup> პუნქტის ახალი რედაქციით ჩამოყალიბებას, რაც, გულისხმობს:

✓ მითითებულ პუნქტში „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტერიტორიული ორგანოების – თბილისის რაიონის გამგეობები“-ს, ჩამატებას, რითაც აღნიშნული უწყებები, ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახურთან ერთად, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად გაფორმებული ხელშეკრულებ(ებ)ის საფუძველზე განახორციელებენ ჩასატარებელი ინფრასტრუქტურული სამუშაოების კონტროლს (ინსპექტირებას), ასევე უფლებამოსილნი იქნებიან შესასრულებელი სამუშაოების შესახებ სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიაწოდონ წერილობითი ინფორმაცია, სადაც აღნიშნული იქნება, რომ მიმწოდებლები სამუშაოების შესრულებას განახორციელებენ შეთანხმებული საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემის შესაბამისად, ხოლო, ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახური და თბილისის რაიონის გამგეობები უზრუნველყოფენ, ამ სქემის შესაბამისად, სამუშაოების შესრულების კონტროლს, აღნიშნულ შემთხვევაში, სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო არ განახორციელებს სამუშაოების მიმდინარეობისას საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემის კონტროლს საქართველოს ადმინისტრაციულ-სამართალდარღვევთა კოდექსის 134<sup>1</sup> მუხლის შესაბამისად;


✓ გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახური ან თბილისის რაიონის გამგეობები წერილობითი მოსთხოვენ სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს, განახორციელოს საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემის კონტროლი, საქართველოს ადმინისტრაციულ-სამართალდარღვევთა კოდექსის 134<sup>1</sup> მუხლის შესაბამისად, აღნიშნული სამუშაოების მიმდინარეობისას სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო განახორციელებს საგზაო მოძრაობის ორგანიზების დროებითი სქემის კონტროლს იმ შემთხვევაში, თუ სამუშაოების ჩატარებისას საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა შეთანხმებულია ამ სააგენტოსთან.

ვასილ აბულაძემ დასძინა, რომ პროექტის ამოქმედებისთვის დამატებითი საბიუჯეტო სახსრები საჭირო არ არის, მისი ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე, ასევე, არ მოახდენს ზეგავლენას გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე.

**გადაწყვიტეს:**

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

**მოისმინეს:**



**3. ვასილ აბულაძემ,** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით - მე-3 საკითხად განსაზღვრული, თბილისის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის №35-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე პროექტი.

მომხსენებელმა კომისიის წევრებს მიაწოდა სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში/მერიაში 2023-2024 წლებში წარდგენილი ინფორმაცია/განცხადებები, რამაც განაპირობა დადგენილების პროექტის მომზადება, კერძოდ:


- ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შპს „ვეროპული სკოლის“ მიერ მოთხოვნილ იქნა 160 მოსწავლისათვისათვის სპეციალური რეგულარული გადაყვანის მარშრუტების დამტკიცება;
- ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების „ბრიტანულ ქართული აკადემიის“ მიერ მოთხოვნილ იქნა 129 მოსწავლისათვის სპეციალური რეგულარული გადაყვანის მარშრუტების დამტკიცება;
- ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შპს „თბილისის ბრიტანული საერთაშორისო სკოლის“ მიერ მოთხოვნილ იქნა 154 მოსწავლისათვის სპეციალური რეგულარული გადაყვანის მარშრუტების დამტკიცება;

**ვასილ აბულაძის მითითებით,** მოსწავლეთა მომსახურების, კომფორტული და უსაფრთხო სამგზავრო გადაყვანის მიზნით, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული განხორციელდეს მათი სპეციალური რეგულარული გადაყვანა, მათ შორის სამარშრუტო სატრანსპორტო საშუალების მოძრაობისათვის განკუთვნილ სპეციალურ ზოლში („BUS LANE“), შესაბამისი მარშრუტებით:

- ა) შპს „ვეროპული სკოლის“ M3 კატეგორიის არაუმეტეს 9 ერთეული ავტობუსით;
- ბ) შპს „ბრიტანულ ქართული აკადემიის“ M3 კატეგორიის არაუმეტეს 6 ერთეული ავტობუსით;
- გ) შპს „თბილისის ბრიტანული საერთაშორისო სკოლის“ M2 და M3 კატეგორიის არაუმეტეს 8 ერთეული ავტობუსით (ერთი წარმოადგენს რეზერვს), თანდართული მარშრუტით.

**როგორც მომხსენებელმა აღნიშნა,** სამივე ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების განცხადებებით წარმოდგენილია: ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მიერ გაცემული ავტორიზაციის შესახებ გადაწყვეტილებები, გადასაყვანი მოსწავლეების რაოდენობა, ავტობუსების სარეგისტრაციო მოწმობები, მძღოლების მონაცემები, მათ შორის შესაბამისი კატეგორიის მართვის მოწმობები; სპეციალური რეგულარული გადაყვანის მარშრუტები ქუჩების/გამზირების მითითებით, მათ შორის სამარშრუტო სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობისათვის განკუთვნილ ზოლში („BUS LANE“) ავტობუსების გადაადგილების მითითებით, ავტობუსების პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების წარმატებით გავლის დამადასტურებელი მოწმობები და ავტობუსების ვიზუალური მდგომარეობის ამსახველი ფოტოები.

**როგორც მომხსენებელმა აღნიშნა,** სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში ასევე წარდგენილ იქნა ინფორმაცია, რომ:



- შპს „ბრიტანულ ქართული აკადემია“ ახორციელებს აღიშნულ დაწესებულებაში დასაქმებული 60 პირის გადაყვანას M3 კატეგორიის 1 (ერთი) ერთეული ავტობუსით;
- შპს „თბილისის ბრიტანული საერთაშორისო სკოლა“ ახორციელებს ასევე 60 დასაქმებული პირის გადაყვანას, M3 კატეგორიის 1 (ერთი) ერთეული ავტობუსით;
- სსიპ - საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი ახორციელებს მასთან დასაქმებული 110-120 ადამიანის გადაწყვანას M3 კატეგორიის 4 (ოთხი) ერთეული ავტობუსით;
- შპს „შარმ ტრედიინგი“ ახორციელებს მასთან დასაქმებული 63 (სამოცდასამი) ადამიანს, M3 კატეგორიის 1 (ერთი) ერთეული ავტობუსით;

მომხსენებელმა შემაჯამებლად აღნიშნა, რომ თბილისის მთავრობამ იმსჯელა და ზემომითითებული დაწესებულებების თხოვნის გათვალისწინებით, მიზანშეწონილად მიიჩნია, თბილისის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის 35-105 დადგენილებაში ცვლილების განხორციელება, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მოსწავლეების სპეციალური რეგულარული გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M2 ან M3 კატეგორია) მარშრუტებისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში დასაქმებულების სპეციალური რეგულარული გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M2 ან M3 კატეგორია) მარშრუტების დასადგენად.

ვასილ აბულაძემ ასევე მიუთითა, რომ პროექტის ამოქმედებისთვის დამატებითი საბიუჯეტო სახსრები საჭირო არ არის, ხოლო, ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე, ასევე, არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე.


#### გადაწყვეტის:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

#### მოისმინეს:

4. ვასილ აბულაძემ, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით - მე-4 საკითხად განსაზღვრული, თბილისის საკრებულოს 2019 წლის 25 იანვრის №36-6 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე პროექტი, რომლის მომზადება, მისივე განმარტებით, განპირობებულ იქნა შემდეგ გარემოებათა/წინაპირობათა გამო:

- ქალაქ რუსთავში მცხოვრები მოსახლეობისათვის დედაქალაქის მიმართულებით გადაადგილებისათვის ეფექტური სატრანსპორტო პოლიტიკის გაუმჯობესების მიზნით, 2019 წელს სატრანსპორტო სისტემაში განხორციელებული ცვლილებებით, რუსთავი-თბილისის მიმართულებით (რუსთავის გასასვლელი-ნავთლულის ქ. N6/2-ის მოპირდაპირედ) დადგენილ იქნა ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით M3 კატეგორიის ავტობუსები, დღევანდელი მდგომარეობით, აღნიშნული მიმართულებით 6000-მდე მგზავრი სარგებლობს ყოველდღიურად, რაც ხაზს უსვამს საზოგადოების მხრიდან დადგენილი მარშრუტის მიმართ გაზრდილ მოთხოვნაზე, რისი ფაქტორიც გამოწვეულია კომფორტული და ხელმისაწვდომი გადაადგილებით;
- მიუხედავად იმისა, რომ დღევანდელი მდგომარეობით, დედაქალაქის მიმართულებით რუსთავიდან ხორციელდება მგზავრთა გადაყვანა M2 და M3 კატეგორიის



ავტობუსებით, მგზავრთა დიდი ნაკადის გათვალისწინებით, ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტში კვლავ დღის წესრიგში დგას თბილისის სპორტის სასახლის მიმართულებით ახალი მარშრუტის შეთანხმება და დამატებით M3 კატეგორიის ავტობუსების შემოყვანის საკითხი, თუმცა, აღნიშნული მისამართიდან, განსაკუთრებით საღამოს საათებში, მუდმივ პრობლემას წარმოადგენს მგზავრების გადაყვანა, შესაბამისად გაზრდილია ავტობუსების მოლოდინის დრო და მოთხოვნები სოციალურად ორიენტირებულ ტარიფებთან დაკავშირებით.

მომხსენებლის მითითებით, ზემოაღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით, მ/წლის 8 აპრილს, ქალაქ რუსთავის მერმა წერილობით მიმართა თბილისის მერს, რომლის მიხედვითაც, რუსთავის მუნიციპალიტეტი მზად არის განიხილოს თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ წარდგენილი მოსაზრებები/ალტერნატიული წინადადებები, სატრანსპორტო პოლიტიკის სფეროში, რუსთაველი მოსახლეობისათვის მნიშვნელოვანი სოციალური პროექტის განხორციელების მიზნით. აქვე დასძინა, რომ ქალაქი რუსთავი, მოსახლეობის კუთხით, ყოველ წელს განიცდის ზრდას, შესაბამისად აღნიშნული მუნიციპალიტეტისთვის პრიორიტეტულია რუსთავის მაცხოვრებლებისთვის ხელმისაწვდომი ტრანსპორტის სერვისის შეთავაზება, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტთან ერთობლივი, ქმედითი ღონისძიებების გატარებით.

მომხსენებლის მითითებით, თბილისის მთავრობამ, ქალაქ რუსთავთან თანამშრომლობის შედეგად, მიზანშეწონილად მიიჩნია, სათანადო განკარგულების მიღებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით, რუსთავი-თბილისის მარშრუტზე (რუსთავი - თბილისი, სპორტის სასახლის მიმართულებით) ავტობუსების (M3 კატეგორია) მარშრუტების, აგრეთვე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში იმ გზების ჩამონათვალისა და მათზე ავტობუსების (M3 კატეგორია) გაჩერებების ადგილების განსაზღვრა, სადაც რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით, რუსთავი-თბილისის მარშრუტზე მომუშავე ავტობუსები (M3 კატეგორია) გაჩერდებიან.


მომხსენებელმა ასევე აღნიშნა, რომ ყოველივე ზემომითითებულის გათვალისწინებით მომზადებულ იქნა დადგენილების პროექტი, რომლის ამოქმედებისთვის დამატებითი საბიუჯეტო სახსრები საჭირო არ არის, მისი ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე, ასევე, ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე, ხოლო, პროექტის ამოქმედების თარიღად განისაზღვრა მისი გამოქვეყნების დღე.

#### **გადაწყვიტეს:**

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

#### **მოისმინეს:**

**5. თამარ ბერუაშვილმა,** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით - მე-5 საკითხად განსაზღვრული დადგენილების პროექტი, რაც ითვალისწინებს, თბილისის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის N35-100 დადგენილების პირველი მუხლის „ა“



ქვეპუნქტით დამტკიცებულ „დაავადებათა სკრინინგის ქვეპროგრამის განხორციელების წესში“ (შემდგომში - წესი) ცვლილებების განხორციელებას, კერძოდ:

✓ წესის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ბ.ა“ ქვეპუნქტის რედაქციული ცვლილებით, აღნიშნული განისაზღვრება როგორც - „საშვილოსნოს ყელის დათვალიერება და პაპ-ტესტის (PAP-ტესტი) ჩატარება ბეტესტას მეთოდზე დაყრდნობით 25 წლიდან 30 წლამდე ასაკის ჩათვლით ქალებში“, ნაცვლად - 30 წლის ჩათვლით ქალებისა, ვინაიდან, საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგი მოიცავს საშვილოსნოს ყელის დათვალიერებას და პაპ-ტესტის (PAP-ტესტი) ჩატარებას ბეტესტას მეთოდზე დაყრდნობით 25 წლიდან 30 წლამდე ასაკის ქალებში;

✓ წესის გარდამავალ დებულებებში ახალი პუნქტის დამატებით, განისაზღვრება, რომ 2024 წლის 10 მაისამდე, ქვეპროგრამის მიმწოდებლად რეგისტრირებულ დაწესებულებები უფლებამოსილნი იქნებიან საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგი 30-დან 60 წლის ასაკის ჩათვლით ქალებში განახორციელონ HPV დნმ-ის განსაზღვრის ან პაპ-ტესტით (PAP-ტესტის) ბეტესტას მეთოდზე დაყრდნობით, ხოლო, აღნიშნული პუნქტის მოქმედება გავრცელდება 2024 წლის პირველი აპრილიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე, იმ მიზნით, რომ HPV-ზე ტესტირების ცენტრალიზებული მოდელის დანერგვის პროცესში, როდესაც ჯერ კიდევ მიმდინარეობს ტესტების მოწოდება, უგულებელყოფილი არ იქნას ქვეპროგრამით მოსარგებლე პირების ინტერესები და არ დაირღვეს მათი უფლებები.

თამარ ბერუაშვილმა დაამატა, რომ პროექტის მიღება არ გამოიწვევს დამატებითი თანხების გამოყოფას ბიუჯეტიდან, მისი ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე, ასევე, არ მოახდენს ზეგავლენას გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე, ხოლო, ამოქმედების თარიღად განისაზღვრება მისი გამოქვეყნების დღე.

**გადაწყვეტის:**

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

**მოისმინეს:**

**6. ქვარა ჩართოლანმა** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით - მე-6 საკითხად განსაზღვრული დადგენილების პროექტი, რაც ითვალისწინებს, თბილისის საკრებულოს 2022 წლის 6 მაისის №10-48 დადგენილებით დამტკიცებულ წესში შემდეგი ცვლილებების შეტანას, ავარიული სახლების ჩანაცვლების პროგრამის ფარგლებში, განსახორციელებელი/მიმდინარე პროექტების, დაგეგმილი სახით, შეუფერხებლად განხორციელების მიზნით:

✓ მე-8 მუხლის მე-4 პუნქტის ცვლილებით, არსებული ფაქტობრივი გარემოებიდან გამომდინარე, პროექტის განმახორციელებლის გადაწყვეტილებით, დაინტერესებული პირის საკუთრებაში შესაძლებელია ჩაითვალოს, ამავე მუხლით საგამონაკლისო სახით განსაზღვრული ფართი ან მისი ნაწილი, თუ იგი კეთილმოწყობილია და ფაქტობრივად გამოიყენება საცხოვრებლად, რაც დადასტურებული იქნება მუნიციპალიტეტის შესაბამისი რაიონული გამგეობის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციითა და ამხანაგობის ყველა წევრის მიერ ერთხმად მიღებული გადაწყვეტილებით, რადგან, ავარიული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ჩანაცვლების პროცესში სარეგისტრაციო მონაცემების



დამუშავებისას გამოვლინდა შემთხვევები როდესაც ფართი კეთილმოწყობილია, გამოიყენება საცხოვრებლად თუმცა არ არის რეგისტრირებული დაინტერესებული პირის საკუთრებაში, ამასთანავე, დაინტერესებული პირების საკუთრებაში არ იანგარიშება რეგისტრირებული საცხოვრებელი ან/და კომერციული სტატუსის მქონე ფართები, რომელთა ფაქტობრივი მდგომარეობა არ შეესაბამება სსიპ – საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში რეგისტრირებული ფართის დანიშნულებას;


✓ მე-8 მუხლში ახალი პუნქტის დამატებით, განისაზღვრება, რომ **ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის ყველა წევრის მიერ ერთხმად მიღებული გადაწყვეტილებით დაინტერესებული პირის საკუთრებად ისეთი ფართების განხილვა იქნება შესაძლებელი**, რომელთა, კომერციული ან/და საცხოვრებელი დანიშნულებით გამოყენების დადასტურება პროექტის განხორციელების მომენტისათვის, შენობის ტექნიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, შეუძლებელია;

✓ მე-10 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის ცვლილებით **კომპენსაციის გადახდის შეწყვეტის საფუძვლად დამატებულია დაინტერესებული პირებისთვის განკუთვნილი ფართების სარემონტო სამუშაოების დასრულების ფაქტი, როგორც განცალკევებული გარემოება;**

✓ მე-11 მუხლის პირველი და მეორე პუნქტების რედაქტირებით, **თეთრი კარკასის კონდიციით გადასაცემი ფართის მდგომარეობა ზუსტდება საცხოვრებელი ფართისთვისაც**, ასევე, მეტად დეტალურად გაიწერა, როგორც თეთრის კარკასის, ისე რემონტის მდგომარეობით გადასაცემი ფართების მახასიათებლები;

✓ მე-11 მუხლში მე-3 და მე-4 პუნქტების დამატებით, **დაინტერესებულ პირს უფლება ექნება უარი განაცხადოს მისთვის განკუთვნილი ფართის გარემონტებაზე**, რის შესახებაც წერილობითი განცხადება უნდა წარედგინოს პროექტის განმახორციელებელს სარემონტო სამუშაოების დაწყებამდე, ამასთან, რემონტზე უარის გაცხადების შემთხვევაში დაინტერესებულ პირს საცხოვრებელი ფართი ჩაბარდება თეთრი კარკასის მდგომარეობით, ხოლო მისთვის კომპენსაციის გაცემა შეწყდება, სხვა დაინტერესებული პირების მსგავსად, ახალ აშენებულ მრავალბინიან საცხოვრებელ სახლში დაინტერესებული პირებისთვის გადასაცემ ბინებზე პროექტის განმახორციელებლის დაკვეთით წარმოებული სარემონტო სამუშაოების დასრულებისთანავე, რის შესახებაც წერილობით ეცნობება დაინტერესებულ პირს ან/და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის თავმჯდომარეს, ამასთან, განისაზღვრება, რომ **ახალი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისას დაინტერესებული პირისგან მომდინარე ნებისმიერი ხელშეშლა შესაძლებელია გახდეს პროექტის განმახორციელებლის მხრიდან ამავე პირის სასარგებლოდ შესასრულებელი ნებისმიერი სამუშაოს (მათ შორის, სარემონტო) შესრულებაზე უარის თქმის საფუძველი.**

მომხსენებელმა დასძინა, რომ პროექტის ამოქმედება მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე, ასევე, არ მოახდენს ზეგავლენას გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე, ხოლო, დამტკიცების შემთხვევაში ამოქმედდება გამოქვეყნებისთანავე.



## აზრი გამოთქვას:

არჩილ გორდულაძემ ისაუბრა პროექტის შესაბამისი პუნქტების გაერთიანებისა და აღნიშნულის შედეგად გამოწვეული პუნქტების რიგითობის დარღვევის შესაბამისი თანმიმდევრობის დაცვის მიზანშეწონილობის რეკომენდაციებზე.

უფრაქციო დეპუტატმა გიორგი ონიანმა მოსაზრება გამოთქვა წარმოდგენილი პროექტის მიმართ და საკითხის მომხსენებელს მიმართა შეკითხვით: იმ პირებს, რომლებიც უარს განაცხადებენ ისარგებლონ თბილისის საკრებულოს შესაბამისი დადგენილებით განსაზღვრული - 1 კვ.მ-ზე რემონტის დაფინანსებისათვის გამოყოფილი თანხის ოდენობით, შემოთავაზებულ სარემონტო სამუშაოებზე, ხოლო, გამოთქვამენ სურვილს რემონტი საცხოვრებელ ფართში განახორციელონ საკუთარი სახსრებით, მიეცეთ მათ შესაძლებლობა - მიიღონ აღნიშნული ოდენობის თანხა, პირად ანგარიშზე ჩარიცხვის გზით და დაამატონ პირადი ფინანსური რესურსი, შემდგომში - სასურველი რემონტის განხორციელების მიზნით.

გამოთქმულ მოსაზრებასთან/შეკითხვასთან დაკავშირებით, ქვარა ჩართოლანმა განმარტა, რომ 1 კვ.მ-ზე რემონტის დაფინანსებისათვის თანხის გამოყოფის საკითხი (მისი ოდენობა) ემსახურება, მის მიღებაზე უფლების მქონე ყველა პირისათვის შესაძლებლობის მიცემას - განხორციელებულ იქნას სტანდარტული/საშუალო ხარისხის სარემონტო სამუშაოები, ყველა მათგანისათვის ცხოვრების პირობების გაუმჯობესების, უფლებათა თანაბარი დაცვისა (მათ, შორის, სოციალური გარანტიების შემქნის) და ხელმისაწვდომობის მიზნით, ხოლო, იმ პირებისათვის, ვინც უარს განაცხადებს აღნიშნული სარემონტო სამუშაოების განხორციელებაზე, თუმცა, მოითხოვს, აღნიშნულის, ფულადი სახით, პირად ანგარიშზე ჩარიცხვით მიღებას, შემდგომში - პირადი ფინანსური/მატერიალური რესურსის დამატებით, უკეთესი ხარისხის სარემონტო სამუშაოების წარმოების მიზნით, ა(ა)იპ „თბილისის განვითარების ფონდის“ პოზიცია, მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე, არის - უარყოფითი, ვინაიდან, აღნიშნული დაშვება გამოიწვევს უთანასწორობის და არათანაბარი მოპყრობის აღქმის/გრძნობის გაჩენას დაინტერესებულ პირებს შორის.

## გადაწყვეტის:


განკარგულების პროექტთან დაკავშირებით ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა უფრაქციო დეპუტატმა გიორგი ონიანმა.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციებს გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

## მოისმინეს:

7. ნინო ჯაფარიძემ, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით - მე-7 საკითხად განსაზღვრული დადგენილების პროექტი, რაც ითვალისწინებს, თბილისის საკრებულოს 2018 წლის 16 თებერვლის №13-35 დადგენილებით დამტკიცებული სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის დებულებაში ცვლილებების განხორციელებას, რაც გამოწვეულ იქნა სამსახურის სტრუქტურის განახლებისა და სამსახურის საქმიანობის ოპტიმიზაციის, ასევე, საქმისწარმოების ერთიან სისტემაში მოქცევის მიზნით, საქმისწარმოების ფუნქციების ა(ა)იპ „მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოსთვის“ გადასაცემის საკითხის მიზანშეწონილად მიჩნევის შემდგომ, თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისა და თბილისის





საკრებულოს მიერ, არქიტექტურის სამსახურში რეორგანიზაციის დაწყებისა და კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი ღონისძიებების განხორციელების თაობაზე გადაწყვეტილების მიღებით.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, სამსახურის უფროსის 2024 წლის ბრძანებით, რეორგანიზაციის გამო, არქიტექტურის სამსახურში დასაქმებულ პირებს ეცნობათ რეორგანიზაციის პროცესის შესახებ, კანონით დადგენილი წესით, ამასთან, ისაუბრა დადგენილების პროექტის შესაბამისად, სამსახურის დებულებაში განსახორციელებელი შემდეგი ცვლილებების შესახებ:

- ✓ უქმდება სამსახურის საქმისწარმოების განყოფილება;
- ✓ ზემოაღნიშნული განყოფილების გაუქმების პარალელურად, იქმნება სამსახურის არქივზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც დაექვემდებარება სამსახურის უფროსის ერთ-ერთ მოადგილეს;
- ✓ საქმისწარმოების განყოფილების უფლებამოსილებად განსაზღვრული ღონისძიება - საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი წესით საჯარო ინფორმაციის გაცემის უზრუნველყოფა, წარმოდგენილი დადგენილების პროექტით, გახდება სამსახურის იურიდიული განყოფილების უფლებამოსილება;
- ✓ სამსახურს ემატება ახალი შტატი - სამსახურის საქმიანობის ორგანიზაციულ-ტექნიკურ უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც დაექვემდებარება სამსახურის უფროსს;

მომხსენების მიწურულს წინო ჯაფარიძემ არნიშნა, რომ პროექტის მიღება არ გამოიწვევს ბიუჯეტიდან აუცილებელი ხარჯების გამოყოფას, არ მოახდენს გავლენას მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე.

**აზრი გამოთქვას:**


კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა პროექტის პირველი მუხლის პრეამბულას ტექნიკურად გამართვისა და სამსახურის უფროსის უფლება-მოვალეობების მუხლში (მე-5 მუხლი) პირველი პუნქტის „კ“ ქვეპუნქტში, სააგენტოში, სტაჟირების გავლის წესის, კონკრეტულად გათავისუფლების ნაწილში, არსებული მითითების „საჯარო დაწესებულებაში სტაჟირების გავლის წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 15 მაისის N177 დადგენილების 25-ე მუხლთან შესაბამისობაში მოყვანის მიზანშეწონილობის საკითხზე.

კომისიის რეკომენდაციები გაზიარებულ იქნა როგორც კომისიის წევრების, ასევე, საკითხის წარმომდგენის მიერ.

ამასთან, კომისიას მომხსენებელმა მიმართა წინადადებით წარმოდგენილი დადგენილების პროექტის პირველი მათიდან ამოქმედების საკითხთან დაკავშირებით, რაც გაზიარებულ იქნა კომისიის მიერ.

**გადაწყვეტის:**

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა უფრაქციო დეპუტატმა გიორგი ონიანმა.



იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და კომისიის თავმჯდომარის მიერ მითითებული რეკომენდაციების, აგრეთვე, საკითხის წარმომდგენის წინადადების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

#### **მოისმინეს:**

**8. ოთარ ჩიტიმეძე**, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით - მე-8 საკითხად განსაზღვრული დადგენილების პროექტი, რაც ითვალისწინებს, თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებულ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესებში“ შემდეგი სახის ცვლილებების განხორციელებას:

✓ 16<sup>3</sup> მუხლის მე-2 პუნქტში ემტება ფუნქციური ზონები: **სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1), სატრანსპორტო ზონა 2-ის (ტზ-2), სატრანსპორტო ზონა 3-ის (ტზ-3), აღნიშნული ზონების საცხოვრებელი ზონა 3-ით (სზ-3), საცხოვრებელი ზონა 4 -ით (სზ-4), საცხოვრებელი ზონა 5-ით (სზ-5), საცხოვრებელი ზონა 6-ით (სზ-6), საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1-ით (სსზ-1), საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით (სსზ-2) ან საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 3-ით (სსზ-3) ცვლილების შემთხვევებზე, გავრცელდება აღნიშნული მუხლით გათვალისწინებული მაკომპენსირებელი ღონისძიებები;**

✓ ზუსტდება 16<sup>3</sup> მუხლის მე-4 პუნქტის ჩანაწერიც და ემატება მითითება თარიღზე - „2009 წლის 5 ივნისიდან“, რაც გამოწვეულია იმით რომ დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმა, რითაც განსაზღვრულ იქნა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციური ზონები, მიღებულ იქნა ქ. თბილისის საკრებულოს 2009 წლის 5 ივნისის N6-17 გადაწყვეტილებით;

✓ საგამონაკლისო შემთხვევების ჩამონათვალს, 16<sup>3</sup> მუხლის მე-11 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტს დაემატება „თ“ ქვეპუნქტი;

✓ 16<sup>3</sup> მუხლის მე-11 პუნქტიდან „ბ“ ქვეპუნქტის ამოღება ხდება, რითაც მაკომპენსირებელი ღონისძიებები გავრცელდება კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონებში არსებულ მიწის ნაკვეთებზე.

✓ 21-ე მუხლის მე-5 პუნქტში გასწორდება ტექნიკური ხარვეზი და განისაზღვრება შემდეგი სახით: “K2 – სხვა მიწის ნაკვეთის (შემოერთებული) განაშენიანების კოეფიციენტი (კ1) ან მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი (კ2);”.


მომხსენებლის თქმით, პროექტის ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე, ხოლო, დამტკიცების შემთხვევაში, ამოქმედდება გამოქვეყნებისთანავე.

#### **აზრი გამოთქვას:**

კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა პროექტში, მე-3 მუხლის ნაცვლად, მე-2 მუხლის მითითების მიზანშეწონილობაზე, რაც გაზიარებულ იქნა საკითხის წარმომდგენის მიერ.

#### **გადაწყვეტის:**

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა უფრაქციო დეპუტატებმა გიორგი ონიანმა და დავით ფარცვანიამ.



იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და **მითითებული რეკომენდაციის გათვალისწინებით**, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

#### **მოისმინეს:**

**9. ირაკლი თავართქილაძემ**, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით - მე-9 საკითხად **განსაზღვრული დადგენილების პროექტი, რაც ითვალისწინებს**, თბილისის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-74 დადგენილებით დამტკიცებულ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქონების მართვის სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურებისა და დაჩქარებული მომსახურების საფასურის და ვადების განმსაზღვრელი წესში“ ცვლილების განხორციელებას, რაც განპირობებულ იქნა შემდეგი საფუძვლით:

✓ თბილისის მთავრობისა და თბილისის საკრებულოს შესაბამისი სამართლებრივი აქტებით მიღებული გადაწყვეტილებით, ცვლილება შევიდა თბილისის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-72 დადგენილებაში, იმ პუნქტის ამოღებით, რითაც განსაზღვრული იყო: აუქციონში გამარჯვებულის მიერ სააუქციონო პირობ(ებ)ის შეუსრულებლობის გამო აუქციონის შედეგების გაუქმებისას, არაუგვიანეს შედეგების გაუქმებიდან 10 კალენდარული დღისა, აუქციონში გამარჯვებულის მიერ აუქციონის ჩატარების მომსახურების საფასურის გადახდის ვალდებულება;


✓ **ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება განპირობებულ იქნა მითითებული ნორმის არაქმედითი ხასიათისა და პრაქტიკაში მისი აღსრულების შეუძლებლობის გამო, ვინაიდან**, აუქციონის შედეგების გაუქმების შემთხვევაში, მომსახურების საფასურს აუქციონში გამარჯვებული პირები არ იხდიდნენ, ხოლო სააგენტოს აღნიშნული თანხის გადახდევინებისთვის რაიმე ქმედითი ბერკეტი არ გააჩნდა, ერთადერთი გზა მოცემულ შემთხვევაში სასამართლოსთვის მიმართვა და თითოეული პირისთვის მომსახურების საფასურის თანხის დაკისრების მოთხოვნა იყო, თუმცა თანხის მცირე რაოდენობის გათვალისწინებით, პრაქტიკულად, დავა სასამართლოშიც არ გრძელდებოდა.

მომხსენებლის მითითებით, ვინაიდან, ნორმატიული სამართლებრივი აქტიდან ამოღებული ზემოაღნიშნული ნორმა იდენტური იყო თბილისის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-74 დადგენილების მე-12 მუხლის მე-5 პუნქტისა, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული, აღნიშნული მე-5 პუნქტის, მითითებული დადგენილებიდან ამოღებისა, შესაბამისად, თბილისის მთავრობის გადაწყვეტილებით, მომზადებულ იქნა წარმოდგენილი პროექტი, ხსენებული სამართლებრივი აქტების ურთიერთშეხამისობაში მოყვანის მიზნით.

მომხსენებლის მითითებით, პროექტის მიღება არ გამოიწვევს დამატებითი თანხების გამოყოფას ბიუჯეტიდან, მისი ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე, ასევე, არ ახდენს ზეგავლენას გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე, ხოლო, პროექტის ამოქმედების თარიღად განისაზღვრა მისი **გამოქვეყნების დღე**.

#### **გადაწყვიტეს:**

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა **უფრაქციო დეპუტატმა გიორგი ონიანმა**.



იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

**მოისმინეს:**


**10. ირაკლი თავართქილაძემ,** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით - მე-10 საკითხად განსაზღვრული დადგენილების პროექტი, რაც ითვალისწინებს, თბილისის საკრებულოს 2018 წლის 16 თებერვლის №13-42 დადგენილებით დამტკიცებულ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქონების მართვის სააგენტოს დებულება“-ში შემდეგი ცვლილებების განხორციელებას, რომლის მომზადება გამოწვეულ იქნა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის შესაბამისი განკარგულების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოში (შემდგომში - „სააგენტო“) დაწყებული რეორგანიზაციის გათვალისწინებით:

▪ **სააგენტოს ფუნქცია-მოვალეობებს ემატება:** „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის სარეგისტრაციო მონაცემების ცვლილებასთან დაკავშირებით შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება, მათ შორის, ფართობის გაზრდა დაურეგისტრირებელი უძრავი ნივთის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრაციისა და რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილების განხორციელების გზით;“, იმ მიზნით, რომ სააგენტოს მიეცეს შესაძლებლობა ერთდროულად მოახდინოს დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მუნიციპალიტეტის საკუთრების უფლების რეგისტრაცია და სწორედ ამ ტერიტორიის ხარჯზე უკვე მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ფართობის გაზრდა, რაც დაზოგავს სააგენტოს დროსა და რესურსს;

▪ სააგენტოს ფუნქცია-მოვალეობებს ასევე ემატება: საქართველოს მთავრობის 2016 წლის 9 მარტის N419 განკარგულებიდან გამომდინარე, კოოპერატიული ბინათმშენებლობის დაუმთავრებლობის შედეგად დაზარალებულ პირთა უძრავი ქონებით უზრუნველყოფასთან დაკავშირებული საკითხების ორგანიზება, მათ შორის, შესაბამის ინტერესთა გამოხატვაზე მოწვევის გამოცხადება და გამარჯვებული პირების გამოვლენა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისა და საკრებულოს შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების/შესაბამისი ხელშეკრულებების პროექტების მომზადება და სხვა შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება; ასევე, კოოპერატიული ბინათმშენებლობის დაუმთავრებლობის შედეგად დაზარალებულ პირთა უძრავი ქონებით უზრუნველყოფის თაობაზე სააგენტოში წარმოდგენილი განცხადებების განხილვა და შესაბამისი კორესპონდენციის წარმოება, რასაც სააგენტო ახორციელებს არსებული მდგომარეობით, თუმცა არ ითვალისწინებდა შესაბამისი ნორმატიული სამართლებრივი აქტი;

▪ ყოფილ კოოპერატიულ ბინათმშენებლობასთან დაკავშირებით, პროექტით წარმოდგენილი უფლებამოსილებები ცალკე ქვეპუნქტებად ჩაემატება სამართლებრივი უზრუნველყოფის სამმართველოს უფლებამოსილებებს;

▪ ადმინისტრაციული სამსახურის შემადგენლობაში შემავალი „ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების სამმართველოს“ სახელწოდება იცვლება და განისაზღვრება შემდეგნაირად: „ადამიანური რესურსების მართვისა და ორგანიზაციული



უზრუნველყოფის სამმართველო“, ამასთან, რედაქტირებას განიცდის აღნიშნული სამმართველოს უფლება-მოვალეობები, მათ, შორის, უფლებამოსილებებიდან ხდება „ოფიციალური კორესპონდენციის დამუშავებისა და მოძრაობის უზრუნველყოფის ვალდებულების“ ამოღება, ხოლო, უფლებამოსილებებს ემატება: „სამსახურში განსახილველად შემოსული დოკუმენტების აღრიცხვა, მათი შესრულებისა და ვადების კონტროლი“ და „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სხდომაზე წარდგენის მიზნით, სააგენტოს მიერ ინიცირებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების პროექტების ელექტრონული საქმისწარმოების პროგრამაში ასატვირთად ტექნიკური და მასთან დაკავშირებული ღონისძიებების განხორციელება“;

მომხსენებელმა დასძინა, რომ მითითებული ცვლილებები განპირობებულია სააგენტოს სტრუქტურის განახლების, საქმიანობის ოპტიმიზაციის, ასევე, საქმისწარმოების ერთიან სისტემაში მოქცევის აუცილებლობით, აქვე დასძინა, რომ პროექტის მიღება არ გამოიწვევს დამატებითი თანხების გამოყოფას ბიუჯეტიდან, ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე, ასევე, არ მოახდენს ზეგავლენას გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე, ხოლო, დამტკიცების შემთხვევაში ამოქმედდება გამოქვეყნებისთანავე.

#### აზრი გამოთქვას:

კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა პროექტის შესაბამის ნაწილში, კოოპერატიული ბინათმშენებლობები“-ს მოხსენიების ადგილებში, სიტყვის „ყოფილი“-ს მითითების, სააგენტოს უფროსის უფლება-მოვალეობების მუხლში, სააგენტოში სტაჟირების გავლის წესის კონკრეტულად გათავისუფლების ნაწილში, არსებული მითითების, საქართველოს მთავრობის 2023 წლის 15 მაისის N177 დადგენილება 25-ე მუხლთან შესაბამისობაში მოყვანის, ასევე პროექტის ქვეპუნქტების „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონთან შესაბამისობაში მოყვანის და არსებული სტილისტურის ხარვეზის გასწორების რეკომენდაციებზე, რომლებიც გაზიარებულ იქნა მომხსენებლის მიერ.


კომისიას წარედგინა მომხსენებლის წინადადება, დადგენილების პროექტის პირველი მასიდან ამოქმედების საკითხთან დაკავშირებით, რაც გაზიარებულ იქნა კომისიის მიერ.

#### გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციების/საკითხის მომხსენებლის წინადადების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

#### მოისმინეს:

11. ირაკლი თავართქილაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით - მე-11 საკითხად განსაზღვრული განკარგულების პროექტი, რაც ითვალისწინებს, თბილისის მთავრობის მიერ, თბილისის საკრებულოსთან შეთანხმებას, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, მდებარე: ქალაქი თბილისი, ბარალეთის ქუჩის მიმდებარედ, 400 კვ.მ. მიწის ნაკვეთის გაცვლის ფორმით, საპრივატიზებო საფასურით - 5 200 ლარის სანაცვლოდ პრივატიზებაზე, მოქალაქე ციალა ჯაჭვლიანის საკუთრებაში



არსებული, ქალაქ თბილისში, საქართველოს სამხედრო გზა, ახმეტელისა და ლუბლიანის ქუჩებს შორის მდებარე 400 კვ.მ. მიწის ნაკვეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადმოცემით, სათანადო ხელშეკრულების პროექტის პირობების შესაბამისად.


**როგორც ირაკლი თავართქილაძემ აღნიშნა,** რომ ზემოაღნიშნულმა მესაკუთრემ განცხადებით მიმართა სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს, 2010 წლიდან, სამკვიდრო მოწმობის საფუძველზე საკუთრებაში არსებული, ქ. თბილისში, საქართველოს სამხედრო გზა, ახმეტელისა და ლუბლიანის ქუჩებს შორის მდებარე 400 კვ.მ მიწის ნაკვეთის გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხთან დაკავშირებით, იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის“ მიღებამდე აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე ვრცელდებოდა სარეკრეაციო ზონა I (რზ-1), ხოლო, ახალი გენერალური გეგმით მასზე ვრცელდება ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონა (ლსზ), ამასთან, მითითებული უძრავი ქონება მდებარეობს დიღმის ტყე-პარკის ტერიტორიაზე.

**მომხსენებლის მითითებით,** დედაქალაქის გენერალური გეგმის მიხედვით, ქალაქის განვითარების პროცესში პრიორიტეტულია მწვანე საფარი, ახალი სარეკრეაციო ტერიტორიების შექმნა და შენარჩუნება, ხოლო დიღმის ტყე-პარკი წარმოადგენს ქალაქში არსებულ მდიდარ ეკოსისტემას, სადაც იზრდება უიშვიათესი ჯიშის მცენარეები და თბილისისთვის მას გააჩნია ისტორიული მნიშვნელობა, შესაბამისად, დედაქალაქის ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული შემოთავაზებულ საკადასტრო ერთეულზე სარეკრეაციო ფუნქციის შენარჩუნება და დიღმის ტყე-პარკში არსებული კერძო საკუთრებების მუნიციპალურ საკუთრებაში მიღება, შესაბამისად, გაცვლის ფორმით პრივატიზების მიზნობრიობით, ხსენებული მესაკუთრისათვის შეთავაზებულ იქნა მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქალაქ თბილისში, ბარალეთის ქუჩის მიმდებარედ არსებული 400 მიწის ნაკვეთი, რაზეც მითითებული პირის მიერ გაცხადებულ იქნა თანხმობა.

**ირაკლი თავართქილაძემ ასევე აღნიშნა,** რომ სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს, ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით, შესაძლებლად მიაჩნია და გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური თანახმაა - ქალაქ თბილისში, ბარალეთის ქუჩის მიმდებარედ არსებული 400 კვ.მ მიწის ნაკვეთის გაცვლის ფორმით პრივატიზებაზე, სანაცვლოდ, ქ.თბილისში, საქართველოს სამხედრო გზა, ახმეტელისა და ლუბლიანის ქუჩებს შორის (დიღმის ტყე-პარკის ტერიტორია) 400 კვ.მ მიწის ნაკვეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადმოცემის საკითხზე, ამასთან, **სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის დასკვნით:**

- მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საბაზრო ღირებულებამ, 2023 წლის 6 დეკემბრის მდგომარეობით, (შეფასებისას ფუნქციურ ზონად გათვალისწინებული იყო საცხოვრებელი ზონა) საორიენტაციოდ, შეადგინა 80 800 (ოთხმოცდარვა ათას რვაასი) ლარი;
- ციალა ჯაჭვლიანის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საბაზრო ღირებულებამ, ამავე ექსპერტიზის დასკვნის შესაბამისად, 2023 წლის 6 დეკემბრის მდგომარეობით (შეფასებისას ფუნქციურ ზონად გათვალისწინებული იყო სარეკრეაციო ზონა I.) საორიენტაციოდ, შეადგინა 75 600 (სამოცდათხუთმეტი ათას ექვსასი) ლარი.

**მომხსენებელმა შემაჯამებლად აღნიშნა,** რომ მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საბაზრო ღირებულება 5 200 ლარით აღემატება ციალა ჯაჭვლიანის



საკუთრებაში რეგისტრირებული უძრავი ქონების საბაზრო ღირებულებას, რის გადახდაზეც, თანხმობა გამოთქვა დაინტერესებულმა პირმა, მუნიციპალიტეტის სასარგებლოდ განსაზღვრულ ვადაში, ამდენად, თბილისის მთავრობამ, თბილისის საკრებულოს თანხმობის შემთხვევაში, საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, შესაძლებლად მიიჩნია ცილა ჯაჭვლიანის თხოვნის დაკმაყოფილება მითითებული მიწის ნაკვეთის გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხთან დაკავშირებით, საპრივატიზებო საფასურად - მიწის ნაკვეთების საბაზრო ღირებულებებს შორის სხვაობის არანაკლები ოდენობით (5 200 ლარით) განსაზღვრით.

#### **აზრი გამოთქვას:**

კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა პროექტის სამართლებრივი საფუძვლების ტექნიკურად გამართვის, პროექტის სათაურის ახალი რედაქციით ჩამოყალიბების, პროექტის მე-2 პუნქტის სტილისტურად გამართვისა და ხელშეკრულების 1.2 პუნქტის სათანადო რედაქციით გასწორების მიზანშეწონილობის რეკომენდაციებზე.

#### **გადაწყვეტის:**

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

#### **მოისმინეს:**

**12. ირაკლი თავართქილაძემ** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით - მე-12 საკითხად **განსაზღვრული განკარგულების პროექტი, რაც ითვალისწინებს, თბილისის მთავრობის მიერ, თბილისის საკრებულოსთან შეთანხმებას, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში, ქალაქი თბილისში, ისნის რაიონში არსებული, 695 კვ.მ. მიწის ნაკვეთის, საპრივატიზებო საფასურის - 35 512 ლარის ოდენობით, გაცვლის ფორმით პრივატიზებაზე**, მოქალაქე ლია ფანჯულიძის საკუთრებაში არსებული, ქალაქ თბილისში, საქართველოს სამხედრო გზა, ახმეტელისა და ლუბლიანის ქუჩებს შორის მდებარე 702 კვ.მ. მიწის ნაკვეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადმოცემის სანაცვლოდ, სათანადო ხელშეკრულების პროექტის პირობების შესაბამისად.

**როგორც მომხსენებელმა აღნიშნა**, ზემოაღნიშნულმა პირმა განცხადებით მიმართა სსიპ-ქონების მართვის სააგენტოს, მის საკუთრებაში არსებული ქალაქ თბილისში, საქართველოს სამხედრო გზა, ახმეტელისა და ლუბლიანის ქუჩებს შორის მდებარე 702 კვ.მ. მიწის ნაკვეთის გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხთან დაკავშირებით, აღნიშნულ ქონებას დაინტერესებული პირი, 2022 წლიდან ფლობს ჩუქების ხელშეკრულების საფუძველზე, ამასთან, „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის“ მიღებამდე, მიწის ნაკვეთზე ვრცელდებოდა სარეკრეაციო ზონა 1 (რზ-1), ხოლო ახალი გენერალური გეგმით მასზე ვრცელდება ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონა (ლზ), ამასთან, უძრავი ქონება მდებარეობს დიღმის ტყე-პარკის ტერიტორიაზე, ვინაიდან, ქალაქის განვითარების პროცესში პრიორიტეტულია მწვანე საფარი, ახალი სარეკრეაციო ტერიტორიების შექმნა/შენარჩუნება, დიღმის ტყე-პარკი წარმოადგენს ქალაქში არსებულ მდიდარ ეკოსისტემას, სადაც იზრდება უიშვიათესი ჯიშის მცენარეები, დედაქალაქის ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, ქალაქ თბილისის მთავრობის მიერ



მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული საკადასტრო ერთეულზე სარეკრეაციო ფუნქციის შენარჩუნება, დიდმის ტყე-პარკში არსებული კერძო საკუთრებების მუნიციპალურ საკუთრებაში მიღებით.

მომხსენებელმა განმარტა, რომ ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მოქალაქე ლია ფანჩულიძისთვის, გაცვლის ფორმით პრივატიზებისთვის, შეთავაზებულ იქნა ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში არსებული 695 კვ.მ. მიწის ნაკვეთი, რაზეც მის მიერ, განცხადებულ იქნა თანხმობა, ამასთან, **სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით და გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის პოზიციით**, შესაძლებლად იქნა მიჩნეული ქ. თბილისში, ისნის რაიონში არსებული 695 კვ.მ. მიწის ნაკვეთის, მოქალაქის საკუთრებაში არსებული ქალაქ თბილისში, საქართველოს სამხედრო გზა, ახმეტელისა და ლუბლიანის ქუჩებს შორის მდებარე 702 კვ.მ. მიწის ნაკვეთის მუნიციპალურ საკუთრებაში მიღება, ხოლო, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2023 წლის 7 დეკემბრის ექსპერტიზის დასკვნით:

- მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საბაზრო ღირებულებამ (შეფასებულ იქნა მოქმედი ფუნქციური ზონის შესაბამისად - სარეკრეაციო ზონა 3 (რზ-3)), 2023 წლის 6 დეკემბრის მდგომარეობით, საორიენტაციოდ შეადგინა **168 190** (ას სამოცდარვა ათას ას ოთხმოცდაათი) **ლარი**;
- მოქალაქის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საბაზრო ღირებულებამ (დამკვეთის მოთხოვნით ობიექტი შეფასდა ახალი გენ. გეგმის N39-18 დადგენილების ამოქმედებამდე არსებული ზონით - სარეკრეაციო ზონა 1 (რზ-1)) ამავე ექსპერტიზის დასკვნის შესაბამისად, 2023 წლის 6 დეკემბრის მდგომარეობით, საორიენტაციოდ შეადგინა **132 678** (ასოცდათორმეტი ათას ექვსას სამოცდათვრამეტი) **ლარი**.


**ირაკლი თავართქილაძემ დასძინა**, რომ ზემოაღნიშნული ექსპერტიზის დასკვნებით, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საბაზრო ღირებულება 35 512 (ოცდათხუთმეტი ათას ხუთას თორმეტი) ლარით აღემატება მოქალაქე ლია ფანჩულიძის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საბაზრო ღირებულებას, რომლის გადახდაზეც, მის მიერ გაცხადებულ იქნა თანხმობა, მუნიციპალიტეტის სასარგებლოდ, განსაზღვრულ ვადაში, ხოლო, თბილისის მთავრობამ იმსჯელა და მიზანშეწონილად მიიჩნია, თბილისის საკრებულოსთან შეთანხმების შემთხვევაში, საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, ლია ფანჩულიძის თხოვნის დაკმაყოფილება, მიწის ნაკვეთის გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხთან დაკავშირებით, საპრივატიზებო საფასურად მიწის ნაკვეთების საბაზრო ღირებულებებს შორის სხვაობის არანაკლები ოდენობის განსაზღვრით.

**აზრი გამოთქვას:**

**კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა** პროექტის სამართლებრივი საფუძვლების, სათაურისა და მე-2 პუნქტის სტილისტურად გამართვის მიზანშეწონილობის რეკომენდაციებზე, რომლებიც **გაზიარებულ იქნა** საკითხის წარმომდგენის მიერ.

**გადაწყვიტეს:**





იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და **მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინებით**, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.


**მოისმინეს:**

**13. ირაკლი თავართქილაძემ** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით - მე-13 საკითხად **განსაზღვრული განკარგულების პროექტი, რაც ითვალისწინებს, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, მდებარე: ქალაქი თბილისი, ნუცუბიძის N76, სართული 1, 17.65 კვ.მ ფართის და ამავე მისამართზე, 11.02 კვ.მ ფართის (ჯამურად - 28.67 კვ.მ.), 30 წლის მანძილზე თვითნებურად მცხოვრები, მოქალაქე თამაზ ქეთიშვილისთვის, პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზების თაობაზე საკითხის თბილისის საკრებულოსთან შეთანხმებას.**

მომხსენებლის მითითებით, თვითნებურად დაკავებული ფართების სიმბოლურ ფასად პრივატიზების საკითხთან დაკავშირებით, შუამდგომლობის გაწევის თხოვნით, ზემოაღნიშნულმა დაინტერესებულმა პირმა განცხადებით მიმართა ვაკის რაიონის გამგეობას, ხოლო, აღნიშნული უწყების მიერ, საკითხის შესწავლის დროს გამოკვეთილ იქნა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

- ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ვაკე-საბურთალოს მთავარი სამმართველოს ინფორმაციით, დასტურდება თამაზ ქეთიშვილის მიერ მისამართზე 32 წლის მანძილზე, ცხოვრების ფაქტის ნამდვილობა, ამასთან, უძრავ ქონებაზე ცხოვრების ფაქტს ადასტურებენ მოწმეები, სანოტარო წესით დამოწმებული ხელმოწერით;
- სსიპ - დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს დევნილთა მონაცემთა ბაზის მიხედვით, თამაზ ქეთიშვილი დევნილად რეგისტრირებულნი არ არის;
- დაინტერესებული პირის ოჯახის წევრები თანხმობას აცხადებენ, თვითნებურად დაკავებული უძრავი ქონება დარეგისტრირებულ იქნას აღნიშნული პირის სახელზე.
- უძრავი ქონების მოქალაქეთა საკუთრებაში მიღებასთან დაკავშირებით, თბილისის საქალაქი სასამართლოს ადმინისტრაციული კოლეგიის მიერ 2017 წლის 11 აპრილს მიღებული გადაწყვეტილებით, მოქალაქეთა სასარჩელო მოთხოვნა ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, ბათილად იქნა ცნობილი სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს გადაწყვეტილება და დაევალა, კანონით დადგენილ ვადაში საქმის (პრივატიზების საკითხი) არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებათა შესწავლის გამოკვლევისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, გამოეცა ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, ამასთან, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის წერილით, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ეთხოვა მოქალაქეთა ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული უძრავი ქონების (ფართების) მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადაცემა, შემდგომში დაინტერესებული პირებისთვის საკუთრებაში გადაცემის მიზნით, რაც დაკმაყოფილებულ იქნა, მათ, შორის თამაზ ქეთიშვილისთვის გადასაცემი უძრავი ქონების მუნიციპალიტეტისათვის გადაცემით;
- საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, თამაზ ქეთიშვილის საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე რეგისტრირებული არ არის.

მომხსენებელმა შემაჯამებლად აღნიშნა, რომ ყოველივე მითითებულის გათვალისწინებით, თბილისის მთავრობამ იმსჯელა და მიზანშეწონილად მიიჩნია,



უძრავი ქონების სიმბოლურად ფასად პრივატიზების თაობაზე საკითხის თბილისის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარმოდგენა.

#### **გადაწყვეტის:**

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა **უფრაქციო დეპუტატმა დავით ფარცვანიამ.**

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

#### **მოისმინეს:**

**14. ირაკლი თავართქილაძემ** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით - მე-14 საკითხად **განსაზღვრული განკარგულების პროექტი, რაც ითვალისწინებს, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, მდებარე: ქალაქი თბილისი, ოცხელის ქუჩა N4-ში, პირველ სართულზე, 45.20 კვ.მ ფართის ბინა N2-ის თვითნებურად მცხოვრები მოქალაქე მაგული წიკლაურისთვის პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზების თაობაზე საკითხის თბილისის მთავრობის მიერ, თბილისის საკრებულოსთან შეთანხმებას.**

მომხსენებლის მითითებით, უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად პრივატიზების საკითხთან დაკავშირებით, შუამდგომლობის გაწევის თხოვნით, მოქალაქე მაგული წიკლაურმა განცხადებით მიმართა სამგორის რაიონის გამგეობას, ხოლო, ამ უკანასკნელის მიერ, საკითხის შესწავლის დროს, გამოიკვეთა:

- ქალაქ თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ისანი-სამგორის სამმართველოს პოლიციის V განყოფილების ცნობით დასტურდება მოქალაქის მიერ, მისამართზე, დაახლოებით **2000 წლიდან ცხოვრების ფაქტის ნამდვილობა**, ფაქტის ნამდვილობა ასევე დასტურდება მეზობლების სანოტარო წესით დამოწმებული თანხმობით, გამგეობის საუბნო განყოფილების მიერ შედგენილი შემოწმების აქტითა და ფოტომასალით;
- სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ცნობით, დაინტერესებული პირისა და მისი ოჯახის წევრების სახელებზე საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე არ არის/არ ყოფილა რეგისტრირებული.


**მომხსენებელმა აღნიშნა**, რომ გამგეობამ შუამდგომლობის გაწევის თხოვნით მიმართა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერს, დევნილის სტატუსის არმქონე პირისათვის ხანგრძლივი დროის მანძილზე დაკავებული ფართის სიმბოლურ ფასად პრივატიზებასთან დაკავშირებით, ხოლო, თბილისის მთავრობამ მოიწონა და მიზანშეწონილად მიიჩნია საკითხის თბილისის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა.

#### **აზრი გამოთქვას:**

კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა პროექტის პირველი და მე-2 პუნქტების ტექნიკურად გასწორების, აგრეთვე, პროექტის სათაურის რედაქტირების შესახებ რეკომენდაციებზე, რომლებიც გაზიარებულ იქნა საკითხის წარმომდგენის მიერ.

#### **გადაწყვეტის:**

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და **მითითებული**



**რეკომენდაციების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.**

**მოისმინეს:**

**15. ირაკლი თავართქილაძემ** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით - მე-15 საკითხად განსაზღვრული განკარგულების პროექტი, რაც ითვალისწინებს, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქალაქ თბილისში, ხიზანიშვილის ქუჩა N67, მე-3 სართულზე არსებული **54.92 კვ.მ.** ფართის ხანგრძლივი დროის მანძილზე, თვითნებურად მცხოვრები, **მაკა მიქავასთვის**, პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზების თაობაზე საკითხის თბილისის მთავრობის მიერ თბილისის საკრებულოსთან შეთანხმებას.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, დაინტერესებულმა პირმა თვითნებურად დაკავებული ფართის სიმბოლურ ფასად პრივატიზებასთან დაკავშირებით, შუამდგომლობის გაწევის თხოვნით მიმართა გლდანის რაიონის გამგეობას, ხოლო, აღნიშნული უწყების მიერ, საკითხის შესწავლის დროს, გამოიკვეთა შემდეგი:

- **სსიპ - დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოსთან თანამშრომლობით, დაზუსტებულ იქნა მაკა მიქავას მიერ დაკავებული ფართის ზუსტი მდებარეობა, წარმოების პროცესში, ქონების მართვის სააგენტოს მიერ განხორციელდა ფართის აზომვა და მუნიციპალიტეტის სახელზე რეგისტრაცია;**
- ქალაქ თბილისის პოლიციის დეპარტამენტის გლდანი-ნამალადევის სამმართველოს ცნობით დასტურდება მაკა მიქავას მიერ, 2000 წლიდან, მისამართზე ცხოვრების ფაქტის ნამდვილობა, ხანგრძლივი ცხოვრების ფაქტს ასევე ადასტურებენ მეზობლები სანოტარო წესით დამოწმებული აქტებით;
- დევნილთა მონაცემთა ბაზის მიხედვით, მაკა მიქავა და მისი ოჯახის წევრები დევნილად რეგისტრირებულნი არ არიან;
- საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემებით, მოქალაქე მაკა მიქავაზე და მისი ოჯახის წევრებზე საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე მუნიციპალიტეტის მასშტაბით რეგისტრირებული არ არის.


მომხსენებელმა აღნიშნა, რომ გამგეობამ საკითხთან დაკავშირებით, შუამდგომლობით მიმართა სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს, ხოლო, თბილისის მთავრობამ მოიწონა და მიზანშეწონილად მიიჩნია, უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად პრივატიზების თაობაზე საკითხის თბილისის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა.

**აზრი გამოთქვეს:**

კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა პროექტის სათაურის ტექნიკურად გამართვის რეკომენდაციაზე, რაც გაზიარებულ იქნა საკითხის წარმომდგენის მიერ.

**გადაწყვიტეს:**

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.



#### მოისმინეს:

**16. ირაკლი თავართქილაძემ**, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს წარუდგინა, კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით - მე-16 საკითხად **განსაზღვრული განკარგულების პროექტი, რაც ითვალისწინებს, მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული**, ქალაქ თბილისში, დაბა კოჯორში, გალაკტიონ ტაბიძის ქუჩა N6, მე-2 სართულზე არსებული **157.26 კვ.მ** ფართის ხანგრძლივი დროის მანძილზე მცხოვრები მოქალაქე **მზისავარ ნაყურისთვის** პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზების საკითხის თბილისის საკრებულოსთან, თბილისის მთავრობის მიერ შეთანხმებას.

როგორც ირაკლი თავართქილაძემ აღნიშნა, მთაწმინდის რაიონის გამგეობას წარუდგინა მოქალაქე მზისავარ ნაყურის განცხადება თვინებურად დაკავებული უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად პრივატიზებასთან დაკავშირებით შუამდგომლობის გაწევის თხოვნით, ხოლო, აღნიშნული უწყების მიერ, საკითხის შესწავლის დროის გამოიკვეთა შემდეგი:

- ქალაქ თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ძველი თბილისის მთავარი სამმართველოს **ცნობით დასტურდება მზისავარ ნაყურის მიერ** მისამართზე 2005 წლიდან ცხოვრების ფაქტის ნამდვილობა, ხანგრძლივი ცხოვრების ფაქტს ასევე დასტურდება მეზობლების სანოტარო წესით დამოწმებული აქტებით, აგრეთვე, მთაწმინდის რაიონის გამგეობის შემოწმების აქტით;

- საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, **მზისავარ ნაყურისა და** მისი ოჯახის წევრების სახელებზე საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე რეგისტრირებული არ არის;

- სსიპ - დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს ბაზაში **მზისავარ ნაყური** და მისი ოჯახის წევრები რეგისტრირებული არ არიან.


ირაკლი თავართქილაძის ინფორმაციით, გამგეობამ საკითხთან დაკავშირებით შუამდგომლობის გაწევის თხოვნით მიმართა ქალაქ თბილისის მერს და სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს, ხოლო, თბილისის მთავრობამ მოიწონა და მიზანშეწონილად მიიჩნია, ფართის სიმბოლურ ფასად პრივატიზების თაობაზე პროექტის თბილისის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა.

#### გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

#### მოისმინეს:

**17. ირაკლი თავართქილაძემ**, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით - მე-17 საკითხად **განსაზღვრული განკარგულების პროექტი, რაც ითვალისწინებს, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში, ქალაქ თბილისში, მიხეილ გაბოკიძის ქუჩა N12ა-ში, ჯამში 66.30 კვ.მ ფართის, ხანგრძლივი დროის მანძილზე, თვითნებურად მცხოვრები ორი მოქალაქისათვის: თინა მარგველიანისა** (ფართი - 50.67 კვ.მ, სართული 2, ბინა N30) და **მიხეილ ჩუბინიძისთვის** (ფართი - 15.63 კვ.მ, სართული 2) პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთ) ლარად, პრივატიზების საკითხის ქალაქ თბილისის მთავრობის მიერ, თბილისის საკრებულოსთან შეთანხმებას.



**როგორც მომხსენებელმა აღნიშნა**, სამგორის რაიონის გამგეობას, უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად პრივატიზების საკითხთან დაკავშირებით, განცხადებით მიმართეს ზემოაღნიშნულმა მოქალაქეებმა, ხოლო, გამგეობის მიერ, საკითხის შესწავლის დროს, გამოვლინდა შემდეგი:

- ქალაქ თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ისანი-სამგორის სამმართველოს ცნობით, დგინდება, რომ თინა მარგველიანი ოჯახთან ერთად **2007 წლიდან** ცხოვრობს მითითებულ მისამართზე, ხოლო მიხეილ ჩუბინიძე კი დაახლოებით 12-15 წელია, რასაც ასევე მოწმობს გამგეობის მე-3 მასივის საუბნო განყოფილების შემოწმების აქტები;

- სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ცნობით, დაინტერესებული პირების სახელებზე საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე, უახლესი ინფორმაციით, რეგისტრირებული არ არის;

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ თბილისის მთავრობამ მოიწონა წარმოდგენილი საკითხი და მიზანშეწონილად მიიჩნია, თბილისის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა.

#### **გადაწყვიტეს:**

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

#### **მოისმინეს:**

**18. ირაკლი თავართქილაძემ**, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს წარუდგინა, კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით - მე-18 საკითხად **განსაზღვრული განკარგულების პროექტი, რაც ითვალისწინებს**, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქალაქ თბილისში ნიკოლოზ ხუდადოვის ქუჩა N173, კორპუსი 4-სა და კორპუსი N5-ში მდებარე ქონების (ჯამში - 146.78 კვ.მ. ფართი) თვითნებურად მცხოვრები შემდეგი მოქალაქეებისათვის უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის ფორმით, **სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზების თაობაზე საკითხის ქალაქ თბილისის მთავრობის მიერ, თბილისის საკრებულოსთან შეთანხმებას:**


- ვიქტორია კოროტკოვს გადაეცემა 73.61 კვ.მ ფართი;
- ზაქარია ტუგულაშვილს გადაეცემა - 73.17 კვ.მ ფართი;

მომხსენებლის მითითებით, ჩუღურეთის რაიონის გამგეობის მიერ განხორციელებული ადმინისტრაციული წარმოების შედეგად, მოკვლეულ იქნა შემდეგი სახის ინფორმაცია:

- ქალაქ თბილისის პოლიციის დეპარტამენტის დიდუბე-ჩუღურეთის მთავარი სამმართველოს პოლიციის III სამმართველოს **ინფორმაციით**, დასტურდება რომ ზემოაღნიშნული პირები **30-35 წელია** ნამდვილად ცხოვრობენ მითითებულ მისამართზე;

- ცხოვრების ფაქტის ნამდვილობა ასევე დასტურდება ჩუღურეთის რაიონის გამგეობის მიერ შედგენილი შემოწმების აქტებითა და სანოტარო წესით დამოწმებული მეზობლების თანხმობით;

- საქართველოს თავდაცვის სამინისტროს აღმოსავლეთ საქართველოს საბინაო-საექსპლუატაციო ნაწილის 1991 წელს და 2004 წელს გაცემულ იქნა ორდერები, რომელთა თანახმად ზემოაღნიშნულ პირებს, ქალაქ თბილისში, ხუდადოვის ქუჩა, **სამხედრო ქალაქში გადაეცათ საცხოვრებელი ფართი;**



▪ **დაინტერესებული პირები თანხმობას აცხადებენ** მათ ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული ქონების პრივატიზების შემთხვევაში, თმობენ მოთხოვნის უფლებას/პრეტენზიას საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიმართ, ასევე, მათი ოჯახის წევრები აცხადებენ თანხმობას უძრავი ქონება გაფორმდეს მათი ოჯახის შესაბამის წევრზე და ამასთან დაკავშირებით მათ არანაირი პრეტენზია არ ექნებათ;

▪ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემებით, აღნიშნულ პირებზე საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე მუნიციპალიტეტის მასშტაბით **რეგისტრირებული არ არის.**

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, ზემოაღნიშნული პირებისათვის ფართების სიმბოლურ ფასად პრივატიზების საკითხთან დაკავშირებით, შუამდგომლობის გაწევის თხოვნით ჩუღურეთის რაიონის გამგეობამ მიმართა სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს, ხოლო, ქალაქ თბილისის მთავრობამ, ყოველივე მითითებულის გათვალისწინებით, მოიწონა და მიზანშეწონილად მიიჩნია საკითხის თბილისის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა.

#### **გადაწყვეიტეს:**

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

#### **მოსმინეს:**


**19. ირაკლი თავართქილაძემ**, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს წარუდგინა, კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით - მე-19 საკითხად **განსაზღვრული განკარგულების პროექტი**, რაც ითვალისწინებს, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში, ქალაქ თბილისში, მე-3 მასივის (კახეთის გზატკეცილი) მე-10 კვარტლის N9 და N10 კორპუსებს შორის, პირველ სართულზე მდებარე **46.48 კვ.მ** ფართის თვითნებურად მრავალი წლის მანძილზე მცხოვრები მოქალაქე **ნაირა ქაჯაიასთვის** პირდაპირი განკარგვის ფორმით, **სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად** პრივატიზების თაობაზე საკითხის თბილისის საკრებულოსთან შეთანხმებას.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, სამგორის რაიონის გამგეობას, უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად პრივატიზების საკითხთან დაკავშირებით, შუამდგომლობის გაწევის თხოვნით მიმართა მოქალაქე **ნაირა ქაჯაიამ**, ხოლო, გამგეობის მიერ საკითხის შესწავლის დროს გამოიკვეთა შემდეგი:

▪ ქალაქ თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ისანი-სამგორის მთავარი სამმართველოს პოლიციის I სამმართველოს **ინფორმაციით**, **ნაირა ქაჯაია დაახლოებით 6-10 წელია** ნამდვილად ცხოვრობს მითითებულ მისამართზე, ცხოვრების ფაქტის ნამდვილობას ასევე ადასტურებს, სამგორის რაიონის გამგეობის III მასივის საუბნო განყოფილების შემოწმების აქტი და სანოტარო წესით დამოწმებული მეზობლების თანხმობა;

▪ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემებით, **ნაირა ქაჯაიაზე** საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე მუნიციპალიტეტის მასშტაბით **რეგისტრირებული არ არის.**

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, სამგორის რაიონის გამგებელმა **უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად პრივატიზების საკითხთან დაკავშირებით** შუამდგომლობით მიმართა



ქალაქ თბილისის მერს, ხოლო, საკითხი მოწონებულ იქნა თბილისის მთავრობის მიერ და მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული თბილისის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა, შემდეგი საპრივატიზებო პირობით:

✓ იმის გათვალისწინებით, რომ ა(ა)იპ - თბილისის მუნიციპალური ლაბორატორიის 2023 წლის 2 მარტის ქ. თბილისი, ვარკეთილის III მასივი, მე-10 კვარტლის N9 და N10 კორპუსებს შორის არსებული შენობის ტექნიკურ მდგომარეობაზე დასკვნით, შენობის ტექნიკური მდგომარეობა ავარიულობის თვალსაზრისით შეესაბამება დაზიანების IV ხარისხს, გადასაცემი პრივატიზების საგნის საპრივატიზებო პირობად განისაზღვრა შემდეგი:

▪ ქონების შემქმნმა ხელი არ უნდა შეუშალოს აღნიშნულ უძრავ ქონებაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავარიული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ჩანაცვლების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 6 მაისის №10-48 დადგენილების შესაბამისად, შესაძლო ავარიული კორპუსების ჩანაცვლების პროგრამის განხორციელებას, რომლის მიზანია ავარიული სახლის დემონტაჟი და მის ადგილას ახალი შენობა-ნაგებობის განთავსება ან/და საზოგადოებრივი სივრცის მოწყობა.

▪ ასევე, ქონების შემქმენი ვალდებულია, რომ ხელი მოაწეროს ყველა საჭირო დოკუმენტს (მათ შორის: განცხადებას, წერილობით თანხმობას, ხელშეკრულებას), რომელიც დაკავშირებულია შესაძლო ავარიული კორპუსის ჩანაცვლების პროგრამის შეუფერხებლად განხორციელებასთან.

#### აზრი გამოთქვას:

მომხსენებელმა ისაუბრა პროექტის სათაურის ტექნიკურად გამართვის მიზანშეწონილობაზე, რაც გაზიარებულ იქნა საკითხის წარმომდგენის მიერ.

#### გადაწყვიტეს:


იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

#### მოისმინეს:

20. ირაკლი თავართქილაძემ, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს წარუდგინა, კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით - მე-20 საკითხად განსაზღვრული განკარგულების პროექტი, რაც ითვალისწინებს, მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული, ქალაქ თბილისში, დავით იოსელიანის მე-2 შესახვევი N17-ში მდებარე უძრავი ქონების (ჯამში: 302.28 კვ.მ) ხანგრძლივი დროის მანძილზე, თვითნებურად მცხოვრები შემდეგი პირებისათვის პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზების საკითხის ქალაქ თბილისის მთავრობის მიერ, თბილისის საკრებულოსთან შეთანხმებას:

- ივანე არსანიძეს გადაეცემა - 100.76 კვ.მ. ფართი;
- ავთანდილ გოცაძეს გადაეცემა - 100.76 კვ.მ. ფართი;
- ლელა ცუცქერიძეს გადაეცემა - 100.76 კვ.მ. ფართი;

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, ზემომითითებულმა პირებმა, თვითნებურად დაკავებული ფართის, სიმბოლურ ფასად პრივატიზების მიზნით, განცხადებით მიმართეს



ნაძალადევის რაიონის გამგეობას, ხოლო, აღნიშნული უწყების მიერ, საკითხის შესწავლის დროს გამოიკვეთა შემდეგი:

✓ ქალაქ თბილისის პოლიციის დეპარტამენტის გლდანი-ნაძალადევის მთავარი სამმართველოს პოლიციის V სამმართველოს ცნობით დასტურდება, რომ დაინტერესებული პირები დააცლოებით 12 წელია ცხოვრობენ მისამართზე, ამასთან, ცხოვრების ფაქტის ნამდვილობას ასევე დასტურდება სანოტარო წესით დამოწმებული მეზობლების თანხმობით და გამგეობის შემოწმების ოქმებით;

✓ ნაძალადევის რაიონის გამგეობის მიერ, სსიპ ქონების მართვის სააგენტოს ეცმობა, რომ ქალაქ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, დავით იოსელიანის მე-2 შესახვევი N17-ში მდებარე კორპუსი 2010 წლიდან თვითნებურად დაიკავეს მოქალაქეებმა, შავი კარკასის მდგომარეობა მოიყვანეს საცხოვრებლად ვარგის მდგომარეობაში და შემდგომში აღნიშნული პირების მიერ მოთხოვნილ იქნა თვითნებურად დაკავებული ფართის პრივატიზება, ამასთან, საკითხის შესწავლიას გამოიკვეთა, რომ ქალაქ თბილისში, დავით იოსელიანის მე-2 შესახვევი N17-ში მდებარე უძრავი ქონება არ წარმოადგენს/არ წარმოადგენდა კოოპერატიული ბინათმშენებლობის მიზნით აშენებულ კორპუსს, არ არის კერძო თუ იურიდიული პირის ქონება, აღნიშნული ქონების მესაკუთრეა სახელმწიფო (ამჟამად ქონება ირიცხება თვითმმართველობის სახელზე).

✓ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემებით, აღნიშნულ პირებზე საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე მუნიციპალიტეტის მასშტაბით **რეგისტრირებული არ არის.**

**როგორც მომხსენებელმა აღნიშნა,** საკითხთან დაკავშირებით, ნაძალადევის რაიონის გამგეობამ შუამდგომლობა გაუწია მოქალაქეებს ხოლო, ქალაქ თბილისის მთავრობამ იმსჯელა და მიზანშეწონილად მიიჩნია, მოქალაქეთა მიერ, მრავალი წლის მანძილზე, თვითნებურად დაკავებული ფართის სიმბოლურ ფასად პრივატიზების თაობაზე საკითხის თბილისის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა.

#### **გადაწყვეტის:**


იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

#### **მოისმინეს:**

**21. ირაკლი თავართქილაძემ,** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს წარუდგინა, კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით - **21-ე საკითხად განსაზღვრული განკარგულების პროექტი,** რაც ითვალისწინებს, მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული, ქალაქ თბილისში, ევროპის I ჩიხი N4ა-ში, პირველ სართულზე, 82.60 კვ.მ ფართის, ხანგრძლივი დროის მანძილზე, თვითნებურად მცხოვრები მოქალაქე **ნატო ლეჟავასთვის** პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის თბილისის მთავრობის მიერ, თბილისის საკრებულოსთან შეთანხმებას.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, სამგორის რაიონის გამგეობას განცხადებით მიმართა მოქალაქე **ნატო ლეჟავამ,** თვითნებურად დაკავებული ფართის სიმბოლურ ფასად





პრივატიზების საკითხთან დაკავშირებით, ხოლო, აღნიშნული უწყების მიერ, საკითხის შესწავლის დროს გამოიკვეთა შემდეგი:

✓ ქალაქ თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ისანი-სამგორის მთავარი სამმართველოს პოლიციის I სამმართველს ინფორმაციით, ნატო ლეჟავა 20 წელია ნამდვილად ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე, ამასთან, ცხოვრების ფაქტის ნამდვილობას ადასტურებს სამგორის რაიონის გამგეობის შემოწმების აქტი, ასევე, სანოტარო წესით დამოწმებული მეზობლების თანხმობა;

✓ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით ნატო ლეჟავასა და მისი ოჯახის წევრების სახელებზე საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე რეგისტრირებული არ არის;

ირაკლი თავართქილაძის მითითებით, დაინტერესებულ პირს, წარდგენილ თხოვნასთან დაკავშირებით, შუამდგომლობა გაუწია სამგორის რაიონის გამგეობამ, ხოლო, ყოველივე მითითებულის გათვალისწინებით, თბილისის მთავრობამ იმსჯელა და მიზანშეწონილად მიიჩნია საკითხის თბილისის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა.

#### **აზრი გამოთქვას:**

კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა პროექტის სათაურის ტექნიკურად გამართვის მიზანშეწონილობაზე, რაც გაზიარებულ იქნა საკითხის წარმომდგენის მიერ.

#### **გადაწყვეტის:**


იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და **მითითებული რეკომენდაციის გათვალისწინებით**, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

#### **მოისმინეს:**

**22. ირაკლი თავართქილაძემ**, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს წარუდგინა, კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით - **22-ე საკითხად განსაზღვრული განკარგულების პროექტი**, რაც ითვალისწინებს, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, მდებარე: ქალაქი თბილისი, ქიზიყის ქუჩა N32-ში მდებარე **21.38 კვ.მ.** უძრავი ქონების ხანგრძლივი დროის მანძილზე, თვითნებურად მცხოვრები მოქალაქე **ემილ მამედოვისთვის** პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად, პრივატიზების თაობაზე საკითხის თბილისის მთავრობის მიერ, თბილისის საკრებულოსთან შეთანხმებას.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სამგორის რაიონის გამგეობას განცხადებით მიმართა მოქალაქე **ემილ მამედოვმა**, თვინებურად დაკავებული ფართის სიმბოლურ ფასად პრივატიზების საკითხზე შუამდგომლობის გაწევის თხოვნით, ხოლო, გამგეობის მიერ, საკითხის შესწავლის დროს გამოიკვეთა შემდეგი:

✓ ქალაქ თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ისანი-სამგორის მთავარი სამმართველოს პოლიციის VII სამმართველოს ინფორმაციით, ემილ მამედოვი 2005 წლიდან დღემდე ნამდვილად ცხოვრობს მითითებულ მისამართზე, ამასთან, ცხოვრების ფაქტის ნამდვილობას ასევე ადასტურებს სანოტარო წესით დამოწმებული მოქალაქეთა თანხმობა;



✓ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემებით, მოქალაქე ემილ მამედოვის სახელზე საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე მუნიციპალიტეტის მასშტაბით რეგისტრირებული არ არის.

მომხსენებლის მითითებით, სამგორის რაიონის გამგეობამ შუამდგომლობა გაუწია აღნიშნულ მოქალაქეს წარდგენილ თხოვნასთან დაკავშირებით, ხოლო, ქალაქ თბილისის მთავრობამ იმსჯელა და მიზანშეწონილად მიიჩნია უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად პრივატიზების თაობაზე საკითხის თბილისის საკრებულოსთან შესატანხმებლად წარმოდგენა.

#### **აზრი გამოთქვას:**

კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა პროექტის სათაურის ტექნიკურად გამართვის მიზანშეწონილობაზე, რაც გაზიარებულ იქნა საკითხის წარმომდგენის მიერ.

#### **გადაწყვეტის:**

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და **მითითებული რეკომენდაციის გათვალისწინებით**, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

#### **მოისმინეს:**

**23. ირაკლი თავართქილაძემ**, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს წარუდგინა, კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით - **23-ე საკითხად განსაზღვრული განკარგულების პროექტი, რაც ითვალისწინებს**, თბილისის მთავრობის მიერ, თბილისის საკრებულოსთან შეთანხმებას, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთში, გიორგი სააკაძის ქუჩა N30, სართული 2, შენობა N1-ში არსებული 70.71 კვ.მ უძრავი ქონების მოქალაქე **მაია აბრამიშვილისთვის** პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზების თაობაზე საკითხის, სათანადო ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

ირაკლი თავართქილაძის მითითებით, მოქალაქე მაია აბრამიშვილმა განცხადებით მიმართა ვაკის რაიონის გამგეობას, თვითნებურად დაკავებული ფართის სიმბოლურ ფასად პრივატიზების საკითხზე შუამდგომლობის გაწევის თხოვნით, ხოლო, გამგეობის მიერ, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსთან ერთობლივი მუშაობით, საკითხის მოკვლევის და აზომვითი სამუშაოები ჩატარების შემდგომ გამოვლინდა, რომ მოქალაქე მაია აბრამიშვილის ფაქტობრივად დაკავებული ფართი არ შეესაბამება მის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების მონაცემებს და იგი რეალურად ცხოვრობს შენობა N1, სართული 2-ზე არსებულ 70.71 კვ.მ უძრავ ქონებაში, ხოლო მის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაში რეალურად ცხოვრობს მოქალაქე ლენა ჭუნაშვილი;

**ირაკლი თავართქილაძემ აღნიშნა**, რომ მოქალაქე მაია აბრამიშვილი მის ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად პრივატიზების სანაცვლოდ, **მუნიციპალიტეტს უსასყიდლოდ საკუთრებაში გადასცემს** ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთი, გიორგი სააკაძის ქუჩა N30, შენობა N1-ში არსებული 38.91 კვ.მ უძრავი ქონებას და ასევე, უძრავ ქონებასთან დაკავშირებულ ყოველგვარ მოთხოვნის უფლებას, ამასთან, მომხსენებელმა დასძინა, რომ საკითხი მოწონებულ იქნა თბილისის მთავრობის მიერ და მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად



პრივატიზების თაობაზე საკითხის თბილისის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა, აღნიშნული საპრივატიზებო პირობის შესრულების სანაცვლოდ.

**აზრი გამოთქვას:**

კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა პროექტის სამართლებრივი დასაბუთებიდან საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 75-ე მუხლის „დ.ა“ ქვეპუნქტის ამოღების მიზანშეწონილობის საკითხზე, რაც გაზიარებულ იქნა საკითხის წარმომდგენის მიერ.

**გადაწყვეტის:**

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და **მითითებული რეკომენდაციის გათვალისწინებით**, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

**მოისმინეს:**

**24. ირაკლი თავართქილაძემ**, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს წარუდგინა, კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით - **24-ე საკითხად განსაზღვრული განკარგულების პროექტი**, რაც ითვალისწინებს, თბილისის მთავრობის მიერ, თბილისის საკრებულოსთან შეთანხმებას, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქალაქ თბილისში, კორნელი სანაძის ქუჩა N43მ-ში, შენობა N2-ში, პირველ სართულზე **29.55 კვ.მ** ფართის, თვითნებურად მცხოვრები მოქალაქე **ნაზი სოლომნიშვილისთვის** პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზების თაობაზე საკითხის, სათანადო საპრივატიზებო პირობების შესაბამისად.

მომხსენებლის მითითებით, დაინტერესებულმა პირმა სამგორის რაიონის გამგეობას თხოვნით მიმართა თვითნებურად დაკავებული ფართის სიმბოლურ ფასად პრივატიზების საკითხზე შუამდგომლობის გაწევის თხოვნით, ხოლო, გამგეობის მიერ, საკითხის შესწავლის დროს გამოიკვეთა შემდეგი:

✓ ქალაქ თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ისანი-სამგორის მთავარი სამმართველოს პოლიციის VII სამმართველოს ინფორმაციით, მოქალაქე ნაზი სოლომნიშვილი 2009 წლიდან ნამდვილად ცხოვრობს მითითებულ მისამართზე, ამასთან, ცხოვრების ფაქტის ნამდვილობა ასევე დასტურდება ნოტარიულად დამოწმებული მოწმეების ჩვენებით და სამგორის რაიონის გამგეობის საუბნო განყოფილების მიერ ადგილზე ჩატარებული მოკვლევით;

✓ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, ნაზი სოლომნიშვილს და მის ოჯახს წევრს გულადი სოლომნიშვილს საკუთრებაში ერიცხებათ უძრავი ქონება - გურჯაანის მუნიციპალიტეტში, სოფელ ვაზისუბანში, 2156 კვ.მ ფართობის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი.

მომხსენებლის მითითებით, სამგორის რაიონის გამგეობამ შუამდგომლობა გაუწია დევნილის სტატუსის არმქონე პირს უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად პრივატიზების საკითხთან დაკავშირებით, ხოლო, ყოველივე მითითებულის გათვალისწინებით, თბილისის მთავრობამ მოიწონა და მიზანშეწონილად მიიჩნია საკითხის თბილისის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა.



**აზრი გამოთქვებს:**

კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა პროექტის მე-2 პუნქტისა და სათაურის ტექნიკურად გამართვის რეკომენდაციებზე, რომლებიც გაზიარებულ იქნა საკითხის წარმომდგენის მიერ.

**გადაწყვეტის:**

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმომდგენილ პროექტს და **მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინებით**, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

**მოისმინეს:**

**25. ირაკლი თავართქილაძემ**, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს წარუდგინა, კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით - **25-ე საკითხად განსაზღვრული განკარგულების პროექტი**, რაც ითვალისწინებს, თბილისის საკუთრებაში არსებული, ქალაქ თბილისში, ემირ ბურჯანაძის ქუჩა N49-ში, მე-2 სართულზე, 77.50 კვ.მ ფართის, თვითნებურად მცხოვრები მოქალაქე **იუზა ხვედელიძისთვის** პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზების თაობაზე საკითხის თბილისის მთავრობის მიერ თბილისის საკრებულოსთან შეთანხმებას.

მომხსენებლის მითითებით, სამგორის რაიონის გამგეობას განცხადებით მიმართა მოქალაქე **იუზა ხვედელიძემ თვითნებურად დაკავებული ფართის სიმბოლურ ფასად პრივატიზების საკითხთან დაკავშირებით შუამდგომლობის გაწევის თხოვნით**, ხოლო, გამგეობის მიერ მოკვლევის შედეგად, გამოვლინდა, რომ ქალაქ თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ისანი-სამგორის მთავარი სამმართველოს პოლიციის V სამმართველოს ინფორმაციით, მოქალაქე იური ხვედელიძე **22 წელზე მეტია** ნამდვილად ცხოვრობს მითითებულ მისამართზე, ამასთან, ცხოვრების ფაქტის ნამდვილობას ადასტურებს სანოტარო წესით დამოწმებული მეზობლების თანხმობა და სამგორის რაიონის გამგეობის ქვემო სამგორის საუბნო განყოფილების შემოწმების აქტი, ამასთან, გამოიკვეთა, რომ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემებით, **იუზა ხვედელიძის საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე რეგისტრირებული არ არის**.

მომხსენებლის მითითებით, გამგეობამ შუამდგომლობა გაუწია დაინტერესებულ პირს ქალაქ თბილისის მერთან, ხოლო, ყოველივე მითითებულის გათვალისწინებით, თბილისის მთავრობამ იმსჯელა და მიზანშეწონილად მიიჩნია საკითხის თბილისის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა.


**აზრი გამოთქვებს:**

კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა პროექტის სათაურის ტექნიკურად გამართვის რეკომენდაციაზე, რაც გაზიარებულ იქნა საკითხის წარმომდგენის მიერ.

**გადაწყვეტის:**

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმომდგენილ პროექტს და **მითითებული რეკომენდაციის გათვალისწინებით**, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

**მოისმინეს:**



**26. ირაკლი თავართქილაძემ**, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს წარუდგინა, კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით - **26-ე საკითხად განსაზღვრული განკარგულების პროექტი**, რაც ითვალისწინებს, მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული ქალაქ თბილისში, ევროპის I ჩიხი N1, 25.24 კვ.მ ფართის თვითნებურად მცხოვრები მოქალაქე **ვანო სუბელიანისთვის** პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად პრივატიზების თაობაზე საკითხის თბილისის მთავრობის მიერ, თბილისის საკრებულოსთან შეთანხმებას.

მომხსენებლის მითითებით, სამგორის რაიონის გამგეობას განცხადებით მიმართა მოქალაქე ვანო სუბელიანი, მის მიერ თვითნებურად დაკავებული ფართის სიმბოლურ ფასად პრივატიზების საკითხზე შუამდგომლობის გაწევის თხოვნით, ხოლო, საკითხის მოკვლევის შემდგომ, გამგეობის მიერ, გამოვლენილ იქნა, რომ ქალაქ თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ისანი-სამგორის მთავარი სამმართველოს პოლიციის I სამმართველოს ცნობით, **ვანო სუბელიანი ნამდვილად ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე 19 წელია**, ამასთან, ცხოვრების ფაქტის ნამდვილობა ასევე დასტურდება მეზობლების ნოტარიულად დამოწმებული თანხმობით და სამგორის რაიონის გამგეობის შემოწმების აქტით, ხოლო, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, ვანო სუბელიანისა და მისი ოჯახის წევრების სახელებზე საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე რეგისტრირებული არ არის.

**მომხსენებელმა ასევე აღნიშნა, რომ** გამგეობამ წარდგენილ თხოვნასთან დაკავშირებით, შუამდგომლობა გაუწია დაინტერესებულ პირს, ხოლო, თბილისის მთავრობამ მოიწონა და მიზანშეწონილად მიიჩნია უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად პრივატიზების თაობაზე საკითხის ქალაქ თბილისის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა.

**აზრი გამოთქვას:**

კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა პროექტის სათაურის ტექნიკურად გამართვის რეკომენდაციაზე, რაც გაზიარებულ იქნა საკითხის წარმომდგენის მიერ.

**გადაწყვიტეს:**

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და **მითითებული რეკომენდაციის გათვალისწინებით**, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

**მოისმინეს:**

**27. ირაკლი თავართქილაძემ**, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს წარუდგინა, კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით - **27-ე საკითხად განსაზღვრული განკარგულების პროექტი**, რაც ითვალისწინებს, მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული, ქალაქ თბილისში, ყიული შარტავას ქუჩა N3-ში, პირველ სართულზე, მე-9 ბლოკში მდებარე ბინა N283-ის (მშენებარე) 75.00 კვ.მ.-ის **გენადი თავართქილაძისთვის** პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის თბილისის საკრებულოსთან, თბილისის მთავრობის მიერ შეთანხმებას, იმ პრივატიზების პირობით, რომ:

- აღნიშნული ფართის საკუთრებაში მიღების სანაცვლოდ, გენადი თავართქილაძე ვალდებული იქნება, უზრუნველყოს ქალაქ თბილისში, ყიული შარტავას ქუჩა N3, სართული



### **3, ბლოკი N8, ბინა 260-ზე, ფართით (მშენებარე) 60.60 კვ.მ. საკუთრების უფლების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის გადაცემა.**


**მომხსენებლის განმარტებით,** თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის 1988 წლის გადაწყვეტილებით, დაკმაყოფილდა ლ. თაბუკაშვილის ქ. №7,9,11,11ა,16,18,19-ში მცხოვრებ მოქალაქეთა თხოვნა მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსის მშენებლობის შესახებ, ჩამოყალიბდა ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა „თაბუკაშვილი - 88“, თუმცა, განვითარებული შესაბამისი მოვლენებიდან გამომდინარე, ვერ აშენდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლები, მოგვიანებით, ამხანაგობა „თაბუკაშვილი 88“-ის სახელზე, ახალი დებულების დამტკიცების, თავმჯდომარის და გამგეობის წევრების არჩევის შემდგომ, დარეგისტრირდა ქ. თბილისში, თაბუკაშვილის ქ. №7,9,11,11ა,16,18,19 -ში მდებარე უძრავ ნივთზე - 10 535 კვ.მ მიწის ნაკვეთი, ხოლო, 2004 წლის მდგომარეობით, შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფთან“ გაფორმებული ხელშეკრულებით, აღნიშნულმა კომპანიამ აიღო ვალდებულება მთლიანი სამშენებლო კომპლექსის ფარგლებში მშენებლობის დასრულებისა და ფართების გადაცემისა, თუმცა აღნიშნული ვალდებულებები არ შესრულდა.

#### **მომხსენებელმა კომისიის წევრებს მიაწოდა შემდეგი სახის ინფორმაცია:**

✓ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 14 თებერვლის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა ამირან ხუბაშვილის, გიორგი ინაძის, მაია კენკიშვილისა და სხვათა სარჩელი ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა „თაბუკაშვილი 88“-ის 2000 წლის 8 დეკემბრის კრების ოქმის ბათილად ცნობის თაობაზე;

✓ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის გადაწყვეტილებით ბათილად იქნა ცნობილი იბა „თაბუკაშვილი 88-ის“ 2000 წლის 8 დეკემბრის #1 კრების ოქმი და ამასთან, პალატის მოსაზრებით, ამხანაგობასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები მიღებული უნდა იქნას სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესით, ანუ გადაწყვეტილების მიღება უნდა მოხდეს ხელშეკრულების ყველა მონაწილის თანხმობით;

✓ თბილისის მთავრობის 2021 წლის 18 აგვისტოს განკარგულების თანხმად, ვინაიდან სასამართლომ გააუქმა ამხანაგობის 2000 წლის 8 დეკემბრის კრების ოქმი, რომლითაც დადგინდა სამართალმემკვიდრეობა 1988 წელს დაფუძნებულ ამხანაგობასთან, ამასთან, სასამართლომ იურიდიული ძალის არმქონედ მიიჩნია 2000 წლის შემდეგ ამხანაგობის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები, დამატებით კი, მიუთითა, რომ ამხანაგობას ძირითადი სამოქმედო დოკუმენტი არ გააჩნია, სახეზე არ იყო არცერთი სხვა სამართლებრივი ძალის მქონე დოკუმენტი, რომლითაც შესაძლებელი იქნებოდა იმის დადგენა, რომ არსებობდა ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა „თაბუკაშვილი 88“, ვინაიდან მშენებლობის დასრულება და ბინების საკუთრებაში მიღების მოთხოვნის უფლების მქონე პირების დაკმაყოფილება, 30 წელზე მეტი ხნის განმავლობაში, წარმოადგენდა ამხანაგობის მიზანს, მაგრამ ამხანაგობამ დასახულ მიზანს ვერ მიაღწია, აღნიშნულთა გათვალისწინებით, მუნიციპალიტეტის გადაწყვეტილებით, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული, მონაწილეობა მიეღო ბინების საკუთრებაში მიღებაზე უფლების მქონე პირების ქონებრივი უფლებების დაცვის გარანტიის პირობით, მშენებლობის დასრულებისა და გაუნაწილებელი ფართების საკუთრებაში გადაცემის პროცესში;




✓ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის, მენაშენეთა ამხანაგობისა და შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის“ მიზანს წარმოადგენდა საპროექტო მიწის ნაკვეთზე მშენებარე შენობა-ნაგებობის დემონტაჟი და ახალი პროექტის საფუძველზე ბინების გადანაწილება ფიზიკურ პირებზე, რომელთა რიცხვში შედიოდნენ თავდაპირველი ამხანაგობის წევრები და სხვა პირები, რომელთაც გადახდილი ჰქონდათ თანხა და საკუთრებაში არ ჰქონდათ გადაცემული ბინები, ასევე, მიწის ნაკვეთზე, განთავსებულ შენობა-ნაგებობებში მდებარე ბინა-ერთეულების ნაწილზე რეგისტრირებული გახლდათ ფიზიკური და იურიდიული პირების ინდივიდუალური საკუთრების უფლებები, ხოლო ნაწილზე - ინდივიდუალური საკუთრების უფლებები რეგისტრირებული არ იყო და საჭიროებდა საკუთრების უფლების რეგისტრაციას და ბინის საკუთრებაში მიღებაზე უფლებამოსილი პირების საბოლოოდ დაკმაყოფილებას;

✓ ამხანაგობის დამფუძნებელი წევრების მრავალრიცხოვნების (სასამართლო გადაწყვეტილების მიხედვით: 114 პირი), გასული დროისა და შეცვლილი ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, ვერ მოხერხდებოდა ამხანაგობის ყველა წევრის შეკრება და მათ მიერ ერთხმად გადაწყვეტილების მიღება. ამას მოწმობდა ის გარემოებაც, რომ ამხანაგობის შექმნის დღიდან, არასდროს შედგენილა ისეთი კრების ოქმი, სადაც ამხანაგობის ყველა წევრის მიერ იქნებოდა ნება გამოვლენილი. აღნიშნულის გათვალისწინებით, ამხანაგობა სამართლებრივი ჩიხის წინაშე იდგა, ვინაიდან იურიდიულად გამართული და სარეგისტრაციოდ ვარგისი დოკუმენტის შედგენა შეუძლებელი გახლდათ.

**ირაკლი თავართქილაძემ დასძინა**, რომ ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, თბილისის მთავრობამ ძალადაკარგულად ცნო: თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის და ქ. თბილისის საბურთალოს სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის 1988 წლის გადაწყვეტილებები, ამასთან, გაუქმდა ზემოაღნიშნული გადაწყვეტილებების საფუძველზე წარმოშობილი სამართლებრივი შედეგები ქ. თბილისში, ყიული შარტავას ქუჩა #1-ში და #3-ში არსებულ მიწის ნაკვეთებთან დაკავშირებით, ამასთანავე, საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში რეგისტრირებული ინდივიდუალური საკუთრების უფლებები დარჩა უცვლელი, ხოლო, დაევალა აღნიშნულ მისამართებზე მდებარე მიწის მიწის ნაკვეთზე და ისეთ ფართებზე, რომლებზეც ინდივიდუალური საკუთრების უფლება რეგისტრირებული არ იყო, ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა „თაბუკაშვილი 88“-ის საკუთრების უფლების გაუქმებისა და მუნიციპალიტეტის საკუთრების უფლების რეგისტრაციის მოთხოვნით მიემართა სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოსთვის.

**მომხსენებლის მითითებით**, ზემოაღნიშნული უძრავი, ქონება თბილისის მთავრობისა და თბილისის საკრებულოს შესაბამისი გადაწყვეტილებების საფუძველზე უნდა განკარგულიყო, მათ შორის, იმ პირთა დაკმაყოფილების მიზნით, ვისაც საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, უდასტურდებოდათ შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის“ ან/და ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა „თაბუკაშვილი - 88“-ის მიმართ ამავე უძრავ ქონებაზე მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი, აღნიშნული ვალდებულება უნდა ასახულიყო საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ მომზადებულ ამონაწერებში, ამასთან, **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაუმთავრებელ მშენებლობებთან დაკავშირებული საკითხების განმხილველ კომისიას** (შემდგომში - დაუმთავრებელი მშენებლობების კომისია) 2023 წლის 7 ივნისს განცხადებით მიმართეს შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფმა“ და შპს „ინსმა“ და ითხოვეს მისამართზე ქ. თბილისი, შარტავას ქუჩა N1 არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისთვის და მისამართზე - ქ. თბილისი, შარტავას ქ. N3 ფართის სახით გასაცემი ვალდებულებების



შესრულებისთვის ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენება, ხოლო, დაუმთავრებელი მშენებლობების კომისიის მიერ, 2023 წლის 7 ივნისის სხდომაზე საკითხის განხილვის დროს გამოიკვეთა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

✓ დაუმთავრებელი მშენებლობების კომისიამ გასცა დადებითი რეკომენდაციები შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის“ და მასთან აფილირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების თაობაზე, რომლის საფუძველზეც, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის და საკრებულოს მიერ მიღებულ იქნა შესაბამისი გადაწყვეტილებები;

✓ აღნიშნული ხელშემწყობი ღონისძიებების ფარგლებში განისაზღვრა, როგორც შესაბამისი მხარდამჭერი ღონისძიებები და ფართის ან თანხის სახით გასაცემი ვალდებულებები, ასევე დაზუსტდა დაზარალებულ პირთა შესახებ ინფორმაცია - ქ. თბილისი, შარტავას ქ. N1 მდებარე სამშენებლო ობიექტთან მიმართებაში, სამშენებლო სამუშაოების განმახორციელებლად, „საპროექტო სამშენებლო სამუშაოების ტენდერის საფუძველზე გამოვლინდა შპს „ინსი“;

✓ ქ. თბილისი, შარტავას ქუჩა N3-ში არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის ფარგლებში, შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფს“ და ამხანაგობა „თაბუკაშვილი 88“ შორის 2004 წლის 15 აგვისტოს გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად, მთლიანი სამშენებლო კომპლექსის ფარგლებში, შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფი უზრუნველყოფდა მშენებლობის დასრულებას, სარეალიზაციო ფართის ნაწილის 7 250 კვ.მ. საცხოვრებელი და 100 კ.მ. არასაცხოვრებელი ფართის გადაცემას ამხ. „თაბუკაშვილი 88“-თვის, ამხანაგობის წევრთა მიმართ ფართის სახით გასაცემი ვალდებულებების შესასრულებლად;

✓ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ მიმართა თბილისის პროკურატურას ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „თაბუკაშვილი 88“-ის დაზარალებულ პირთა და ფართის მოთხოვნის უფლების მქონე პირთა იდენტიფიცირების მიზნით, ხოლო, თბილისის პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, ქ. თბილისის საბურთალოს სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის, ქ. თბილისის საბურთალოს სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტისა და სასამართლო გადაწყვეტილებების საფუძველზე დგინდება შემდეგი:

ა) ამხანაგობა „თაბუკაშვილი 88“-ის დამფუძნებელი წევრებს წარმოადგენდა სულ - 148 პირი.


ბ) მათგან, - 1990-1994 წლებში ამხანაგობის წევრობიდან გაირიცხა 35 პირი:

გ) ამხანაგობის წევრთა ნაწილის მიმართ შესრულებულია ფართის სახით გასაცემი ვალდებულება;

დ) თბილისის პროკურატურის მიერ დაზარალებულ პირად აღიარებულია 84 ფიზიკური პირი;

ე) ფართის მოთხოვნის უფლების მქონე ან/და დაზარალებულად აღიარებულ პირთა შორის არიან ამხანაგობის არაწევრი 27 ფიზიკური პირი, რამდენადაც ამხანაგობის თავმჯდომარის ზურაბ თაბუკაშვილის მიერ, ამხანაგობის კუთვნილი ფართები გასხვისდა ამხანაგობის არაწევრ ფიზიკურ პირებზე;





ვ) ფართის მოთხოვნის უფლების მქონე ფიზიკური პირებიდან ნაწილი (სულ 20) დაკმაყოფილებულია თუმცა მათი ქონება არ არის რეგისტრირებული საჯარო რეესტრში (აღნიშნული პირები ცხოვრობენ შესაბამის ფართებში);

ზ) არსებული ფაქტობრივი მდგომარეობით ამ ეტაპზე დასაკმაყოფილებელია 56 ფიზიკური პირი;


**როგორც ირაკლი თავართქილაძემ აღნიშნა**, დაუმთავრებელი მშენებლობების კომისიამ არ განიხილა შემოქმედებითი სახელოსნოები, როგორც დასაკმაყოფილებელი ვალდებულებები, რადგან: აღნიშნულთან დაკავშირებით, სხვა დოკუმენტაციასთან ერთად, მათ შორის, არსებობს კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც არ დაკმაყოფილდა ფიზიკური პირის მოთხოვნა შემოქმედებით სახელოსნოებზე უფლების აღიარების ნაწილში, ამასთან, დაუმთავრებელი მშენებლობების კომისიამ არ გაითვალისწინა ანაგის ქუჩის NN2,23,25,27 და საბურთალოს ქუჩის N1-ში მცხოვრები პირების მიმართ ფართის სახით გასაცემი ვალდებულებები, რამდენადაც აღნიშნულ პირებს არ დანგრევიათ საცხოვრებელი სახლები შარტავას ქ. N 3-ში საცხოვრებელი მრავალბინიანი სახლის მშენებლობის მიზნით, და შესაბამისად, მათ არ მიდგომიათ ზიანი, ამდენად, აღნიშნულმა კომისიამ ფართის სახით გასაცემ ვალდებულებად არ მიიჩნია ანაგის ქუჩის NN2,23,25,27 და საბურთალოს ქუჩის N1 მცხოვრებ პირთა მიმართ განსაზღვრული ფართების ოდენობები.

მომხსენებლის მითითებით, ყოველივე ზემოაღნიშნულის გადაწყვეტილებით, მისამართზე: ყიული შარტავას ქუჩა N3-ში ჯამურად დადასტურდა საცხოვრებელი ფუნქციის მქონე ფართის სახით გასაცემი ვალდებულება ჯამურად - 5650 კვ.მ.

**ირაკლი თავართქილაძემ შემაჯამებლად აღნიშნა**, რომ თბილისის მთავრობის გადაწყვეტილებით, სსიპ - ქონების მართვის სააგენტომ განახორციელა შარტავას ქუჩა N3-ში არსებული სამშენებლო ობიექტის ფართების (რომლებზეც ინდივიდუალური საკუთრების უფლება რეგისტრირებული არ არის) აზომვა/ რეგისტრაცია, ხოლო, აზომვის შედეგად დგინდება, რომ ფაქტობრივი მდგომარეობით არსებული სამშენებლო ობიექტის ფარგლებში ფიქსირებული თავისუფალი საცხოვრებელი ფართები, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნას დაზარალებულების დაკმაყოფილების მიზნით, ჯამურად შეადგენს 1409.74 კვ.მ-ს, 18 ბინა ერთეულს, გასათვალისწინებელია ისიც, რომ აღნიშნული თავისუფალი ინდივიდუალური ფართების კვადრატულობა პირდაპირი სიზუსტით არ შეესაბამება ფიზიკური პირებისთვის გასაცემი ფართების კვადრატულობას, გარდა ზემოაღნიშნულისა, თავისუფალ ფართებს შორის არის ერთი ბინა ერთეული, რომლის კვადრატულობა შეადგენს 60,6 კვ.მ-ს, **აღნიშნული ბინა რეგისტრირებულია დაზარალებულ პირზე - გენადი თავართქილაძეზე**, რომელსაც ფაქტობრივი მდგომარეობით ამავე სამშენებლო ობიექტის სხვა საცხოვრებელი ფართი (9 ბლოკი, 1 სართ. ბ. 283, 75 კვ.მ.) აქვს გადაცემული აშხ. თაბუკაშვილის მიერ. შესაბამისად, აუცილებელია, რომ **აღნიშნული ფართი დარეგისტრირდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში, რათა გენადი თავართქილაძეს გადაეცეს შესაბამისი საცხოვრებელი ფართი**, ამდენად, მომზადებულ იქნა წარმოდგენილი პროექტი, საკითხის თბილისის საკრებულოსთან შეთანხმების მიზნით.

**აზრი გამოთქვას:**

კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა პროექტის სათაურის და პირველი პუნქტის ტექნიკურად გასწორების, აგრეთვე, პროექტის სამართლებრივი საფუძვლების დაზუსტების რეკომენდაციებზე, რომლებიც გაზიარებულ იქნა მომხსენებლის მიერ.



**გადაწყვიტეს:**

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და **მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინებით**, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

**მოისმინეს:**

**28. ირაკლი თავართქილაძემ** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს წარუდგინა, კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით - **28-ე საკითხად** განსაზღვრული განკარგულების პროექტი, რაც ითვალისწინებს, მუნიციპალიტეტის ბალანსზე, ქალაქ თბილისში, ალექსანდრე მანაგაძის ქუჩა N13-ში, პირველ სართულზე არსებული 42.74 კვ.მ. ფართის პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად, მოქალაქე **ზურაბი ყავრელიშვილისთვის** პრივატიზების თაობაზე საკითხის თბილისის მთავრობის მიერ, თბილისის საკრებულოსთან შეთანხმებას.

**მომხსენებლის მითითებით**, გლდანის რაიონის გამგეობას წარედგინა აღნიშნული პირის თხოვნა თვითნებურად დაკავებული ფართის სიმბოლურ ფასად პრივატიზებასთან დაკავშირებით, ხოლო, გამგეობის მიერ საკითხის მოკვლევის დროს გამოიკვეთა შემდეგი:

- ✓ ქალაქ თბილისის პოლიციის დეპარტამენტის გლდანი-ნაძალადევის მთავარი სამმართველოს ინფორმაციით, **ზურაბი ყავრელიშვილი** დაახლოებით 1972 წლიდან ცხოვრობს მითითებულ მისამართზე, ფაქტის ნამდვილობას ასევე ადასტურებს, მოწმეების ჩვენებები და გამგეობის მიერ ჩატარებული მოკვლევა;
- ✓ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, დაინტერესებული პირისა და მისი ოჯახის წევრების სახელებზე საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე რეგისტრირებული არ არის;
- ✓ სსიპ - დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს **ზურაბი ყავრელიშვილი** და მისი შვილი არ წარმოდგენენ იძულებით გადაადგილებულ პირებს;

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ყოველივე აღნიშნულისა და გამგეობის შუამდგომლობის საფუძველზე, თბილისის მთავრობამ მოიწონა საკითხი და მიზანშეწონილად მიიჩნია თბილისის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა.


**აზრი გამოთქვას:**

კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა პროექტის მე-2 პუნქტისა და სათაურის ტექნიკურად გამართვის რეკომენდაციებზე, რომლებიც გაზიარებულ იქნა მომხსენებლის მიერ.

**გადაწყვიტეს:**

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და **მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინებით**, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

**მოისმინეს:**



**29. ირაკლი თავართქილაძემ**, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს წარუდგინა, კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით - **29-ე საკითხად** განსაზღვრული განკარგულების პროექტი, რაც ითვალისწინებს, მუნიციპალიტეტის ბალანსზე, ქალაქ თბილისში, თენგიზ ჩანტლაძის ქუჩა N21ბ-ში, პირველ სართულზე არსებული 47.82 კვ.მ ფართის პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად, მოქალაქე **სულიკო ლაბაძისთვის** პრივატიზების თაობაზე საკითხის თბილისის მთავრობის მიერ თბილისის საკრებულოსთან შეთანხმებას.

**როგორც მომხსენებელმა აღნიშნა**, უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად პრივატიზების მიზნით, შუამდგომლობის გაწევის თხოვნით, ზემოაღნიშნულმა მოქალაქემ განცხადებით მიმართა სამგორის რაიონის გამგეობას, ხოლო, აღნიშნული უწყების მიერ, საკითხის მოკვლევის დროს გამოიკვეთა შემდეგი:

- ✓ ქალაქ თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ისანი-სამგორის მთავარი სამმართველოს ოქმებით, მოქალაქე სულიკო ლაბაძე 2005 წლიდან ცხოვრობს მითითებულ მისამართზე, ამასთან, უძრავი ქონებაში ცხოვრების ფაქტის ნამდვილობა დასტურდება მეზობლების სანოტარო წესით დამოწმებული თანხმობით და გამგეობის მიერ ადგილზე ჩატარებული მოკვლევით;
- ✓ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით სულიკო ლაბაძის საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე რეგისტრირებული არ არის/არ ყოფილა;
- ✓ ზემოაღნიშნული პირის ყოფილი მეუღლე თანხმობას აცხადებს (არ აქვს პრეტენზია) სულიკო ლაბაძისთვის უძრავი ქონების საკუთრებაში გადაცემასთან დაკავშირებით.

მომხსენებელმა დასძინა, რომ გამგეობამ შუამდგომლობა გაუწია დევნილის სტატუსის არმქონე სულიკო ლაბაძეს უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად პრივატიზების საკითხთან დაკავშირებით, ხოლო, თბილისის მთავრობამ მოიწონა და მიზანშეწონილად მიიჩნია თბილისის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა კანონით დადგენილი წესით.

**აზრი გამოთქვას:**

კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა პროექტის მე-2 პუნქტსა და სათაურში არსებული ხარვეზების გასწორების რეკომენდაციებზე, რომლებიც გაზიარებულ იქნა მომხსენებლის მიერ.

**გადაწყვიტეს:**

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და **მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინებით**, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

**მოისმინეს:**

**30. ირაკლი თავართქილაძემ**, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს წარუდგინა, კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით - **30-ე საკითხად** განსაზღვრული განკარგულების პროექტი, რაც ითვალისწინებს, **მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული, ქალაქ** თბილისში, ლევან მაჭავარიანის ქუჩა N11-ში და ლევან მაჭავარიანის ქუჩა N7ბ-ში არსებული ფართების პირდაპირი განკარგვის ფორმით, მოქალაქე **დიანა ღურგვაიასთვის** 75 კვ.მ. ფართისა და მოქალაქეებისათვის **თამარ**



**ჩუტკერაშვილისა და მანანა ჩუტკერაშვილისთვის 59 კვ.მ. ფართის, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზების თაობაზე საკითხის თბილისის მთავრობის მიერ, თბილისის საკრებულოსთან შეთანხმებას, იმ საპრივატიზებო პირობით, რომ:**

- **ზემოაღნიშნული ფართების საკუთრებაში მიღების სანაცვლოდ, საკუთრების უფლების მიმღებნი მუნიციპალიტეტის სასარგებლოდ თმობენ მათ საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებებს.**

**მომხსენებელმა დასძინა, რომ** ზემოაღნიშნულ პირთათვის გამოყოფილ იქნება რემონტის ხარჯი - 1 კვ.მ.-ზე 286 ლარი, რომლის გადახდაც მოხდება მუნიციპალიტეტის 2024 წლის ამ მიზნით გამოყოფილი საბიუჯეტო სახსრებიდან.

**ირაკლი თავართქილაძის მითითებით, ქ. თბილისში, ვარკეთილის მე-3 მასივი, 1 კვარტალი N1-ში არსებული საცხოვრებელი კორპუსში (სადაც ზემოაღნიშნულ პირებს გააჩნდათ უძრავი ქონება, საცხოვრებლად უვარგისად არის ცნობილი, რასაც ადასტურებს ა(ა)იპ თბილისის მუნიციპალიტეტის ლაბორატორიის დასკვნა N 01/483) შენობის მძიმე ტექნიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, ადგილობრივი გამგეობის ორგანიზებით განხორციელებულია მოზინადრეების გამოსახლება (ევაკუაცია) არაგეგმიური წესით, ხოლო, აღნიშნული შენობა-ნაგებობის ჩანაცვლების მიზნით, სამუშაო პროცესის ორგანიზებისა და პროექტის შეუფერხებლად განხორციელების მიზნით, ხდება ზემომითითებული მოქალაქეებისათვის პროექტით განსაზღვრული ქონების პირდაპირი წესით პრივატიზება, მათ საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების მუნიციპალიტეტისთვის დათმობის სანაცვლოდ, რასთან დაკავშირებით, **ხსენებული მოქალაქეები აცხადებენ თანხმობას.****

ირაკლი თავართქილაძემ ასევე დასძინა, რომ საკითხი მოწონებულია თბილისის მთავრობის მიერ და მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული თბილისის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარმოდგენა კანონით დადგენილი წესით.

**აზრი გამოთქვს:**


კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა პროექტის სათაურში არსებული ხარვეზების გასწორების რეკომენდაციაზე, რაც გაზიარებულ იქნა საკითხის წარმომდგენის მიერ.

**გადაწყვეტის:**

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და **მითითებული რეკომენდაციის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.**

**მოისმინეს:**

**31. ირაკლი თავართქილაძემ, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს წარუდგინა, კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით - 31-ე საკითხად განსაზღვრული განკარგულების პროექტი, რაც ითვალისწინებს, მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული, ქალაქ თბილისში, ნუცუბიძის ფერდობი, IV მ/რ-ში მდებარე უძრავ ქონებაში არსებულ ზოგიერთ (მშენებარე) ფართზე მდებარე უძრავი ქონების, მანანა მამამთავრიშვილისთვის 45.40 კვ.მ საცხოვრებელი ფართისა და დავით ღვალაძესათვის - 149.20 კვ.მ საცხოვრებელი ფართი, პირდაპირი განკარგვის ფორმით,**




**სიმბოლოურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზების საკითხის თბილისის მთავრობის მიერ, თბილისის საკრებულოსთან შეთანხმებას.**

**მომხსენებელმა ისაუბრა საკითხთან დაკავშირებულ ფაქტობრივ გარემოებებზე და აღნიშნა, რომ 2021 წლის 23 ივლისიდან 2021 წლის 27 აგვისტოს ჩათვლით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ოფიციალური ვებ-გვერდის (www.tbilisi.gov.ge) საშუალებით გამოცხადებულ ინტერესთა გამოხატვაში, რომლის მიზანსაც წარმოადგენდა გამარჯვებული პირის მიერ ქალაქ თბილისში, ნუცუბიძის ფერდობზე, IV მ/რ-ს მიმდებარედ, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 17173 კვ.მ მიწის ნაკვეთის პრივატიზება, მასზე საცხოვრებელი დანიშნულების შენობა-ნაგებობების მშენებლობისა და აშენებულ შენობა-ნაგებობაში განსაზღვრული ოდენობის ფართის (თეთრი კარკასის მდგომარეობით) კოოპერატივის წევრებისათვის საკუთრებაში გადაცემა (შემდგომში - „სამშენებლო პროექტი“), მათ მიმართ არსებულ ან შესაძლოდ გამოვლენილ სახელმწიფო საშინაო ვალზე და მასთან დაკავშირებულ სხვა ნებისმიერ უფლებასა და მოთხოვნაზე უარის თქმის სანაცვლოდ, მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის არაუმეტეს 2.1-ით (ფუნქციური ზონა - საცხოვრებელი ზონა-5) განსაზღვრითა და მინიმალური შეთავაზებით - 3 650 კვ.მ-ს ოდენობით.**

**ირაკლი თავართქილაძის მითითებით, ინტერესთა გამოხატვის ფარგლებში, სააგენტოში წარმოდგენილ იქნა 6 (ექვსი) დაინტერესებული სუბიექტის განაცხადი, თუმცა კომპანია შპს „არეა დეველოპმენტის“ საინვესტიციო წინადადება/ შეთავაზება (7600 კვ. მ. ფართი - თეთრი კარკასის მდგომარეობით) უპირატესი იყო სხვა დაინტერესებული სუბიექტების (ინვესტორების) მიერ წარმოდგენილ წინადადებებთან მიმართებით, შესაბამისად, აღნიშნული კომპანია გამოცხადდა გამარჯვებულად (დღეის მდგომარეობით: შპს „დეკალისი“), შემდგომში მიღებულ იქნა თბილისის მთავრობისა და თბილისის საკრებულოს გადაწყვეტილებები საკითხის მოწონებისა და შეთანხმების თაობაზე, მხარეთა შორის გაფორმდა შესაბამისი ხელშეკრულება, თუმცა, მოქ. მანანა მამამთავრიშვილმა და მოქ. დავით ღვალაძემ თბილისის მთავრობის შესაბამისი განკარგულებით გათვალისწინებულ ვადაში, ხელშეკრულებას ხელი არ/ვერ მოაწერეს, შესაბამისად, მათ ნაწილში ძალადაკარგულად იქნა ხსენებული განკარგულება და აღნიშნული პირებისთვის განსაზღვრული ფართების მიმღებ პირად განისაზღვრა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტი.**

**მომხსენებელმა აღნიშნა რომ მითითებული ხელშეკრულების ფარგლებში, შპს „დეკალისმა“ მუნიციპალიტეტის საკუთრების უფლების რეგისტრაცია უზრუნველყო ჯამურად 194.9 კვ.მ ფართობის მშენებარე ინდივიდუალურ ფართებზე, აქვე დაამატა, რომ ზემოაღნიშნულმა მოქალაქეებმა განცხადებით მიმართეს სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს და აღნიშნეს, რომ ხელშეკრულებას ხელი ვერ მოაწერეს ობიექტური გარემოებების გამო, შესაბამისად ითხოვეს/გამოხატეს ნება, მათი საცხოვრებელი ფართებით უზრუნველყოფა განხორციელებულიყო ამავე პროექტის ფარგლებში და შესაბამის ეტაპზე, მშენებარე შესაბამისი ფართები გადასცემოდათ საკუთრებაში, რაზეც ეცნობათ, რომ სააგენტო გამოთქვამდა მზადყოფნას ემსჯელა შესაბამისი ინდივიდუალური ფართების, მათთვის საკუთრებაში გადაცემის თაობაზე, შემდგომში უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოებისთვის წარსადგენად.**

**ირაკლი თავართქილაძემ ასევე დაამატა, რომ ზემოხსენებული კოოპერატივის წევრების მიერ, სააგენტოში წარდგენილ იქნა შესაბამისი დოკუმენტაცია/განცხადებები, რომლითაც**



აღნიშნული პირები ადასტურებენ, რომ გაეცნენ მხარეებს შორის კოოპერატიულ ბინათმშენებლობით დაზარალებული პირების დაკმაყოფილების მიზნით გაფორმებულ ხელშეკრულებას და ეთანხმებიან მის პირობებს, ასევე, დაადასტურეს, რომ თუ სრულად იქნება შესრულებული ხელშეკრულებით და შეთანხმებით განსაზღვრული პირობები, კოოპერატივის წევრების მიმართ არსებული სახელმწიფო საშინაო ვალი ჩაითვლება სრულად დაფარულად და აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით კოოპერატივის წევრებს არც მომავალში წარმოეშობათ რაიმე სახის პრეტენზია/მოთხოვნის უფლება.

მომსენებელმა დასძინა, რომ თბილისის მთავრობის მიერ მოწონებულ იქნა ზემოაღნიშნული მოქალაქეებისათვის განსაზღვრული უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად პრივატიზების თაობაზე საკითხი და მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული თბილისის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარმოდგენა.

**აზრი გამოთქვას:**

კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა პროექტის სათაურში არსებული ხარვეზების გასწორების რეკომენდაციაზე, რაც გაზიარებულ იქნა საკითხის წარმომდგენის მიერ.


**გადაწყვიტეს:**

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და **მითითებული რეკომენდაციის გათვალისწინებით**, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

**მოისმინეს:**

**32. ირაკლი თავართქილაძემ**, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს წარუდგინა, კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით - **32-ე საკითხად** განსაზღვრული განკარგულების პროექტი, რაც ითვალისწინებს, თბილისის მთავრობას, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს, მათა სულხანიშვილის უფლებამონაცვლე ნუკრი ცისკაძესა და ციციწო დევრისაშვილს შორის გასაფორმებელი მორიგების აქტის მოწონების შესახებ მიღებული თბილისის მთავრობის 2024 წლის განკარგულებით **გათვალისწინებული მორიგების აქტის გაფორმების** და აღნიშნული მორიგების ფარგლებში ციციწო დევრისაშვილისა და მათა სულხანიშვილის უფლებამონაცვლე ნუკრი ცისკაძისთვის, სათანადო პირობების შესაბამისად, პრივატიზების თაობაზე **საკითხის თბილისის მთავრობის მიერ, თბილისის საკრებულოსთან შეთანხმებას.**

**როგორც მომსენებელმა აღნიშნა**, ქალაქ თბილისის მთავრობის 2001 წლის შესაბამისი დადგენილებით დაკმაყოფილდა მოქალაქეების, დავით ლონგურაშვილისა და მათა სულხანიშვილის თხოვნა და შუამდგომლობა წარედგინა საქართველოს პრეზიდენტს დაინტესებულ პირთათვის პირდაპირი განკარგვის წესით 600 კვ.მ ფართობის, ორი სასახლკარე მიწის ნაკვეთის გადაცემის შესახებ ლისის ტბისა და ვაშლიჯვრის მიმდებარე ფერდობზე, ამასთან, საკითხთან დაკავშირებით, მიღებულ იქნა პრეზიდენტის 2003 წლის განკარგულება, ინდივიდუალური ბინათმშენებლობისათვის პირდაპირი განკარგვის წესით, დავით ლონგურაშვილისა და მათა სულხანიშვილისათვის (ნორმატიულ ფასად) 600-600 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების პრივატიზების თაობაზე, თუმცა, სათანადო ხელშეკრულებები არ გაფორმებულა.




**მომხსენებლის მითითებით,** მათა სულხანიშვილმა და დავით ლონგურაშვილის უფლებამონაცვლემ ციციწო დევრისაშვილმა თბილისის საქალაქო სასამართლოს მიმართეს ადმინისტრაციული ხელშეკრულებების გაფორმების სასარჩელო მოთხოვნით, ხოლო, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 12 ივნისის გადაწყვეტილებით, დაკმაყოფილდა მათა სულხანიშვილის და ციციწო დევრისაშვილის სარჩელი და ქალაქ თბილისის მთავრობას დაევალა საქართველოს პრეზიდენტის 2003 წლის 30 იანვრის N93 განკარგულების შესაბამისად, ქ. თბილისში, ლისის ტბისა და ვაშლიჯვრის მიმდებარე ფერდობზე, 600-600 კვ.მ ფართობის მიწის ნაკვეთზე დავით ლონგურაშვილის უფლებამონაცვლე ციციწო დევრისაშვილთან და მათა სულხანიშვილთან ხელშეკრულების გაფორმება, ამასთან, 2020 წლის 28 მაისს, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მიერ აღნიშნულ საქმეზე გაცემული იქნა სააღსრულებო ფურცელი.

ირაკლი თავართქილაძემ აღნიშნა, რომ სსიპ ქონების მართვის სააგენტომ სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით, **მათა სულხანიშვილს და ციციწო დევრისაშვილს** შესთავაზა მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სხვადასხვა მიწის ნაკვეთების საკუთრებაში გადაცემა, თუმცა, მხარეთა შორის შეთანხმება არ შედგა, მოგვიანებით, მითითებულმა მოქალაქეებმა მიმართეს თბილისის საქალაქო სასამართლოს და მოითხოვეს თბილისის მთავრობის, თბილისის მერიის, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს მიმართ, **ციციწო დევრისაშვილის სასარგებლოდ 152 400 აშშ დოლარის ექვივალენტი თანხის გადახდა და მათა სულხანიშვილის სასარგებლოდ 152 400 აშშ დოლარის ექვივალენტი თანხის გადახდა,** ასევე, მოპასუხეებს სოლიდარულად დაეკისროთ მოსარჩელებზე 2010 წლიდან გადაწყვეტილების აღსრულებამდე ყოველწლიური თანხის 8%-ი მიუღებელი ზიანის სახით.

მომხსენებელმა ასევე მიუთითა, რომ სსიპ ქონების მართვის სააგენტომ წერილობით მიმართა მოსარჩელებს და სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით შესთავაზა მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შესაბამისი მიწის ნაკვეთების საკუთრებაში გადაცემა, რაზეც მხარეებმა თანხმობა განაცხადეს, იმ პირობით, რომ აღნიშნულ მიწის ნაკვეთებზე არ გავრცელდება სარეკრეაციო ზონა, ამასთან, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოში ნიკოლოზ ლონგურაშვილის მიერ წარდგენილი იქნა მოთხოვნის უფლების დათმობის ხელშეკრულება, რითაც მათა სულხანიშვილი, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 12 ივნისის გადაწყვეტილებიდან გამომდინარე ყველა სახის მოთხოვნის და მათ შორის ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას თმობს ნუკრი ცისკაძის სასარგებლოდ. თავის მხრივ, ნუკრი ცისკაძე კისრულობს მათა სულხანიშვილისგან გადაცემულ უფლებებს და მასთან დაკავშირებულ მოვალეობებს.

მომხსენებელმა შემაჯამებლად აღნიშნა, რომ დაინტერესებულ პირთა მოთხოვნის დაკმაყოფილების მიზნით, **თბილისის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია მორიგების აქტის პროექტის შემუშავება და მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული თბილისის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა კანონით დადგენილი წესით, ამასთან:**

✓ **მორიგების აქტის პროექტის პირველი პუნქტის თანახმად:** თბილისის მთავრობა, თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ 2020 წლის 28 მაისს გაცემული სააღსრულებო ფურცლის აღსრულების მიზნით, წინამდებარე მორიგების შესრულების სანაცვლოდ, მოსარჩელეს ციციწო დევრისაშვილს საკუთრებაში გადასცემს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთს, ხოლო, მოსარჩელეს მათა სულხანიშვილის



უფლებამონაცვლეს, ნუკრი ცისკამეს საკუთრებაში გადასცემს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთს, რაზეც მოსარჩელები აცხადებენ თანხმობას, ხოლო, მოსარჩელები აცხადებენ და ადასტურებენ, რომ მათთვის წინამდებარე პუნქტით გათვალისწინებული უძრავი ქონების საკუთრებაში გადაცემით, ამავე პუნქტში მითითებული სააღსრულებო ფურცელი მიიჩნევა სრულად აღსრულებულად;

✓ **მორიგების აქტის პროექტის მე-2 პუნქტის მიხედვით**, ციცილო დევრისაშვილი და ნუკრი ცისკამე, აცხადებენ და ადასტურებენ, რომ მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების საკუთრებაში მიღების სანაცვლოდ, ქალაქ თბილისის მთავრობის 2001 წლის 24 იანვრის დადგენილებისა და საქართველოს პრეზიდენტის 2003 წლის 30 იანვრის განკარგულების საფუძველზე გამოყოფილ მიწის ნაკვეთებთან დაკავშირებით არანაირი პრეტენზია/მოთხოვნის უფლება არ აქვთ და არც სამომავლოდ შეიძლება ჰქონდეთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის/მისი ორგანოების, ასევე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს ან/და მისი უფროსის, ირაკლი თავართქილაძის მიმართ;


✓ **პროექტის მე-3 პუნქტის თანახმად**, ციცილო დევრისაშვილი და ნუკრი ცისკამე, უარს აცხადებენ დავის ფარგლებში, ასევე, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 28 მაისს გაცემული სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე, ნებისმიერი სახის ზიანის, ზარალის, გადახდილი თანხების, მიუღებელი შემოსავლის ან/და სხვა თანხების/სახსრების ანაზღაურების თაობაზე და ადასტურებენ, რომ მათ არ აქვთ უფლება ხელმოკრედ მიმართონ სასამართლოს დავაზე იმავე მხარეებს შორის, არსებითად იმავე საგანზე და იმავე საფუძველით, ამასთან, მხარეები აცხადებენ და ადასტურებენ, რომ მათთვის მიწის ნაკვეთების უფლებრივი და ფაქტობრივი მდგომარეობის შესახებ, მათ შორის აღნიშნულ მიწის ნაკვეთებზე რეგისტრირებული შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ საკუთრებაში არსებული ხაზობრივი ნაგებობის და სხვა შესაძლო არარეგისტრირებული კომუნიკაციების თაობაზე და მორიგების გაფორმების შემდგომ არანაირი პრეტენზია/მოთხოვნის უფლება არ აქვთ და არც სამომავლოდ შეიძლება ჰქონდეთ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის/მისი ორგანოების, ასევე, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს ან/და მისი უფროსის, ირაკლი თავართქილაძის მიმართ;

✓ **პროექტის მე-4 და მე-5 პუნქტების თანახმად**, მხარეები თანხმდებიან, რომ წინამდებარე მორიგების აქტის სასამართლოს მიერ დამტკიცების საფუძველზე, შეწყდება სასამართლო დავა საქმეზე; ამასთანავე, არ გაასაჩივრებენ წინამდებარე მორიგებას და იგი ძალაში შედის თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მიერ მისი დამტკიცებისა და საქმის შეწყვეტის თაობაზე სასამართლოს მიერ მიღებული განჩინების კანონიერ ძალაში შესვლისთანავე;

✓ **მე-6 პუნქტი ითვალისწინებს**, რომ წინამდებარე მორიგების დამტკიცების შესახებ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განჩინების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ, უძრავ ქონებაზე ციცილო დევრისაშვილს, ხოლო უძრავ ქონებაზე ნუკრი ცისკამეს საკუთრების უფლება გადაეცემა საკუთრების უფლების მორიგების აქტის საჯარო რეგისტრის ეროვნულ სააგენტოში რეგისტრაციის მომენტიდან.

**გადაწყვეტის:**





იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

#### **მოისმინეს:**

**33. ირაკლი თავართქილაძემ** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს წარუდგინა, კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით - **33-ე საკითხად** განსაზღვრული განკარგულების პროექტი, რაც ითვალისწინებს, თბილისის მთავრობის მიერ, თბილისის საკრებულოსთან, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული **5 (ხუთი) ტონა მოძრავი ქონების - ჯართის (მეორადი მავთულბადის) სსიპ - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზების თაობაზე საკითხის შეთანხმებას.**

**როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, 2024 წლის 14 თებერვალს** სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მდივანმა დეკანოზ მიქაელ ბოტკოველმა წერილით მიმართა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერს, რომელშიც აღნიშნულია, რომ ქ. თბილისში, ტიბაანის ქუჩაზე მდებარე ღვთისმშობლის ხარების სახელობის ტაძარს ესაჭიროება შემოსაღობი მასალა და ითხოვა, შესაძლებლობის ფარგლებში, მეორადი მეტალის მავთულბადების სსიპ - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური ეკლესიისთვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემა ზემოაღნიშნული მიზნით, ამასთან, ნაძალადევის რაიონის გამგეობამ, წერილობითი თანხმობა წარუდგინა, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს, სპორტული მოედნებიდან დემონტირებული 5 ტონა მეორადი მავთულბადის გადაცემის საკითხთან დაკავშირებით, აგრეთვე, დადებითი პოზიცია გამოხატა ქალაქ თბილისის მერიის ადმინისტრაციამ, ხოლო, შპს „აუდიტ სერვისი“-ს მიერ, **2023 წლის 20 აპრილს მომზადებულ იქნა** აუდიტორული დასკვნა, რის თანახმადაც, ამორტიზირებული, ჩამოწერას დაქვემდებარებული, შავი ლითონის ჯართის საბაზრო ღირებულება **2023 წლის 20 აპრილის მდგომარეობით განისაზღვრა 0.70 (ნული და ორმოცი) ლარით.**


მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ყოველივე მითითებულის გათვალისწინებით, თბილისის მთავრობამ მოიწონა და შესაძლებლად მიიჩნია, თბილისის საკრებულოსთან შესთანხმებლად წარმოდგენა, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების, სსიპ - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის, საპრივატიზებო საფასურის - **1 (ერთი) ლარის ოდენობით პრივატიზების თაობაზე საკითხის იმ პირობით, რომ** სსიპ - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელმა ეკლესიამ **საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს გადასაცემი მოძრავი ქონების ზუსტი წონის დადგენა და შესაბამისი ტერიტორიიდან გატანა საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის გაცემიდან 1 (ერთი) თვის ვადაში.**

#### **გადაწყვიტეს:**

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

#### **მოისმინეს:**

**34. ირაკლი თავართქილაძემ,** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს წარუდგინა, კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით - **34-ე საკითხად** განსაზღვრული განკარგულების პროექტი, რაც ითვალისწინებს,



მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული ქალაქ თბილისში, ალ. ყაზბეგის გამზირი № 7-ის მიმდებარედ არსებული 23 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, შპს „კანაპესის“ ღია კაფეს მოწყობის მიზნით, იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე საკითხის, თბილისის მთავრობის მიერ, თბილისის საკრებულოსთან შეთანხმებას.

**როგორც ირაკლი თავართქილაძემ აღნიშნა,** შპს „კანაპეს“ დირექტორმა განცხადებით მიმართა სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს, ზემოაღნიშნული მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით შპს „კანაპესის“, ღია კაფეს მოწყობის მიზნით გადაცემის თხოვნით, აღნიშნულ საკითხთან მიმართ სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა გამოხატა დადებითი პოზიცია, კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების დაცვის პირობით, ასევე, დადებითი პოზიცია გამოხატა სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტომ, ხოლო, სსიპ - ლევან სამხარაული სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2024 წლის 21 მარტის დასკვნით, მიწის ნაკვეთის მთლიანი წლიური საბაზრო საიჯარო ქირა 2024 წლის 20 მარტის მდგომარეობით საორიენტაციოდ განისაზღვრა **5520 ლარით**;

მომხსენებელმა დასძინა, რომ ქალაქ თბილისში, გამზირი ალ. ყაზბეგი, № 7-ში მდებარე შესაბამის უძრავ ქონებას თანასაკუთრების უფლებით ფლობს შპს „კანაპეს“ დირექტორი, ამასთან, დაამატა, რომ ყოველივე ზემომითთებულის შესაბამისად, თბილისის მთავრობამ მოიწონა და შესაძლებლად მიიჩნია, ქალაქ თბილისში, გამზირი ალ. ყაზბეგი, № 7-ის მიმდებარედ 23 კვ.მ. იჯარის ფორმით, 5 წლის ვადით, საიჯარო ქირის წლიური საფასურის - 5520 (ხუთი ათას ხუთას ოცი) ლარის ოდენობით, გადაცემის თაობაზე საკითხის თბილისის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა.

**აზრი გამოთქვას:**


კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა პროექტის სათაურის, პირველი და მე-3 პუნქტების როგორც ტექნიკურად, ისე სტილისტურად გამართვის რეკომენდაციებზე, რომლებიც გაზიარებულ იქნა საკითხის წარმომდგენის მიერ.

უფრაქციო დეპუტატმა გიორგი ონიანმა წინადადებით მიმართა მომხსენებელს, იჯარის ფორმით განსაკარგ (სავარაუდო) მიწის ნაკვეთებთან მიმართებით, სსიპ - ლევან სამხარაული სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ წინასწარი შეფასებების/დასკვნების მომზადებაზე, რაზეც მომხსენებელმა განმარტა, რომ დროის მსვლელობასთან ერთად, ცვალებადია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში მიწის ნაკვეთების საიჯარო ქირის ოდენობები, შესაბამისად, აღნიშნული ღონისძიების წინასწარი განხორციელება, არაქმედითი იქნება.

**გადაწყვიტეს:**

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და **მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინებით,** მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

**მოისმინეს:**



**35. ირაკლი თავართქილაძემ**, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს წარუდგინა, კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით - **35-ე საკითხად** განსაზღვრული განკარგულების პროექტი, რაც ითვალისწინებს, მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული, ქალაქ თბილისში, აღმაშენებლის გამზირი № 9-25-ის მიმდებარედ, 173 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთიდან 15 კვ. მ.მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით თეკლე ბერაიასთვის ღია კაფეს მოწყობის მიზნით, გადაცემის თაობაზე საკითხის თბილისის მთავრობის მიერ, თბილისის საკრებულოსთან შეთანხმებას.

**როგორც მომხსენებელმა აღნიშნა**, თეკლე ბერაიამ განცხადებით მიმართა სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს, ზემოაღნიშნული მიწის ნაკვეთის, ერთი წლის ვადით, იჯარის ფორმით გადაცემის საკითხთან დაკავშირებით, მითითებული თხოვნის მიმართ, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს 2024 წლის გადაწყვეტილებით გამოხატულ იქნა დადებითი პოზიცია, ასევე, სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტომ შესაძლებლად მიიჩნია, დაინტერესებაში არსებული 15 კვ.მ. მიწის ნაკვეთის იჯარის ფორმით გადაცემა, ღია კაფეს მოწყობის მიზნით, კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნების დაცვის პირობით, ხოლო, სსიპ - სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2024 წლის 21 მარტის ექსპერტიზის დასკვნით 15 კვ.მ. მიწის ნაკვეთის მთლიანი წლიური საბაზრო საიჯარო ქირა 2024 წლის 20 მარტის მდგომარეობით საორიენტაციოდ განისაზღვრა **3600 ლარით**;

მომხსენებელმა ასევე აღნიშნა, რომ თეკლე ბერაია სარგებლობის უფლებით, ქირავნობის ფორმით, ფლობს ზემოაღნიშნული მიწის ნაკვეთის მიმდებარედ - ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირი № 23-ში არსებულ უძრავ ქონებას, ამასთან, დაამატა, რომ ყოველივე მითითებულის გათვალისწინებით, თბილისის მთავრობამ მოიწონა და მიზანშეწონილად მიიჩნია, დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთის, 2024 წლის 8 დეკემბრამდე, საიჯარო ქირის წლიური საფასურის - 3600 (სამი ათას ექვსასი) ლარის ოდენობით, პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით თეკლე ბერაიასთვის გადაცემის საკითხის თბილისის საკრებულოსთან შესთანხმებლად წარმოდგენა.

**აზრი გამოთქვას:**

კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა პროექტის სათაურის, პირველი და მე-3 პუნქტების როგორც ტექნიკურად, ისე სტილისტურად გამართვის რეკომენდაციებზე, რომლებიც გაზიარებულ იქნა საკითხის წარმომდგენის მიერ.

**გადაწყვეტეს:**

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და **მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინებით**, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

**მოისმინეს:**

**36. ირაკლი თავართქილაძემ**, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს წარუდგინა, კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით - **36-ე საკითხად** განსაზღვრული განკარგულების პროექტი, რაც ითვალისწინებს,



მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული, ქალაქ თბილისში, კანდელაკის ქუჩა № 53-ში არსებული 2 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით **დავით მაჭარაშვილისთვის** იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით, კიბის უჯრედის ფუნქციონირების მიზნით, გადაცემის თაობაზე საკითხის, თბილისის მთავრობის მიერ, თბილისის საკრებულოსთან შეთანხმებას.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, დავით მაჭარაშვილმა განცხადებით მიმართა სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს, ზემოაღნიშნული მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემაზე, კიბის უჯრედის შემდგომი გამოყენების მიზნით, მიღების საკითხთან დაკავშირებით, მითითებულ საკითხთან დაკავშირებით, სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა დადებითი პოზიცია გამოხატა, ხოლო, სსიპ - სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2024 წლის 21 მარტის ექსპერტიზის დასკვნით, მიწის ნაკვეთის მთლიანი წლიური საბაზრო საიჯარო ქირა, 2024 წლის 20 მარტის მდგომარეობით, საორიენტაციოდ განისაზღვრა **288 ლარით**;

**ირაკლი თავართქილაძემ დასძინა**, რომ დავით მაჭარაშვილს საკუთრებაში აქვს ზემოაღნიშნული მიწის ნაკვეთის მიმდებარედ - ქალაქ თბილისში, ქუჩა კანდელაკი № 53-ში არსებული უძრავი ქონება, ამასთან, დამატა, რომ თბილისის მთავრობამ მოიწონა და მიზანშეწონილად მიიჩნია, ქალაქ თბილისში, ქუჩა კანდელაკი № 53-ში არსებული 2 კვ.მ. მიწის ნაკვეთის, 5 წლის ვადით, საიჯარო ქირის წლიური საფასურის - 288 (ორას ოთხმოცდარვა) ლარის ოდენობით, იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე საკითხის თბილისის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა.

**აზრი გამოთქვას:**

კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა პროექტის სათაურის, პირველი და მე-3 პუნქტების როგორც ტექნიკურად, ისე სტილისტურად გამართვის რეკომენდაციებზე, რომლებიც გაზიარებულ იქნა საკითხის წარმოდგენის მიერ.


**გადაწყვიტეს:**

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და **მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინებით**, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

**მოისმინეს:**

**37. ირაკლი თავართქილაძემ**, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს წარუდგინა, კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით - **37-ე საკითხად** განსაზღვრული განკარგულების პროექტი, რაც ითვალისწინებს, მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული, ქალაქ თბილისში, აბაშიძის ქ. N2-20-ის მიმდებარედ არსებული 1486 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან 30 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით **შპს „კანაპესთვის“** იჯარის ფორმით, ღია კაფის მოწყობის მიზნით, გადაცემის თაობაზე საკითხის თბილისის საკრებულოსთან, თბილისის მთავრობის მიერ შეთანხმებას.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს, განცხადებით მიმართა შპს „კანაპეს“ დირექტორმა, ზემოაღნიშნული მიწის ნაკვეთის, რაც კომპანიას



იჯარით ჰქონდა მიღებული 5 წლით, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს 2019 წლის შესაბამისი ბრძანებით, განმეორებით გადაცემა, ამასთან დაამატა, რომ შპს „კანაპეს“ დამფუძნებელი და 100% წილის მფლობელი, საკუთრების უფლებით ფლობს ი. აბაშიძის ქ. N14-ში მდებარე ფართებს.

მომხსენებლისვე მითითებით, სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა შესაძლებლად მიიჩნია მიწის ნაკვეთის განმეორებით იჯარით გადაცემა, კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების დაცვის შემთხვევაში, ასევე დადებითი პოზიცია გამოხატა სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტომ, ხოლო, **სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2024 წლის შესაბამისი დასკვნით**, დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთის წლიური საბაზრო საიჯარო ქირა, **2024 წლის 2 აპრილის** მდგომარეობით, საორიენტაციოდ განისაზღვრა - **7200 ლარის** ოდენობით, რაც ეცნობა კომპანიას სააგენტოს წერილით.

ირაკლი თავართქილაძემ შემაჯამებლად აღნიშნა, რომ თბილისის მთავრობამ მოიწონა და მიზანშეწონილად მიიჩნია, დაინტერესებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით **შპს „კანაპესთვის“**, **5 წლის ვადით**, საერთო საიჯარო ქირის წლიური საფასური - **7 200 (შვიდი ათას ორასი) ლარის** ოდენობით, იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე საკითხის თბილისის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა.

**გადაწყვეტეს:**

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა **უფრაქციო დეპუტატმა გიორგი ონიანმა**.


იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრედანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

**მოისმინეს:**

**38. ირაკლი თავართქილაძემ**, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს წარუდგინა, კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით - **38-ე საკითხად** განსაზღვრული განკარგულების პროექტი, რაც ითვალისწინებს, მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული, ქალაქ თბილისში, ფალიაშვილის ქ. N80-ის მიმდებარედ, 6 კვ.მ. მიწის ნაკვეთის, პირდაპირი განკარგვის წესით **ნინო იაშვილისთვის** იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე საკითხის თბილისის მთავრობის მიერ, თბილისის საკრებულოსთან შესათანხმებას.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს, ნინო იაშვილმა მიმართა განცხადებებით, ზემოხსენებული მიწის ნაკვეთის, რაც გადაცემული ჰქონდა 2018 წლის შესაბამისი ბრძანების საფუძველზე 5 წლის ვადით. განმეორებით იჯარით, ღია კაფეს მოსაწყობად, 5 წლის ვადით გადაცემის თხოვნით, აქვე დასძინა, რომ ნინო იაშვილი საკუთრების უფლებით ფლობს ფალიაშვილის ქ. N80-ში მდებარე ფართს.

მომხსენებლისვე მითითებით, სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა და სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტომ დადებითი პოზიცია გამოხატეს მიწის ნაკვეთის



განმეორებით გადაცემის საკითხთან დაკავშირებით, კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების დაცვის შემთხვევაში, **ხოლო, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2024 წლის ექსპერტიზის დასკვნით, დაინტერესებაში არსებული** მიწის ნაკვეთის წლიური საბაზრო საიჯარო ქირა, 2024 წლის 2 აპრილის მდგომარეობით, საორიენტაციოდ განისაზღვრა: **1440 (ათას ოთხას ორმოცი) ლარის ოდენობით.**

**ირაკლი თავართქილაძემ შემაჯამებლად აღნიშნა,** რომ ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, თბილისის მთავრობის მოიწონა და მიზანშეწონილად მიიჩნია, დაინტერესებაში არსებული 6 კვ.მ. მიწის ნაკვეთის 5 (ხუთი) წლის ვადით, პირდაპირი განკარგვის წესით ნინო იაშვილისთვის იჯარის ფორმით, საიჯარო ქირის წლიური საფასურის - 1440 (ათას ოთხას ორმოცი) ლარის ოდენობით, გადაცემის თაობაზე საკითხის თბილისის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა.

**გადაწყვეტეს:**


იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

**მოისმინეს:**

**39. ირაკლი თავართქილაძემ,** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს წარუდგინა, კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით - **39-ე საკითხად** განსაზღვრული განკარგულების პროექტი, რაც ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული, ქალაქ თბილისში, აბანოს ქუჩა № 17-ის მიმდებარედ, 31 კვ.მ. ფართის. პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით შპს „კანაპესთვის, ღია კაფეს მოწყობის მიზნით, გადაცემის თაობაზე საკითხის თბილისის მთავრობის მიერ, თბილისის საკრებულოსთან შეთანხმებას.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, შპს „კანაპეს“ დირექტორმა განცხადებით მიმართა სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს ზემოაღნიშნული მიწის ნაკვეთის, პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით შპს „კანაპესთვის“ ხუთი წლის ვადით ღია კაფეს მოწყობის მიზნით გადაცემის თხოვნით, მითითებულ საკითხთან დაკავშირებით, დადებითი პოზიციები გამოხატეს: ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭომ, სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტომ, ხოლო, სსიპ - სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2024 წლის დასკვნით, ზემომითითებული მიწის ნაკვეთის მთლიანი წლიური საბაზრო საიჯარო ქირა 2024 წლის 2 აპრილის მდგომარეობით საორიენტაციოდ განისაზღვრა **9300 ლარით;**

ირაკლი თავართქილაძემ დასძინა, რომ დაინტერესებული პირი, აღნიშნული მიწის ნაკვეთის მიმდებარედ, ქალაქ თბილისში, ქუჩა აბანო, № 15/6-ში მდებარე უძრავ ქონებას ფლობს თანასაკუთრებით, ხოლო, ყოველივე მითითებულის გათვალისწინებით, თბილისის მთავრობამ მოიწონა და მიზანშეწონილად მიიჩნია, ქალაქ თბილისში, აბანოს ქუჩა № 17-ის მიმდებარედ არსებული 31 კვ. მ. ფართობის მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით შპს „კანაპესთვის“ 5 (ხუთი)



წლის ვადით, საიჯარო ქირის წლიური საფასური - 9300 (ცხრა ათას სამასი) ლარის ოდენობით, გადაცემის თაობაზე საკითხის თბილისის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა.

**აზრი გამოთქვას:**

კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა პროექტის სათაურის, პირველი და მე-3 პუნქტების როგორც ტექნიკურად, ისე სტილისტურად გამართვის რეკომენდაციებზე, რომლებიც გაზიარებულ იქნა საკითხის წარმომდგენის მიერ.

**გადაწყვიტეს:**

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და **მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინებით**, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

**მოისმინეს:**

**40.** ირაკლი თავართქილაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს წარუდგინა, კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით - **მე-40 საკითხად** განსაზღვრული განკარგულების პროექტი, რაც ითვალისწინებს, ქ თბილისში, კანდელაკის ქუჩა N5-ის მიმდებარედ 2 კვ.მ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით **ია რეხვიაშვილი-პინკისთვის** იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის თბილისის მთავრობის მიერ, თბილისის საკრებულოსთან შეთანხმებას.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, ზემოაღნიშნული პირის წარმომადგენელმა სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს მიმართა განცხადებებით. თბილისში, კანდელაკის ქუჩა N5-ის მიმდებარედ 2 კვ.მ მიწის ნაკვეთის განმეორებით, მასზე არსებული კიბის უჯრედის შემდგომი გამოყენების მიზნით, იჯარის ფორმით გადაცემის თხოვნით, აქვე დასძინა, რომ საკითხთან დაკავშირებით, სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა გამოხატა დადებითი პოზიცია, ხოლო, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2023 წლის 18 დეკემბრის დასკვნით, დაინტერესებაში არსებული 2 კვ.მ. მიწის ნაკვეთის წლიური საბაზრო საიჯარო ქირა, 2023 წლის 13 დეკემბრის მდგომარეობით, საორიენტაციოდ განისაზღვრა 288 (ორას ოთხმოცდარვა) ლარის ოდენობით, ხოლო, ყოველივე მითითებულის გათვალისწინებით, **თბილისის მთავრობამ მოიწონა** და მიზანშეწონილად მიიჩნია მიწის ნაკვეთის იჯარის ფორმით, 10 წლის ვადით, საიჯარო ქირის წლიური საფასური - 288 (ორას ოთხმოცდარვა) ლარის ოდენობით, გადაცემის თაობაზე საკითხის თბილისის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა.

**გადაწყვიტეს:**

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

**მოისმინეს:**



**41. ირაკლი თავართქილაძემ**, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს წარუდგინა, კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით - **41-ე საკითხად** განსაზღვრული განკარგულების პროექტი, რაც ითვალისწინებს, მუნიციპალიტეტის ბალანსზე, ქ. თბილისში, პარკი „მზიურის“ ტერიტორიაზე არსებული შენობა-ნაგებობა N5 - ფართით 167.69 კვ.მ პირდაპირი განკარგვის წესით ა(ა)იპ „კუბი კონტექსტი“-სთვის უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, თბილისის მთავრობის მიერ, თბილისის საკრებულოსთან შეთანხმებას.


**როგორც მომხსენებელმა აღნიშნა**, თბილისის მთავრობის 2022 წლის 9 თებერვლის განკარგულებისა და თბილისის საკრებულოს 2022 წლის 15 თებერვლის განკარგულების საფუძველზე, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს 2022 წლის 24 თებერვლის ბრძანების შესაბამისად, ზემოაღნიშნულ ორგანიზაციას პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, 2 (ორი) წლის ვადით გადაეცა ქ. თბილისში, პარკი „მზიურის“ ტერიტორიაზე არსებული შენობა-ნაგებობა N5 - ფართით 167.69 კვ.მ, აქვე დასძინა, რომ სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს ხსენებული კომპანიის დირექტორმა, წარადგინა შპს „ბიზნეს აუტოსორსის“ აუდიტორული ანგარიში უსასყიდლო უზუფრუქტის პირობების შესრულებასთან დაკავშირებით და ითხოვა ხსენებული უძრავი ქონების თანამედროვე ხელოვნების ადაპტირებული გალერეისა და მედიათეკის ფუნქციონირების მიზნით **განმეორებით** სარგებლობის უფლებით უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემა.

მომხსენებელმა დასძინა, რომ განკარგულების პროექტით წარმოდგენილი საკითხი მოწონებულ იქნა თბილისის მთავრობის მიერ და მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული, ქ.თბილისში, პარკი „მზიურის“ ტერიტორიაზე არსებული შენობა-ნაგებობა N5 - ფართით 167.69 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით ა(ა)იპ „კუბი კონტექსტი“-სთვის უსასყიდლო უზუფრუქტის სარგებლობის უფლებით გადაცემა ხორციელდება მთავრობის განკარგულების დანართით გათვალისწინებული **შემდეგი პირობებით**:

- თანამედროვე ხელოვნების გალერეის შექმნა და გამოყენების ორგანიზება;
- კულტურულ-შემეცნებითი მედიათეკის შექმნა;
- მედიათეკის სივრცეში ადაპტირებული საერთო სამუშაოს გარემოს შექმნა;
- არტისტული მაღაზიის შექმნა;
- მედიათეკის დატვირთვა ღონისძიებებით: სადისკუსიო ფორმატის ღონისძიებების ორგანიზება, საზოგადოებრივ-კულტურული თანამშრომლობის შესაძლებლობის შეთავაზება;
- კულტურული გადაკვეთის წერტილის შექმნა საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფებისთვის და კულტურის და საგანმანათლებლო სფეროს წარმომადგენლებისთვის: მასწავლებლები, პროფესორები, სტუდენტები, შშმ პირები, ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვები, ხანდაზმულები, განსხვავებული ასაკის ბავშვები;
- ლიტერატურული საღამოების ორგანიზება;
- თავისუფალი კინოჩვენების ორგანიზება;

**აზრი გამოთქვას:**





კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-12 პუნქტის და საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 122<sup>1</sup>-ე მუხლის მე-8 პუნქტის დამატების მიზანშეწონილობის საკითხებზე, ამასთან, პროექტის პირველი და მე-2 პუნქტების ტექნიკურად გამართვის რეკომენდაციებზე, რომლებიც გაზიარებულ იქნა საკითხის წარმომდგენის მიერ.

#### **გადაწყვეტის:**


იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და **მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინებით**, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

#### **მოისმინეს:**

**42. ნინო ბაგაშვილმა**, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს წარუდგინა, კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით - **42-ე საკითხად** განსაზღვრული პროექტი, რაც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებით დამტკიცებული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების 39<sup>3</sup> მუხლით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაცია/ჩანაცვლების ხელშეწყობის მიზნით დადგენილი ხელშემწყობი ღონისძიებების საფუძველზე, ითვალისწინებს, **ქალაქ თბილისში, ნადიკვარის ქუჩა N34-ის მიმდებარედ არსებულ შესაბამის მიწის ნაკვეთებთან** (შემდეგში - საპროექტო მიწის ნაკვეთები) მიმართებით, აღნიშნული ღონისძიებების გატარების საკითხის თბილისის მთავრობის მიერ, თბილისის საკრებულოსთან შეთანხმებას.

**როგორც მომხსენებელმა აღნიშნა**, სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში, მ/წელს წარდგენილი განცხადებით, ზემოაღნიშნული მიწის ნაკვეთების მესაკუთრემ, აღნიშნულ უძრავ ქონებაზე მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) გადამეტების სანაცვლოდ (კ-2=1.6; კ-2=1.8; კ-2=1.9), გამოხატა მზაობა მაკომპენსირებელი ღონისძიების სახით, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებულ ავარიულ შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, შესაბამისი ფასის გადახდაზე, ამასთან, გამოიკვეთა რომ საპროექტო მიწის ნაკვეთებზე ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 3 (სზ-3) და დაინტერესებული პირის მიერ, ხელშემწყობი ღონისძიების სახით მოთხოვნილია **საპროექტო მიწის ნაკვეთებზე 6 სართულიანი შენობების განთავსების შესაძლებლობა**, გადამეტებულ ფართზე პროექტის შეთანხმებისას სიმაღლის ნაწილში არ იქნას გათვალისწინებული კანონით განსაზღვრული რეგულაციები და მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) **ზღვრული მაჩვენებლის გადამეტება შემდეგი სახით:**

- 2 739 კვ.მ. ოღენობის მიწის ნაკვეთზე - კ2=1.5-დან კ2=1.9-მდე;



- 3 435 კვ.მ. ოდენობის მიწის ნაკვეთზე - კ2=1.5-დან კ2=1.8-მდე;
- 3 435 კვ.მ. ოდენობის მიწის ნაკვეთზე - კ2=1.5-დან კ2=1.9-მდე;
- 5 010 კვ.მ. ოდენობის მიწის ნაკვეთზე - კ2=1.5-დან კ2=1.8-მდე;
- 5 335 კვ.მ. ოდენობის მიწის ნაკვეთზე - კ2=1.5-დან კ2=1.8-მდე;
- 1 259 კვ.მ. ოდენობის მიწის ნაკვეთზე - კ2=1.4-დან კ2=1.6-მდე.

**წინო ზაგაშვილმა ასევე ისაუბრა სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ მ/წლის 5 დეკემბრის დასკვნებზე და საპროექტო მიწის ნაკვეთების შემდეგ შეფასებებზე:**

- 2 739 კვ.მ. საპროექტო მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულება 2024 წლის 2 თებერვლის მდგომარეობით საორიენტაციოდ შეადგენს 2 463 746 (ორი მილიონ ოთხას სამოცდასამი ათას შვიდას ორმოცდაექვსი) ლარს;
- 3 435 კვ.მ. საპროექტო მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულება 2024 წლის 2 თებერვლის მდგომარეობით საორიენტაციოდ შეადგენს 3 025 431 (სამი მილიონ ოცდახუთი ათას ოთხას ოცდათერთმეტი) ლარს;
- 3 435 კვ.მ. საპროექტო მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულება 2024 წლის 2 თებერვლის მდგომარეობით საორიენტაციოდ შეადგენს 3 025 431 (სამი მილიონ ოცდახუთი ათას ოთხას ოცდათერთმეტი) ლარს;
- 5 010 კვ.მ. მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულება 2024 წლის 2 თებერვლის მდგომარეობით საორიენტაციოდ შეადგენს 4 184 629 (ოთხი მილიონ ას ოთხმოცდაოთხი ათას ექვსას ოცდაცხრა) ლარს;
- 5 335 კვ.მ. მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულება 2024 წლის 2 თებერვლის მდგომარეობით საორიენტაციოდ შეადგენს 4 456 086.00 (ოთხი მილიონ ოთხას ორმოცდათექვსმეტი ათას ოთხმოცდაექვსი) ლარს.
- 1 259 კვ.მ. მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულება 2024 წლის 2 თებერვლის მდგომარეობით საორიენტაციოდ შეადგენს 1 108 884.00 (ერთი მილიონ ას რვა ათას რვაას ოთხმოცდაოთხი) ლარს.

**როგორც წინო ზაგაშვილმა აღნიშნა,** ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის მიერ, 2024 წელს გაცემული ინფორმაციით, ქალაქ თბილისში, ნადიკვარის ქუჩა N 34-ის მიმდებარედ არსებულ 2,739 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე (სექტორი 1) კ-2 კოეფიციენტის 1.5-დან 1.9-მდე, 3,435 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე (სექტორი 2) კ-2 კოეფიციენტის 1.5-დან 1.8-მდე, 3,435 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე (სექტორი 3) კ-2 კოეფიციენტის 1.5-დან 1.9-მდე, 5,010 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე (სექტორი 4) კ-2 კოეფიციენტის 1.5-დან 1.8-მდე, 5,335 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე (სექტორი 5) კ-2 კოეფიციენტის 1.5-დან 1.8-მდე, 1,259 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე (სექტორი 8) კ-2 კოეფიციენტის 1.4-დან 1.6-მდე **გადამეტების ჯამური ფასი შეადგენს 3 955 421.73 (სამი მილიონ ცხრაას ორმოცდათხუთმეტი ათას ოთხას ოცდაერთი და სამოცდაცამეტი მეთასედი) ლარს.**

**მომხსენებლის განმარტებით,** თბილისის მთავრობამ, ყოველივე ზემომითითებულის გათვალისწინებით, მოიწონა და მიზანშეწონილად მიიჩნია, თბილისის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული



ავარიული შენობა - ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, შესაბამისი პრინციპით და საანგარიშო ფორმულით დადგენილი ფასის გადახდის სანაცვლოდ, მისამართზე: მისამართზე - ქალაქი თბილისი, ნადიკვარის ქუჩა N34-ის მიმდებარედ არსებულ საპროექტო მიწის ნაკვეთებთან მიმართებით შემდეგი ხელშემწყობი ღონისძიებების/ვალდებულებების განსაზღვრის საკითხის:

**ა) მოხდეს მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) გადამეტება:**

- 2 739 კვ.მ. მიწის ნაკვეთთან მიმართებით - კ2=1.5-დან კ2=1.9-მდე;
- 3 435 კვ.მ. მიწის ნაკვეთთან მიმართებით - კ2=1.5-დან კ2=1.8-მდე;
- 3 435 კვ.მ. მიწის ნაკვეთთან მიმართებით - კ2=1.5-დან კ2=1.9-მდე;
- 5 010 კვ.მ. მიწის ნაკვეთთან მიმართებით - კ2=1.5-დან კ2=1.8-მდე;
- 5 335 კვ.მ. მიწის ნაკვეთთან მიმართებით - კ2=1.5-დან კ2=1.8-მდე;
- 1 259 კვ.მ. მიწის ნაკვეთთან მიმართებით კ2=1.4-დან კ2=1.6-მდე;

ბ) არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა მოხდეს გადამეტებულ ფართზე სიმაღლის განმსაზღვრელი რეგულაციების გათვალისწინების გარეშე.

გ) დაინტერესებულმა პირმა ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენებისათვის მაკომპენსირებელი ღონისძიების სახით, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებულ ავარიულ შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით შესაბამისი ფასის - 3 955 421.73 (სამი მილიონ ცხრაას ორმოცდათხუთმეტი ათას ოთხას ოცდაერთი და სამოცდაცამეტი მესხედი) ლარის გადარიცხვა განახორციელოს ხაზინის ერთიან ანგარიშზე, შემოსულობების შესაბამის სახაზინო კოდზე, მშენებლობის ნებართვის გაცემამდე, მაგრამ არაუგვიანეს თბილისის მთავრობის მიერ დამტკიცებული ხელშემწყობი ღონისძიებების თბილისის საკრებულოსთან შეთანხმებიდან 6 თვის ვადისა, ვინაიდან, ვალდებულებების დადგენილ ვადაში შეუსრულებლობა გამოიწვევს განსაზღვრული ხელშემწყობი ღონისძიებების გაუქმებას.

**აზრი გამოთქვას:**


კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა პროექტის მე-5 პუნქტის ტექნიკურად გამართვის მიზანშეწონილობაზე, რაც გაზიარებულ იქნა საკითხის წარმომდგენის მიერ.

**გადაწყვეტის:**

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით ხმის მიცემისაგან თავი შეიკავებს უფრაქციო დეპუტატებმა გიორგი ონიანმა და დავით ფარცვანიამ.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

**მოისმინეს:**



**43. ნინო ზაგაშვილმა**, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს წარუდგინა, კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით - **43-ე საკითხად** განსაზღვრული განკარგულების პროექტი, რაც დღის წესრიგის 42-ე საკითხის სამართლებრივი საფუძვლის მსგავსად ითვალისწინებს, ქალაქ თბილისში, **ვახტანგ გორგასლის ქუჩა N12-ში** მდებარე - 2 572 კვ.მ. მიწის ნაკვეთთან (შემდეგში - საპროექტო მიწის ნაკვეთი) მიმართებით გასატარებელი ღონისძიებების საკითხის თბილისის მთავრობის მიერ, თბილისის საკრებულოსთან შეთანხმებას.


**როგორც მომხსენებელმა აღნიშნა**, სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში, მ/წელს წარდგენილი განცხადებით, ზემოაღნიშნული უძრავი ქონების მესაკუთრემ საპროექტო მიწის ნაკვეთზე მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) გადამეტების სანაცვლოდ (კ-2=5.1), გამოხატა მზაობა მაკომპენსირებელი ღონისძიების სახით, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებულ ავარიულ შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, შესაბამისი ფასის გადახდაზე, ამასთან, გამოიკვეთა, რომ საპროექტო მიწის ნაკვეთზე ვრცელდება საზოგადოებრივ - საქმიანი ზონა 2 (სსზ-2) და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - არქიტექტურის სამსახურის შესაბამისი ბრძანებით დადგენილია მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები, ხოლო, დაინტერესებული პირის მიერ, ხელშემწყობი ღონისძიების სახით მოთხოვნილია:

- მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) ზღვრული მაჩვენებლის გადამეტება კ-2=4.6-დან კ-2=5.1-მდე, რაც გულისხმობს შეთანხმებულ მოცულობაზე 1 სართულის დამატებას;
- გადამეტებულ ფართზე პროექტის შეთანხმებისას სიმაღლის ნაწილში არ იქნას გათვალისწინებული კანონით განსაზღვრული რეგულაციები.

**ნინო ზაგაშვილმა ისაუბრა** სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტიზის დასკვნაზე, რომლის მიხედვითაც, საპროექტო მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულება 2024 წლის 28 თებერვლის მდგომარეობით საორიენტაციოდ შეადგენს 4 495 289 ლარს, ასევე, აღნიშნა, რომ ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის მიერ, მ/წელს გაცემული ინფორმაციით, საპროექტო მიწის ნაკვეთზე კ-2 კოეფიციენტის 4.6-დან 5.1-მდე გადამეტების ფასი შეადგენს 488,618.37 (ოთხას ოთხმოცდარვა ათას ექვსას თვრამეტი და ოცდაჩვიდმეტი მესასედი) ლარს.

**მომხსენებელმა შემაჯამებლად აღნიშნა**, რომ ყოველივე მითითებულის გათვალისწინებით, თბილისის მთავრობამ მოიწონა და მიზანშეწონილად მიიჩნია, თბილისის საკრებულოსთან შესთანხმებლად წარმოდგენა, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა - ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, შესაბამისი საანგარიშო ფორმულით დადგენილი ფასის გადახდის სანაცვლოდ, საპროექტო მიწის ნაკვეთთან მიმართებით, შემდეგი **ხელშემწყობი ღონისძიებების/ვალდებულებების განსაზღვრის თაობაზე საკითხის**:

- მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის 4.6-დან 5.1-მდე;



- არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა მოხდეს გადამეტებულ ფართზე სიმაღლის განმსაზღვრელი რეგულაციების გათვალისწინების გარეშე;
- დაინტერესებულმა პირმა ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენებისათვის მაკომპენსირებელი ღონისძიების სახით, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებულ ავარიულ შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით შესაბამისი ფასის - 488,618.37 (ოთხას ოთხმოცდარვა ათას ექვსას თვრამეტი და ოცდაჩვიდმეტი მესედი) ლარის გადარიცხვა განახორციელოს ხაზინის ერთიან ანგარიშზე, შემოსულობების შესაბამის სახაზინო კოდეზე, მშენებლობის ნებართვის გაცემამდე, მაგრამ არაუგვიანეს თბილისის მთავრობის მიერ დამტკიცებული ხელშემწყობი ღონისძიებების თბილისის საკრებულოსთან შეთანხმებიდან 6 თვის ვადისა, ხოლო, აღნიშნული ვალდებულებების დადგენილ ვადაში შეუსრულებლობა გამოიწვევს განსაზღვრული ხელშემწყობი ღონისძიებების გაუქმებას.

**აზრი გამოთქვას:**

**კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა პროექტის პრეამბულასა და მე-5 პუნქტის ტექნიკურად გამართვის მიზანშეწონილობაზე, რომლებიც გაზიარებულ იქნა მომხსენებლის მიერ.**

**გადაწყვეტის:**


განკარგულების პროექტთან დაკავშირებით ხმის მიცემისაგან თავი შეიკავეს **უფრაქციო დეპუტატებმა გიორგი ონიანმა და დავით ფარცვანიამ.**

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

**მოისმინეს:**

**44. ნინო ბაგაშვილმა,** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს წარუდგინა, კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით - **44-ე საკითხად** განსაზღვრული განკარგულების პროექტი, რაც დღის წესრიგის **42-43-ე საკითხების სამართლებრივი საფუძვლის მსგავსად** ითვალისწინებს, ქალაქ თბილისში, **მოსკოვის გამზირი N24ა-ში** მდებარე 1 617 კვ.მ. მიწის ნაკვეთთან (შემდეგში - საპროექტო მიწის ნაკვეთი) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის თბილისის მთავრობის მიერ თბილისის საკრებულოსთან შეთანხმებას.

**როგორც ნინო ბაგაშვილმა აღნიშნა,** სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში, მ/წელს წარდგენილი განცხადებით, საპროექტო მიწის ნაკვეთის მესაკუთრემ აღნიშნულ უძრავ ქონებაზე მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) გადამეტების სანაცვლოდ (კ-2=6.5), გამოხატა მზაობა მაკომპენსირებელი ღონისძიების სახით, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებულ ავარიულ შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, შესაბამისი ფასის გადახდაზე, ამასთან, გამოიკვეთა, რომ საპროექტო მიწის ნაკვეთზე ვრცელდება საზოგადოებრივ - საქმიანი



ზონა 1 (სსზ-1) და სსიპ - არქიტექტურის სამსახურის შესაბამისი ბრძანებით დადგენილია მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები, ხოლო, დაინტერესებული პირის მიერ, ხელშემწყობი ღონისძიების სახით მოთხოვნილია:

- მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) ზღვრული მაჩვენებლის გადამეტება კ-2=3.5-დან კ-2=6.5-მდე, რაც გულისხმობს **6 (ხუთი) სართულის დამატებას - 7 (შვიდი) სართულიდან 13 (ცამეტი) სართულამდე;**
- გადამეტებულ ფართზე პროექტის შეთანხმებისას სიმაღლის ნაწილში არ იქნას გათვალისწინებული კანონით განსაზღვრული რეგულაციები.

**მომხსენებელმა ასევე აღნიშნა,** რომ სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტიზის დასკვნით, საპროექტო მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულება 2024 წლის 25 მარტის მდგომარეობით საორიენტაციოდ 1 362 161 ლარს, ხოლო, ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის მიერ 2024 წელს გაცემლი ინფორმაციით, მიწის ნაკვეთზე კ-2 კოეფიციენტის 3.5-დან 6.5-მდე გადამეტების ფასი შეადგენს 1,167,566.57 (ერთი მილიონ ას სამოცდაშვიდი ათას ხუთას სამოცდაექვსი და ორმოცდაჩვიდმეტი მეასედი) ლარს.

**წინო ბაგაშვილის მითითებით,** თბილისის მთავრობამ მოიწონა და მიზანშეწონილად მიიჩნია, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა - ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, შესაბამისი ფასის გადახდის სანაცვლოდ, საპროექტო მიწის ნაკვეთთან მიმართებით, შემდეგი ხელშემწყობი ღონისძიებების/ვალდებულებების განსაზღვრის თაობაზე საკითხის თბილისის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა:

- მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის 3.5-დან 6.5-მდე;
- არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა მოხდეს გადამეტებულ ფართზე სიმაღლის განმსაზღვრელი რეგულაციების გათვალისწინების გარეშე;
- დაინტერესებულმა პირმა ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენებისათვის მაკომპენსირებელი ღონისძიების სახით, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებულ ავარიულ შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით შესაბამისი ფასის - 1,167,566.57 (ერთი მილიონ ას სამოცდაშვიდი ათას ხუთას სამოცდაექვსი და ორმოცდაჩვიდმეტი მეასედი) ლარის გადარიცხვა განახორციელოს შესაბამისი სახაზინო კოდეზე, მშენებლობის ნებართვის გაცემამდე, არაუგვიანეს-თბილისის მთავრობის მიერ დამტკიცებული ხელშემწყობი ღონისძიებების თბილისის საკრებულოსთან შეთანხმებიდან 6 თვის ვადისა, აღნიშნულთა დადგენილ ვადაში შეუსრულებლობა კი გამოიწვევს განსაზღვრული ხელშემწყობი ღონისძიებების გაუქმებას.

**აზრი გამოთქვას:**

კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა პროექტის პრეამბულასა და მე-5 პუნქტის ტექნიკურად გამართვის მიზანშეწონილობაზე, რაც გაზიარებულ იქნა საკითხის წარმომდგენის მიერ.

**გადაწყვიტეს:**

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა უფრაქციო დეპუტატმა დავით ფარცვანიამ.



იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.


**მოისმინეს:**

**45. ნინო ზაგაშვილმა**, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს წარუდგინა, კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით - **45-ე საკითხად** განსაზღვრული განკარგულების პროექტი, რაც დღის წესრიგის **42-44-ე საკითხების სამართლებრივი საფუძვლის მსგავსად ითვალისწინებს**, ქალაქ თბილისში, **იალბუჯის ქუჩა N4; N6; N6ა; N8; N8ა; N10-ში** მდებარე 1 899 კვ.მ. მიწის ნაკვეთთან (შემდეგში - საპროექტო მიწის ნაკვეთი) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების თაობაზე საკითხის თბილისის მთავრობის მიერ, თბილისის საკრებულოსთან შეთანხმებას.

**როგორც მომხსენებელმა აღნიშნა**, სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში, მ/წელს წარდგენილი განცხადებებით, საპროექტო მიწის ნაკვეთის მესაკუთრემ (შემდგომში - დაინტერესებული პირი) აღნიშნულ უძრავ ქონებაზე მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) გადამეტების სანაცვლოდ (კ-2=5.8), გამოხატა მზაობა მაკომპენსირებელი ღონისძიების სახით, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებულ ავარიულ შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, შესაბამისი ფასის გადახდაზე, **ამასთან, გამოვლინდა, რომ საპროექტო მიწის ნაკვეთზე/მიწის ნაკვეთის:**

- ვრცელდება საზოგადოებრივ - საქმიანი ზონა 2 (სსზ-2);
- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - არქიტექტურის სამსახურის შესაბამისი ბრძანებით დადგენილია მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები.
- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის ბრძანებით, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის (90%) განთავსების მიზნით, გაცემულია სპეციალური (ზონალური) შეთანხმება განაშენიანების რეგულირების წესებით დადგენილი მაკომპენსირებელი ღონისძიებების გათვალისწინებით.
- დაინტერესებული პირის მიერ, ხელშემწყობი ღონისძიების სახით მოთხოვნილია მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) ზღვრული მაჩვენებლის გადამეტება კ-2=4.6-დან კ-2=5.8-მდე, რაც გულისხმობს 10 მიწისზედა სართულის განთავსება. ასევე, მოთხოვნილია გადამეტებულ ფართზე პროექტის შეთანხმებისას სიმაღლის ნაწილში არ იქნას გათვალისწინებული კანონით განსაზღვრული რეგულაციები;
- სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტიზის დასკვნით, **საბაზრო ღირებულება 2024 წლის 7 თებერვლის მდგომარეობით საორიენტაციოდ შეადგენს 3 882 638 ლარს;**
- ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის 2024 წელს გაცემული ინფორმაციით, კ-2 კოეფიციენტის 4.6-დან 5.8-მდე გადამეტების ფასი შეადგენს 1 012 862.09 (ერთი მილიონ თორმეტი ათას რვაას სამოცდაორი და ცხრა მესამედი) ლარს.

**მომხსენებელმა დასძინა**, ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, თბილისის მთავრობამ მოიწონა და მიზანშეწონილად მიიჩნია, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა - ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, შესაბამისი საანგარიშო ფორმულით დადგენილი ფასის გადახდის სანაცვლოდ,



საპროექტო მიწის ნაკვეთის მიმართებით, **შემდეგი ხელშემწყობი ღონისძიებების/ვალდებულებების საკითხის თბილისის საკრებულოსთან შეთანხმება:**

- მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის 4.6-დან 5.8-მდე;
- არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა მოხდეს გადამეტებულ ფართზე სიმაღლის განმსაზღვრელი რეგულაციების გათვალისწინების გარეშე;
- დაინტერესებულმა პირმა ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენებისათვის მაკომპენსირებელი ღონისძიების სახით, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებულ ავარიულ შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით შესაბამისი ფასის - 1 012 862.09 (ერთი მილიონ თორმეტი ათას რვაას სამოცდაორი და ცხრა მესხედი) ლარის გადარიცხვა განახორციელოს ხაზინის ერთიან ანგარიშზე, შემოსულობების შესაბამის სახაზინო კოდზე, მშენებლობის ნებართვის გაცემამდე, მაგრამ არაუგვიანეს თბილისის მთავრობის მიერ დამტკიცებული ხელშემწყობი ღონისძიებების თბილისის საკრებულოსთან შეთანხმებიდან 6 თვის ვადისა;
- დაინტერესებულმა პირმა მშენებლობის ნებართვის აღებამდე უნდა წარმოადგინოს სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მომზადებული დასკვნა, რომლითაც დადასტურებულ იქნება, რომ გამოყენებული ხელშემწყობი ღონისძიებები არ იქონიებს გავლენას არსებული შენობა-ნაგებობის მდგრადობასა და უსაფრთხოებაზე;
- ვალდებულებების დადგენილ ვადაში შეუსრულებლობა გამოიწვევს განსაზღვრული ხელშემწყობი ღონისძიებების გაუქმებას.

**აზრი გამოთქვას:**

კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა პროექტის პრეამბულასა და მე-6 პუნქტის ტექნიკურად გამართვის მიზანშეწონილობაზე, რაც გაზიარებულ იქნა საკითხის წარმომდგენის მიერ.

**გადაწყვეტის:**

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით ხმის მიცემისაგან თავი შეიკავებს უფრაქციო დეპუტატებმა გიორგი ონიანმა და დავით ფარცვანიამ.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

**მოისმინეს:**

**46. არჩილ გორდულაძემ,** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის N2-1 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტისა და საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით“ დადგენილი წესით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრისათვის მინიჭებული უფლებამოსილების შესაბამისად, ინიცირების წესით წარუდგინა, კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით - 46-ე საკითხად განსაზღვრული განკარგულების პროექტი, რაც ითვალისწინებს, „ქ. თბილისში, ბოჭორიშვილის ქ. 37 „ა-ში“ (ს/კ: N01.10.13.023.001) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით





დაინტერესებული პირების ინდივიდუალურ მენაშენეთა ამხანაგობა „სანაპირო 2005-ის“ და შპს „რივერ საიდი 2023-ის“ (ს/ნ. 445721782) მიმართ ხელშემწყობი ღონისძიების გამოყენების საკითხის შეთანხმებასა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგი განკარგულებების ძალადაკარგულად გამოცხადებას.

მომხსენებელმა აღნიშნა, საკითხთან დაკავშირებით, შემდგომი რეაგირების განხორციელების მიზნით, პროექტი თანდართულ მასალებთან ერთად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის რეზოლუციით, დაწერა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიას, აქვე დასძინა, რომ პროექტის მომზადება გამოწვეულ იქნა შემდეგ გარემოებათა გამო:

✓ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ, მ/წლის 29 მარტის სხდომაზე მიღებულ იქნა „ქ. თბილისში, ბოჭორიშვილის ქ. 37 „ა-ში“ (ს/კ: N01.10.13.023.001) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით დაინტერესებული პირების ინდივიდუალურ მენაშენეთა ამხანაგობა „სანაპირო 2005-ის“ და შპს „რივერ საიდი 2023-ის“ (ს/ნ. 445721782) მიმართ ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმებისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგი განკარგულებების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 29 მარტის N126 განკარგულება;

✓ ინიცირების წერილზე დაყრდნობით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 29 მარტის N126 განკარგულება საჭიროებს ტექნიკურ დაზუსტებას და შესაბამისობაში უფრო მეტად მოყვანას, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაუმთავრებელ მშენებლობებთან დაკავშირებული საკითხების განმხილველი კომისიის 2024 წლის 18 მარტის N3-ე სხდომის ოქმთან და „ქალაქ თბილისში, ბოჭორიშვილის ქ.37 „ა-ში“ (საკადასტრო კოდი: N01.10.13.023.001) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით დაინტერესებული პირების ინდივიდუალურ მენაშენეთა ამხანაგობა „სანაპირო 2005“-ის და შპს „რივერ საიდი 2023-ის“ (ს/ნ 445721782) მიმართ ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 20 მარტის N24.440.531 განკარგულებასთან, ასევე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 29 მარტის N126 განკარგულება საჭიროებს არსებული სტილისტური და ტექნიკური ხასიათის ხარვეზების აღმოფხვრას.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული, „ქ. თბილისში, ბოჭორიშვილის ქ.37 „ა-ში“ (ს/კ: N01.10.13.023.001) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით დაინტერესებული პირების ინდივიდუალურ მენაშენეთა ამხანაგობა „სანაპირო 2005-ის“ და შპს „რივერ საიდი 2023-ის“ (ს/ნ. 445721782) მიმართ ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმებისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგი განკარგულებების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 29 მარტის N126 განკარგულება გამოცხადდეს ძალადაკარგულად, ხოლო, აღნიშნული განკარგულება (განკარგულებით განსაზღვრული ღონისძიებები), ზემოაღნიშნული ხარვეზების/უზუსტობის გამოსწორებისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაუმთავრებელ მშენებლობებთან დაკავშირებული საკითხების განმხილველი კომისიის 2024 წლის 18 მარტის N3-ე სხდომის ოქმთან, ასევე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 20 მარტის N24.440.531 განკარგულებასთან, ხელშემწყობ ღონისძიებებთან



დაკავშირებული საკითხების უცვლელად, შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, მიღებულ იქნას ახალი განკარგულების სახით.

მომხსენებელმა განმარტა, რომ ყოველივე მითითებულის გათვალისწინებით, თბილისის საკრებულოს სხდომაზე განხილვის მიზნით, ინიცირების წერილზე დანართის სახით წარმოდგენილია „ქ. თბილისში, ბოჭორიშვილის ქ. 37 „ა-ში“ (ს/ვ: N01.10.13.023.001) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით დაინტერესებული პირების ინდივიდუალურ მენაშენეთა ამხანაგობა „სანაპირო 2005-ის“ და შპს „რივერ საიდი 2023-ის“ (ს/ნ. 445721782) მიმართ ხელშემწყობი ღონისძიების გამოყენების საკითხის შეთანხმებისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგი განკარგულებების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, საკითხის მიმართ შემდეგი რეაგირების განხორციელება.


მომხსენებელმა აქვე დასძინა, რომ ინიცირების წესით წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 29 მარტის N126 განკარგულების სტილისტური და ტექნიკური თვალსაზრისით გამართვას, ასევე მოდის შესაბამისობაში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაუმთავრებელ მშენებლობებთან დაკავშირებული საკითხების განმხილველი კომისიის 2024 წლის 18 მარტის N3-ე სხდომის ოქმთან, აგრეთვე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 20 მარტის N24.440.531 განკარგულებასთან, შემდეგი ღონისძიების მე-4 პუნქტად (აღნიშნული პუნქტი დადგენილია ხსენებული ოქმითა და თბილისის მთავრობის შესაბამისი განკარგულებით) დამატების გათვალისწინებით:

✓ „4. ამ განკარგულების მე-2 პუნქტით გათვალისწინებული დანართი N1-ის შესაბამისად განსაზღვრული პირების გარდა, სხვა პირების მიერ შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენის შედეგად ამ პირების მიმართ ფულადი სახით გასაცემი ვალდებულებების დადასტურებისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობის შემთხვევაში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ უზრუნველყოს საკომპენსაციო თანხების გადახდისათვის საჭირო პროცედურების განხორციელება ამ განკარგულების მე-3 პუნქტით განსაზღვრული წესის შესაბამისად.“

მომხსენებელმა ასევე აღნიშნა, რომ ახალი განკარგულების პროექტით შესაბამისი თანმიმდევრობით განისაზღვრება პუნქტების ნუმერაცია, ამასთან, მე-5 პუნქტის სახით, გარდა, შესაბამისი განკარგულებებისა, ძალადაკარგულად ასევე ცხადდება „ქ. თბილისში, ბოჭორიშვილის ქ. 37 „ა-ში“ (ს/ვ: N01.10.13.023.001) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით დაინტერესებული პირების ინდივიდუალურ მენაშენეთა ამხანაგობა „სანაპირო 2005-ის“ და შპს „რივერ საიდი 2023-ის“ (ს/ნ. 445721782) მიმართ ხელშემწყობი ღონისძიების გამოყენების საკითხის შეთანხმებისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგი განკარგულებების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 29 მარტის N126 განკარგულება.

**გადაწყვეტის:**

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა უფრაქციო დეპუტატმა გიორგი ონიანმა.



იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

**მოისმინეს:**


**47. არჩილ გორდულაძემ,** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს წარუდგინა კომისიის სხდომის დღის წესრიგის 47-ე საკითხად განსაზღვრული განკარგულების პროექტი, რაც ითვალისწინებს, ქალაქ თბილისში, საირმეს ქ. N 37, ქ. თბილისი, მუხამის ქ N 4, ქ. თბილისი, ი. აბაშიძის ქ N 55 - ში არსებული დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისა და დაზარალებულ პირთა მიმართ გასაცემი ვალდებულებების შესრულებისათვის გასატარებელი ღონისძიებების თაობაზე საკითხის თბილისის მთავრობის მიერ, თბილისის საკრებულოსთან შეთანხმებას, შემდეგი სახით:

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 29 მარტის N127 განკარგულებით, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის N641 განკარგულების დანართი N5-ით გათვალისწინებულ პირთა სიაში დამატებულ პირზე - სალომე ხუნდაძეზე 62 000.00 (სამოცდაორი ათასი) აშშ დოლარის ოდენობით კომპენსაციის გაცემით, რომლის ანგარიშსწორება განხორციელდება გადარიცხვის დღეს, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი, გაცვლითი კურსის ექვივალენტის შესაბამისად, ეროვნულ ვალუტაში.

**როგორც მომხსენებელმა აღნიშნა,** ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაუმთავრებელ მშენებლობებთან დაკავშირებული საკითხების განმხილველმა კომისიამ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას დადებითი რეკომენდაცია წარუდგინა შპს „ათორის“ და მასთან აფილირებული კომპანიების ფარგლებში შემდეგ მისამართებზე: 1. ქ. თბილისი, საირმეს ქ. N37, 2. ქ. თბილისი, მუხამის ქ. N4, 3. ქ. თბილისი, ი. აბაშიძის ქ. N55 - არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით მხარდამჭერ ღონისძიებებთან დაკავშირებით (კომისიის ოქმი N19; 2023 წლის 26 დეკემბერი), რაც დამტკიცებულ იქნა თბილისის მთავრობის მიერ და შეთანხმებული თბილისის საკრებულოს მიერ, 2023 წლის შესაბამისი განკარგულებებით.

**ამასთანავე, მომხსენებელმა აღნიშნა,** რომ დაუმთავრებელი მშენებლობების კომისიამ (ოქმი N4; 2024 წლის 19 მარტი) თბილისის მთავრობას გაუწია დადებითი რეკომენდაცია თბილისის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის N641 განკარგულებით გათვალისწინებული პირებისათვის გარკვეული დაზარალებული პირების დამატების თაობაზე, შესაბამისად, თბილისის მთავრობისა და თბილისის საკრებულოს სათანადო განკარგულებების საფუძველზე, თბილისის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის N641 განკარგულებით გათვალისწინებულ პირებს, კერძოდ დანართი N3-ით და დანართი N5-ით გათვალისწინებულ პირებს, დაემატა გარკვეული პირები.

**არჩილ გორდულაძის მითითებით,** თბილისის საკრებულოს 2024 წლის 29 მარტის N127 განკარგულებით, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის



**N641 განკარგულების დანართი N5-ით გათვალისწინებულ პირთა სიაში დამატებული პირის - სალომე ხუნდაძის მიმართ დგინდება/ზუსტდება შემდეგი:**

- სალომე ხუნდაძემ ბესიკ თხელიძისგან შეიძინა ბინა შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მუხაძის N4, რომლისთვისაც გადაიხადა 62 000 (სამოცდაორი ათასი) აშშ დოლარი. სალომე ხუნდაძე, თბილისის პროკურატურის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით დაზარალებულად ცნობილია 62 000 (სამოცდაორი ათასი) აშშ დოლარის ნაწილში, ამასთან, სალომე ხუნდაძის ინფორმაციით, მან ბესიკ თხელიძისგან ასევე შეიძინა შემდეგ მისამართზე არსებული ბინა - ქ. თბილისი, წყნეთის გზატკეცილი N2 (ფართი 129.09 კვ.მ). აღნიშნულის დადასტურების მიზნით, სალომე ხუნდაძემ წარმოადგინა ბესიკ თხელიძესთან გაფორმებული, მისამართზე - მუხაძის ქ. N4-ში მდებარე მშენებარე კომპლექსში უძრავი ქონების სამომავლო ნასყიდობის ხელშეკრულება (09.11.2018), გადახდის ქვითარი (22.10.2018) და მისამართზე - ქ. თბილისი, წყნეთის გზატკეცილი N2-ში არსებული ბინის (ფართი 129.09 კვ.მ.) ნასყიდობის ხელშეკრულება (14.02.2019). სალომე ხუნდაძე ითხოვს 62,000.00 (სამოცდაორი ათასი) აშშ დოლარის ანაზღაურებას და ამავდროულად აცხადებს რომ თანხის მიღების შემთხვევაში არ აქვს/და არც მომავალში ექნება რაიმე სახის პრეტენზია/მოთხოვნის უფლება შპს „ათორი დეველოპმენტისა“ და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მიმართ.

**არჩილ გორდულაძემ დასძინა, რომ დაუმთავრებელი მშენებლობების კომისიამ მიზანშეწონილად მიიჩნია:** მისამართებზე - ქ. თბილისი, საირმეს ქ. N 37, ქ. თბილისი, მუხაძის ქN 4, ქ. თბილისი, ი. აბაშიძის ქN 55 - არსებული დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისა და დაზარალებულ პირთა მიმართ გასაცემი ვალდებულებების შესრულების/უძრავი ქონების ვალდებულებებისაგან გათავისუფლების მიზნით, წარმოდგენილი ინფორმაციის გათვალისწინებით, დაზარალებული პირის მიმართ შესრულებულიყო ფინანსური ვალდებულებები, ხოლო, ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, თბილისის მთავრობამ, თბილისის საკრებულოს თანხმობის შემთხვევაში, მიზანშეწონილად მიიჩნია, ხსენებულ მისამართებზე არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისა და დაზარალებულ პირთა მიმართ გასაცემი ვალდებულებების შესრულების მიზნით **გატარდეს შემდეგი ღონისძიება:**

- გაიცეს კომპენსაცია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 29 მარტის N127 განკარგულებით, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის N641 განკარგულების დანართი N5-ით გათვალისწინებულ პირთა სიაში დამატებულ პირს - სალომე ხუნდაძის სახელზე შემდეგი ოდენობით: 62 000 (სამოცდაორი ათასი) აშშ დოლარი, გადარიცხვის დღეს, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი, გაცვლითი კურსის ექვივალენტის შესაბამისად, ეროვნულ ვალუტაში.

**გადაწყვიტეს:**

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა უფრაქციო დეპუტატმა გიორგი ონიანმა.



იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ, სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე

არჩილ გორდულაძე

სხდომის მდივანი

თამთა კაკოიშვილი